პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ჰამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—26
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუს[illegible]ლის პროსპ., № 64, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 20 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 65 (2108)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- — გაიხსნა პროფინტერნის კონგრესი.
- — პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება დაიწყება 30 მარტს.
- — საფოსტო შეთანხმება ნანკინ-პეკინს შორის.
- — გაფიცვა ავსტრიის ელექტრო-მრეწველობაში.
- — მოძრაობა საიმონის კომისიის წინააღმდეგ ინდოეთში.
- — განიარაღების საბჭოთა პროექტი გადაეცა კომისიას.
- — რუსეთ-შვეციის თანამშრომლობის კომიტეტის მოწოდება.
- — დიდი ხანძარი ბერლინში.

ოთხშაბათს, მარტის 21, საღამოს 7 საათზე
შესდგება
სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
ს. ს. ცაკის სამდივნო.

კონტრ-რევოლუციონური შეთქმულების გამო

როგორც მოსალოდნელი იყო, დონის ქვანახშირის რაიონში აღმოჩენილმა კონტრ-რევოლუციონურმა შეთქმულობამ უღრმესი აღშფოთება გამოიწვია მთელი კავშირის მშრომელ მასსებში და აგრეთვე ინჟინერ-ტეხნიკოსთა წრეებში; ჩვენი ქვეყანაც ამ მხრივ, რა თქმა უნდა, გამონაკლისს არ წარმოადგენს. სხვანაირად ისინი ვერ შეხედებოდნენ გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობის შინაგანი აფეთქების ცდას, რომელსაც სპეციალისტების ქურქში გახვეული არამზადები აწარმოებდნენ იმპერიალისტების და საბჭოთა კავშირიდან გაძევებულ კაპიტალისტების კარნახით. ამ აღმშენებლობაში მუშათა მასსებთან ერთად გულწრფელ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ტეხნიკურ ძალთა საუკეთესო ნაწილი, მათი დიდი უმრავლესობა, და გასაგებია, რომ ის კატეგორიულად იმიჯნება კონტრ-რევოლუციონერ „კოლეგების“-გან და მათ წინააღმდეგ თავის აღშფოთების ხმას უერთებს მთელი მშრომელი მოსახლეობის პროტესტს.

მეორე მხრივ, ეკონომიურ კონტრ-რევოლუციის აღმოჩენას გამოეხმაურა უცხოეთის ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა, რომელიც აგრეთვე „აღშფოთებულია“, მაგრამ ეს აღშფოთება, ცხადია, სულ სხვა ხასიათისაა. იმპერიალისტები და მათი დამქაშნი — სოციალ-გამცემლები მას იყენებენ კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის გასამწვავებლად; საბჭოთა ხელისუფლების მიერ შეთქმულობის მონაწილეთა, კერძოდ რამოდენიმე გერმანელ ინჟინერის დაპატიმრება გახდა საბაბად ანტი-საბჭოთა კამპანიის გაძლიერებისათვის. როგორც ყოველთვის ხდება, ამ შემთხვევაშიაც გერმანიის მენშევიკების ზედა წრეებმა და „ფორვერტს“-მა პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნისადმი მტრობაში პირდაპირ რეკორდი აიღეს. „ფორვერტს“-მა დონის რაიონში აღმოჩენილ შეთქმულობის ფაქტი საბჭოთა მთავრობის მიერ მოჭორილი ზღაპრად გამოაცხადა და ამან გააძლიერა პროპაგანდა საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ დამოკიდებულების ჩაშლისათვის. ბუნებრივია, რომ გერმანელ მენშევიკთა ლიდერების ასეთი სირცხვილეული პოზიცია გულისწყრომას იწვევს თვით მათ მიმდევარ მუშათა მასსებშიც, და ეს გამოხატულებას პოულობს სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის ორგანოებშიც. კი. მაგ., „ხემნიცერ ფოლკსშტიმე“ სწერს: „თუ გერმანელმა ინჟინერებმა საბოტაჟისა და პოლიტიკური ინტრიგებისათვის გამოიყენეს საბჭოთა კავშირში მუშაობის შესაძლებლობა, არავითარი დასაცავი სიტყვა მათ მიმართ საკმაოდ ძლიერი არ იქნება. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი არა მარტო სრულიად სამართლიანად მოიქცა, თავდაცვის ზომები რო მიიღო, არამედ თავისი მოვალეობაც აასრულა რუსეთის ხალხის მიმართ“.

ყველაფერი ეს ასეა. და „ფორვერტს“-ის მორიგი ანტი-საბჭოთა გამოლაშქრება სოციალიზმის მშენებელ მუშურ-გლეხურ ქვეყნის წინააღმდეგ ზედმეტ საბუთს აძლევს გერმანიის მუშათა მასსებს თავისი „ლიდერების“ კონტრ-რევოლუციონურ ბუნების დასანახავად და ხელს შეუწყობს ამ მასსების შემდგომ კლასობრივ გათვითცნობიერებას.

ყველაზე უფრო საგულისხმოდ ეკონომიურ შეთქმულობის საქმეში მაინც გერმანიის მთავრობის ნაბიჯი უნდა ჩაითვალოს. გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა აცნობა ბერლინის საბჭოთა ელჩს, რომ ინციდენტის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა თითქო სპობს ეკონომიური მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების წინასწარ პირობას და ამიტომ გერმანიის მთავრობა აუცილებლად სთვლის ჯერჯერობით შესწყვიტოს ეს მოლაპარაკებაო. ამგვარად, გერმანიის მთავრობამ იკისრა პასუხისმგებლობა ბერლინში მიმდინარე გერმანია-საბჭოთა სავაჭრო მოლაპარაკების ჩაშლისათვის და საბაბად ამისთვის გამოიყენა შეთქმულებაში მონაწილე გერმანელ ინჟინერების დაპატიმრება. ვამბობთ: „საბაბად გამოიყენა“, ვინაიდან აშკარაა, რომ საბჭოთა მთავრობის ეს სრულიად კანონიერი აქტი, მის მიერ მიღებული თვითდაცვის ელემენტარული ზომა მოლაპარაკების ჩაშლის ნამდვილ მიზეზად ვერ ჩაითვლება.

ეს მიზეზი კი სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. საკმაო ხანია რაც გერმანიის და მთელი დასავლეთის პრესაში დიდი განგაშია ატეხილი ბერლინის მოლაპარაკების გარშემო. ერთი მხრივ ცნობილი ავგური გამოდის წინადადებით, ინგლისის მეთაურობით საფრანგეთ-გერმანია-პოლონეთის ეკონომიურ კავშირის შეკვრის შესახებ, კავშირის, რომლის მიზანი უნდა იყოს ეკონომიური ბლოკადის გამოცხადება საბჭოთა კავშირისათვის, ყოველ შემთხვევაში მთლიანი ეკონომიური ფრონტის შექმნა ჩვენს წინააღმდეგ; მეორე მხრივ ფრანგი სენატორი დე-მონზი აყენებს საფრანგეთ-გერმანიის ანტანტის პროექტს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში საერთო ბაზის გამოსამუშავებლად. ყველაფერი ეს ამოცანად ისახავს გერმანია-საბჭოთა ეკონომიურ ურთიერთობის ჩაშლას. ამავე დროს ჩვენ მოწმენი ვართ ახალი იერიშებისა საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ. კაპიტალისტები ცდილობენ ამ მონოპოლიის გაუქმებას, ან მის შეკვეცას მაინც, რომ შეეძლოთ საბჭოთა კავშირში თავისუფლად შემოჭრა, მისი ეკონომიური დამონება და სოციალისტური მშენებლობის ჩაშლა. შეთქმულებაში მონაწილე გერმანელ ინჟინერთა დაპატიმრების ხელზე დახვევა გერმანიის მთავრობის მიერ ამ მიზანს ემსახურება. ამ საბაბით მოლაპარაკების ჩაშლით მას სურს ზეგავლენა მოახდინოს საბჭოთა მთავრობაზე, რომ აიძულოს ჩვენთვის მიუღებელ პირობებზე წასვლა. მაგრამ ეს ფაქტი ცდაა, რომლიდან არაფერი გამოვა გარდა იმისა, რომ ეს აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს თვით გერმანიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს. ცნობილია, რომ გერმანიის სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცება დიდადაა დამოკიდებული მის მიერ საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების შენარჩუნებაზე.

გერმანიის მთავრობის ნაბიჯი და კაპიტალიზმის სამფლობელოში ეკონომიურ კონტრრევოლუციასთან დაკავშირებით ატეხილი ხმაური მოწმობს უხეშ ჩარევას საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში და იმის მოთხოვნას, რომ ჩვენ გზა გაუხსნათ და მოქმედების სრული თავისუფლება მივცეთ ყველა არამზადებს, რომელნიც მოიწადინებენ ჩვენი მშენებლობის აფეთქებას და საბოლოო ანგარიშით შრომის რესპუბლიკის დამხობას. საბჭოთა მთავრობა და მასთან მთელი მშრომელი მასსა საკადრისს პასუხს აძლევენ მათ ჩვენდამი ასეთ „მეგობრობის“ გამოჩენისათვის. მთელი ამ ისტორიიდან ჩვენს მშრომელებს გამოყავთ შესაფერი დასკვნები: ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება, ფხიზლად დგომა მშენებლობის უზრუნველყოფის სადარაჯოზე, ამ მშენებლობის კიდევ მეტად გაშლა, მასში შემდგომი ჩაბმა ყველა პატიოსანი ტეხნიკურ ძალების, და მათი უფრო მჭიდროდ დაახლოვება მუშათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, უცხოელ სპეციალისტების მოწვევაში მეტი სიფრთხილის გამოჩენა, ძირშივე აღკვეთა ყველა იმათი, ვინც მოინდომებს სოციალისტურ მშენებლობის შეფერხებას,— ასე უპასუხებენ მშრომელი მასსები კონტრ-რევოლუციონურ შეთქმულებაზე და მის გარშემო გაჩაღებულ ანტი-საბჭოთა კამპანიაზე. ამას ადასტურებს საყოველთაო აღშფოთების ტალღა, რომელიც ერთი მუჭა არამზადების ბოროტმოქმედების გამო მთელ საბჭოთა კავშირს მოედო.

ა.-კ. საექსპორტო შესაძლებლობანი

ამჟამად, როდესაც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობამ ფეხი შესდგა ინდუსტრიალიზაციის გაძლიერების ხანაში და ამიტომ იძულებულია შეზღუდოს კავშირის მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის ექსპორტი, როდესაც, თუმცა დროებით, მაგრამ რაოდენადმე შემცირდა პურის ექსპორტი,— აუცილებლად საჭირო ხდება რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა საექსპორტო შესაძლებლობა.

ამიერ-კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა—ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (როგორიც, მაგ., სპარსეთი, ოსმალეთი) მეზობლობა ქმნის ისეთ პირობებს, რომ ეს ქვეყნები ეკონომიურად უკავშირდებიან ჩვენს რესპუბლიკას, და ამიტომ ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკას, ევროპის ქვეყნებში ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტის გაძლიერების გარდა, ეკისრება დიდი ამოცანა—ექსპორტის გაფართოვება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

სამეურნეო მუშაკებისა და აღმოსავლეთის ვაჭრების წარმომადგენელთა ფართო თათბირზე, რომელიც ამას წინედ შესდგა ამიერ-კავკასია—აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში, გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიამ სავსებით ვერ გამოიყენა ყველა ის ეკონომიური შესაძლებლობანი, რომლებიც მას აქვს თავისი პროდუქციის ექსპორტის სპარსეთში და ოსმალეთში გაძლიერების მხრივ.

ასე, მაგალითად, 1926-27 წელში ამიერ-კავკასიის საბაჟოებიდან სპარსეთში გატანილ იქნა 7,6 მილიონი მან. სამრეწველო პროდუქტები; აქედან ნავთის პროდუქტები—6 მილიონი მან., ხოლო დანარჩენი 1,6 მილიონი მან. გატანილ იქნა შემდეგი საქონელი: თამბაქოს ნაწარმოები—66 ათას მან., ფიცრები და შპალები—190 ათასი მან., ცემენტი—138 ათასი მან., სარეცხი საპონი—104 ათასი მან., გრენა—60 ათასი მან., რკინეული—818 ათასი მან., ღვინო და სპირტის ნაწარმოები—35 ათასი მან., მინერალური წყალი—13 ათასი მან., ყველი—3 ათასი მან., ავეჯეულობა და საწოლი—12 ათასი მან., თევზი—2 ათასი მან., კონსერვები—4 ათასი მან. და სხ.

ზემოჩამოთვლილი საქონლის ნომენკლატურის ზერელე განხილვაც კი ამტკიცებს იმას, რომ ყველა ეს საქონელი შეიძლება მოგვცეს ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ, მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვაქვს ასეთი სურათი: მთელი იმ საქონლიდან რომელიც სპარსეთში იქნა შეტანილი ამიერ-კავკასიის საბაჟოების გზით, 1,6 მილიონი მან. რაოდენობით (ნავთის პროდუქტების გარდა), ამიერ-კავკასიის პროდუქციის წილად მოდის მხოლოდ 350 ათასი მან. (ე. ი. 25 პროც.). ამგვარად, ამიერ-კავკასიის საექსპორტო შესაძლებლობანი ამ მხრივ გამოუყენებელია 75 პროცენტით.

ამიერ-კავკასიის საქონლის ხარისხი სავსებით აკმაყოფილებს სპარსეთის ბაზრების მოთხოვნილებას, ხოლო მისი ექსპორტი მნიშვნელოვნად ამცირებს ზედნართ ხარჯებს რუსეთის პროდუქციასთან შედარებით. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, თანაბარ კომერციულ პირობებში სრულიად არ არსებობს კონკურენციის შესაძლებლობა, ვინაიდან სახალხო მეურნეობის აღორძინება აღმოსავლეთის ქვეყნებში და აღმოსავლეთის მოსახლეობის ცხოვრების ურბანიზაცია ყოველ წლობით აძლიერებს საბჭოთა პროდუქციის მოთხოვნილებას აღმოსავლეთის ქვეყნების მხრივ. მას შემდეგ, რაც დაიდო სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება, კიდევ უფრო გაძლიერდება საბჭოთა საქონლის მოთხოვნილება აღმოსავლეთის ბაზრებზე.

სავსებით ბუნებრივია, რომ პირველ ხანებში კომერციული ხასიათის მნიშვნელოვანი დაბრკოლებანი გადაგველობება ამიერ-კავკასიის პროდუქციის ექსპორტის განხორციელების დარგში. ზოგიერთ საქონელის გატანა პირველ ხანებში იქნება საზარალო, მაგრამ ეს, რასაკვირველია, საშიში არ არის. მხოლოდ საჭიროა, რომ ეს ზარალი არ იქნას გადატანილი პირვანდელ მწარმოებლებზე და დამმზადებლებზე. პირიქით, ამ კატეგორიის საქონლისათვის უნდა შევქმნათ ძლიერი სტიმული იმ სახით, რომ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაფაროს ზარალი და აგრეთვე იმ სახით, რომ ექსპორტიორებს მიეცეს საკომპენსაციო იმპორტი.

ზარალის დაფარვის საკითხთან ერთად სდგება საკითხი საქონლის გამტარებელი ქსელის შესახებ, რომელიც აუცილებლად უნდა შეუთანხმოთ არსებულ პირობებს.

საექსპორტო საქონლის დამამზადებელი უნდა იყოს ყველა სახის კოოპერაცია, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველობის კოოპერაცია. საქონლის რეალიზატორების როლში უნდა გამოვიდენ ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობანი, რისთვისაც საჭიროა კომერციული კავშირის განმტკიცება და ამ კავშირის გადატანა დიდი ცენტრებიდან პერიფერიაში.

ამიერ-კავკასიის საექსპორტო შესაძლებლობათა რეალიზაციას დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა კავშირის ეკონომიკა მთლიანად და ამიერ-კავკასიის ეკონომიკა კერძოდ. ყველა ჩვენი საექსპორტო საქონლის შეტანას საბჭოთა ექსპორტის ნომენკლატურაში მოითხოვს პარტიის მე-15 ყრილობის დირექტივა. ეს დირექტივა აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული. ამიერ-კავკასია-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატას ამ მხრივ დახმარება უნდა გაუწიონ ყველა საბჭოთა სამეურნეო და სავაჭრო ორგანიზაციებმა.

დ. ზავრიევი.

700.000-ანი არმია პეკინის წინააღმდეგ

საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ უარჰყო კომუნისტ-დეპუტატების ამნისტია

პილსუდსკი მოითხოვს სეიმის უფლებების შეკვეცას

შუბლმაგრები უკან იხევენ

ლონდონი, 19 მარტი. კონსერვატიული გაზეთი „სენდეი ტაიმსი“ მეთაურში ეხება ინგლის-საბჭოთა ურთიერთობას და სწერს:

„ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის მთელი სიმძიმე დააწვა ინგლისის მრეწველებს და ვაჭრებს. დროა მიღებული იქნეს ზომები ორივე ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობის გასაახლებლად და ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის დამყარდეს ორივე მხარისათვის სასარგებლო ურთიერთობა“. (ადს).

ნანკინ-პეკინის ბრძოლა

უდიდესი ომი ჩინეთის ისტორიაში

შანხაი, 18 მარტი. ნანკინის მთავრობის სამხედრო მოღვაწენი აცხადებენ, რომ ჩრდილოეთის მომავალი ექსპედიცია იქნება „უდიდესი ომი ჩინეთის ისტორიაში“. ნანკინის სამხედრო წრეების გამოანგარიშებით, ყველა ფრონტებზე თავმოყრილი იქნება 700.000 მეტი ჯარისკაცი. (ადს).

ჩან-კაი-შის განცხადება

შანხაი, 18 მარტი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ჩან-კაი-შიმ განაცხადა: „ჩინეთი უნდა განთავისუფლდეს უცხო სახელმწიფოთა გავლენისაგან. მაგრამ გარემოებათა მიხედვით ჩინეთს შეუძლია დროებით დაეყრდნოს ამა თუ იმ ქვეყანას. ასე იყო, მაგალითად, როცა ჩინეთმა კავშირი შეჰკრა საბჭოთა კავშირთან. მაგრამ ურთიერთობა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მომავალშიაც შეწყვეტილი უნდა დარჩეს“. შეეხო რა კანტონში მომხდარ ამბებს, ჩან-კაი-შიმ განაცხადა: „ცუდი მოპყრობა საბჭოთა საკონსულოს თანამშრომლების მიმართ და საკონსულოს ქონების გაფუჭება, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, იყო ჩვენი შეცდომა, რომელიც უნდა გამოსწორდეს“. (ადს).

ჩან-ძო-ლინი შეტევაზე გადადის

ტოკიო, 18 მარტი. სიბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით შანხაიდან, ჩან-ძო-ლინის ჯარებმა დაიკავეს გუიდე—ხენანის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. კავშირი ფინ-იუი-სიანის და ჩან-კაი-შის ჯარებს შორის შეწყვეტილია. (ადს).

საფოსტო შეთანხმება ნანკინსა და პეკინს შორის

პეკინი, 18 მარტი. ინგლისური გაზეთი „პეკინ ენდ ტიანძინ ტაიმს“-ი უკმაყოფილებას გამოსთქვამს ნანკინსა და პეკინს შორის საფოსტო შეთანხმების დადების გამო.

საფოსტო შეთანხმება, რომელიც ამ დღეებში დაიდო, ითვალისწინებს საფოსტო უწყების მთლიანობის დაცვას ჩინეთში და სრულიად არ ეხება ფოსტის გენერალური დირექტორის უფლებრივ მდგომარეობას. გენერალური დირექტორი არის უცხოელი, რომელიც ჩინეთის ფოსტის სრული ბატონ-პატრონია. შეთანხმება შემდეგ ითვალისწინებს პეკინის მთავრობის წარმომადგენლის დანიშვნას ფოსტის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე ნანკინში და ნანკინის მთავრობის წარმომადგენლის დანიშვნას იმავე თანამდებობაზე პეკინში.

გაზეთი აცხადებს, რომ საფოსტო შეთანხმება ჰკვეცს ფოსტის გენერალური დირექტორის უფლებებს და მიმართულია საფოსტო უწყების ინტერესების წინააღმდეგ, ამიტომ ის „ვაშინგტონის შეთანხმების უმსგავსო დარღვევაა“-ო.

იუწყებიან, რომ უცხოეთის ელჩებმა პეკინში საფოსტო შეთანხმების წინააღმდეგ პროტესტით მიმართეს პეკინისა და ნანკინის მთავრობებს და მიუთითეს, რომ შეთანხმება არღვევს ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებას (ადს).

ამნისტიის საკითხი საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 18 მარტი. 16 მარტს საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ განიხილა საკითხი კომუნისტ დეპუტატების შესახებ.

სოციალისტების სახელით ინტერპელიაცია შეიტანა დეპუტატმა იურიმ. იურის საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში იუსტიციის მინისტრმა ბარტუმ გაილაშქრა კომუნისტ დეპუტატებზე ამნისტიის გავრცელების წინააღმდეგ აღნიშნა რა, რომ დეპუტატები ბოროტმოქმედებისათვის პასუხს უნდა აგებდნენ ისევე, როგორც დანარჩენი მოქალაქენი.

„ამ საკითხში დათმობაზე წასვლა — განაცხადა ბარტუმ — იქნებოდა სამშობლოს ღალატი და ხელისუფლების მიერ პასუხისმგებლობაზე უარის თქმა“.

კომუნისტმა პიკემალმა ბარტუს საპასუხოდ განაცხადა:

„თქვენ ბრალს გვდებთ იმაში, რომ ჩვენ ფულებს ვღებულობთ საზღვარ-გარეთიდან, მაგრამ ჩვენ ზიზღით უყურებთ თქვენს ცილისწამებას, ვინაიდან თქვენ მოქმედებთ „მატენ“-ის განკარგულებით, რადგან ხართ „როიალ დატჩ“-ის განყოფილების ადმინისტრატიული საბჭოს წევრები. ჩვენ ზიზღით [illegible] შეურაცხყოფას იმ პატრიოტის მხრით, რომელიც ემსახურება დეტერდინგს“.

პალატის თავმჯდომარის მოადგილე სოციალისტი ბუისონი აცხადებს, რომ პიკემალის ეს სიტყვები პარლამენტის ოფიციალურ ანგარიშში არ შევა.

კომუნისტმა ბარშერიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ პალატას, რომელშიაც უმრავლესობა მემარცხენე ბლოკს ეკუთვნის, ეშინია გააუქმოს ძველი სამარცხვინო რეაქციონური კანონები, რომლებიც აქამდის მოქმედებენ საფრანგეთში.

პუანკარე ადგილიდან ჰყვირის: „ჩვენ არ გვსურს დავკარგოთ ერთად ერთი იარაღი, რომელიც ჩვენ გვაქვს თქვენს წინააღმდეგ“.

იურის ინტერპელიაცია უარყოფილ იქნა 340 ხმით 150-ის წინააღმდეგ. სოციალისტ-დეპუტატის სეროლის წინადადება რეაქციონურ კანონის გაუქმების შესახებ უარყოფილ იქნა 326 ხმით 175-ის წინააღმდეგ. (ადს).

ეკონომიური კონტრ-რევოლუციის გარშემო

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ის წერილი

ბერლინი, 18 მარტი. „ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ი გერმანელ ინჟინრების დაპატიმრების გამო სწერს, რომ არ უნდა ვიქონიოთ ილიუზიები იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელსაც გამოიწვევს საბჭოთა კავშირში გერმანიის მთავრობის მიერ ამ საკითხში დაჭერილი პოზიცია.

„გერმანელ ინჟინრების დაპატიმრებით—სწერს გაზეთი,—რუსები მოიქცენ ისე, როგორც მოიქცეოდა ყოველი სხვა სახელმწიფო, როცა უცხოელს ბრალდება დანაშაული ქვეყნის კანონების წინააღმდეგ“. (ადს).

ამხ. ჩუბარი ეკონომიური კონტრ-რევოლუციის შესახებ

მოსკოვი, 19 მარტი. უკრაინის ცაკის სესიის უკანასკნელ სხდომაზე ამხ. ჩუბარმა გააკეთა მოხსენება ცაკის საიუბილეო სესიის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ. [illegible] ამასწინედ აღმოჩენილ კონტრ-რევოლუციონურ შეთქმულებას. „კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაციის აღმოჩენა შახტის რაიონში, სთქვა ამხ. ჩუბარმა,—ამტკიცებს, რომ ჩვენში კიდევ დარჩა ძველი მეპატრონეების აღმოუფხვრელი ფესვები, რომლებიც ფეხს იკიდებს საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის ურთიერთობის გამწვავების პირობებში. სპეციალისტებს, რომლებიც გადაიქცენ სოციალისტური მშენებლობის მავნებლებად, კავშირი ჰქონდათ საზღვარ-გარეთ მყოფ კაპიტალისტებთან. უცხოეთის ფირმების ზოგიერთმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩამოვიდნენ საზღვარგარეთ შესყიდულ მოწყობილობათა დასადგმელად, ბურჟუაზიას გამოართვეს „დამატებითი დატვირთვა“—ფული ჩვენი მეურნეობისათვის ზიანის მისაყენებლად.

შეთქმულების მიზეზთა ძიების დროს ჩვენ აღმოვაჩინეთ ძაფი, რომელმაც საზღვარ-გარეთ მიგვიყვანა იმ ცენტრებთან, სადაც მზადდება შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ წითელი არმიის განმტკიცებისა, სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მუშაობის გაძლიერებისა და პროლეტარული კონტროლის გაფართოვებისათვის ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში“. (ადს).

რა სურს პილსუდსკის

პილსუდსკის განცხადება

ვარშავა, 18 მარტი. გაზეთები იუწყებიან, რომ სეიმის იმ ფრაქციების ბელადებმა, რომლებიც ახლო დგანან მთავრობასთან, პოლკოვნიკ სლავეკის ბინაზე მოაწყვეს თათბირი. ამ თათბირზე გამოვიდა პილსუდსკი, რომელმაც განაცხადა, რომ სეიმმა უნდა ითანამშრომლოს მთავრობასთან, ხოლო მთავრობამ მონაწილეობა უნდა მიიღოს სეიმის სხდომების დღის წესრიგის შედგენაში. სეიმმა უნდა მიიღოს აგრეთვე მთავრობის მიერ წარდგენილი ბიუჯეტი. პილსუდსკიმ აუცილებლად სცნო კონსტიტუციის შეცვლა პრეზიდენტის უფლებების გაფართოების მხრივ. პილსუდსკის აზრით, პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს ზოგიერთი საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება და რწმუნებები უნდა გაუფართოვდეს უწინარეს ყოვლისა საგარეო პოლიტიკის დარგში. (ადს).

განიარაღების საკითხი

ჟენევაში

ჟენევა, 18 მარტი. ჟენევის პოლიტიკური წრეების აზრით, გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საბჭოთა პროექტი განიარაღების შესახებ განსახილველად გადაეცემა ქვეკომისიას 7 წევრის შემადგენლობით. კომისიაში შევლენ ერთი ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მქონე სახელმწიფოების ხუთი წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის და შეერთებული შტატების წარმომადგენელი. ფიქრობენ, რომ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მუშაობა ამ კვირაში დამთავრდება (ადს).

განიარაღების პროექტი შვეციის პარლამენტში

სტოკჰოლმი, 18 მარტი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა სტოკჰოლმის ბურგომისტრ ლინდჰაგენთან (რიკსდაგის პალატის პირველი დეპუტატი), რომელიც ამას წინად რიკსდაგში შეიტანა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს შვეციის მთავრობა საბჭოთა პროექტს განიარაღების შესახებ. ლინდჰაგენი ეკუთვნის შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთას და არის პაციფიზმის ცნობილი მოღვაწე. ლინდჰაგენმა განაცხადა:

„საბჭოთა კავშირის წინადადებამ სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ ძალიან გამახარა. ეს წინადადება წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი პოლიტიკის განვითარებას და გაღრმავებას. საბჭოთა კავშირის წინადადება არ შეიძლება იქნას განხილული, როგორც საბჭოთა მთავრობის უკან დახევა მისი ძირითადი პოზიციებიდან. ეს არის გადამწყვეტი შეტევა ფართო ფრონტით საბოლოო მიზნისაკენ, რომელიც აუცილებლად იქნება მიღწეული (ადს).

მეცნიერება სოციალისტურ მშენებლობის სამსახურში

საბჭოთა მეცნიერ-ქიმიკოსები ამხ. რიკოვთან

მოსკოვი, 19 მარტი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვმა და საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კუიბიშევმა მიიღეს დელეგაცია, რომელიც შესდგებოდა ცნობილ საბჭოთა მეცნიერ-ქიმიკოსებისა, აკადემიკოსებისა, პროფესორებისა და ინჟინერებისაგან. დელეგაციამ ამხ. რიკოვს გადასცა წერილი ქიმიის მნიშვნელობის შესახებ საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში.

პროფ. ბახის სიტყვა

წერილის გადაცემის დროს დელეგაციის თავმჯდომარემ, პროფესორმა ბახმა განაცხადა, რომ წერილს მიზნად აქვს მიაპყროს საბჭოთა მთავრობის ყურადღება იმ საკითხებზე, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

მეცნიერთა ღრმა რწმენით კაცობრიობა ამჟამად შედის გარდამავალ პერიოდში ორთქლისა და ელექტრობის ხანიდან—ქიმიის ხანაში. ამიტომ ამჟამად, როდესაც სოციალისტური სახელმწიფო საფუძველს უყრის თავის მომავალს, ქიმიკოსებს თავის მოვალეობად მიაჩნიათ დასვან მთავრობის წინაშე საკითხი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის სათანადოდ ტეხნიკურად დასაბუთების შესახებ ამ ახალ პერსპექტივების აღრიცხვით, რომლებსაც შლის თანამედროვე მეცნიერება ბუნების ძალების გამოყენების დარგში.

პროფ. ბახის შემდეგ გამოვიდნენ მთელი რიგი მეცნიერები, რომლებმაც ილაპარაკეს წერილში აღძრულ ცალკე საკითხების გარშემო. საუბარში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. კუიბიშევმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა წერილში აღძრულ საკითხების უდიდესი მნიშვნელობა და განაცხადა, რომ აუცილებლად საჭიროა ამ საკითხების მხედველობაში მიღება საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღმშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს.

ამხ. რიკოვის პასუხი

ამხ. რიკოვი მხურვალედ მიესალმა მეცნიერების ინიციატივას და აღნიშნავს, რომ საჭიროა ფართოდ იქნას გამოყენებული ეს ინიციატივა ჩვენ აღმშენებლობის საქმეში.

„ახლა, როდესაც საძირკველს ვუყრით მომავალს—სთქვა ამხ. რიკოვმა,—ჩვენ უნდა დავიწყოთ ტეხნიკის რევოლუციიდან. ამიტომ უახლოეს ხუთწლედის მთავარი ამოცანა ჩვენი მეცნიერებისა და ოპერატიული ორგანოების სათანადო დაკავშირება და ყველა პატიოსან სამეცნიერო მუშაკების და სპეციალისტების ჩაბმა აქტიურ შემოქმედებით მუშაობაში.

ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მარტო ის საკითხები, რომლებსაც აყენებს ქიმია, არამედ ის საკითხებიც, რომლებსაც აყენებს მეცნიერება საერთოდ. მეცნიერების წარმატებითი განვითარება ჩვენს პირობებში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერება მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ უდიდეს შემოქმედებით მუშაობასთან.

მაგრამ ჩვენი სამეცნიერო მუშაობის განვითარებას უდიდესი დაბრკოლებები ელოდება ჩვენი კულტურული და მატერიალური ჩამორჩენის გამო. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა სამეცნიერო-ტეხნიკურ კადრების შექმნის საკითხს. [illegible] ამ საქმეში [illegible] არა მარტო ჩვენი სამეურნეო და სამეცნიერო ორგანოებზე, არამედ მეცნიერებისა და სპეციალისტების ძველ კადრებზედაც. სამეცნიერო-ტეხნიკური და პედაგოგიური მუშაობის დარგში ბიუროკრატიზმის და რუტინის ელემენტები საკმაოდ დიდია. ამის გამო განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ჩვენი ახალგაზრდობა არ შეიძლება არ შეხვდეს განსაზღვრულ ფენას, რომელიც შეეცდება დაჩაგროს ნიჭიერი ახალგაზრდა, მოზარდი ძალები. საჭიროა ამ მოვლენის დაძლევა, რათა რაც შეიძლება სწრაფად შევქმნათ სამეცნიერო მუშაკების ახალი კადრები.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო მუშაობისათვის საჭირო მატერიალური სახსრების უზრუნველყოფის საკითხს, მაგრამ საქმე მარტო სახსრებში არ არის. ოციოდე წლის განმავლობაში ჩვენ რამოდენიმე ათეულ მილიონ მანეთს დავხარჯავთ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ განვითარებისათვის. უდიდესი კაპიტალური ხარჯები იქნება გაწეული ფაბრიკების, ქარხნების, რკინის გზების, საირიგაციო დანადგმულობათა და სხ. სააღმშენებლოდ. ამ ხნის განმავლობაში დაშვებული შეცდომები მძიმე ტვირთად დააწვება ჩვენი ქვეყნის შემდგომ განვითარებას და ამიტომ ჩვენს აღმშენებლობაში თამამად უნდა დავეყრდნოთ მეცნიერებისა და ტეხნიკის უახლოეს მიღწევებს. მეცნიერები სწორად მიგვითითებენ რუტინის საშიშროებაზე ჩვენს აღმშენებლობაში. ჩვენ, რევოლუციონერები პოლიტიკაში, გამოუცდელობის გამო ზოგჯერ კონსერვატორები ვართ ტეხნიკაში.

თქვენ, მეცნიერებს და ინჟინრებს—ამთავრებს ამხ. რიკოვი—გეკუთვნით რევოლუციონერების როლი ტეხნიკაში და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მოგცეთ თქვენ ნაყოფიერი მუშაობის საშუალება და ფართოდ გამოვიყენოთ თქვენი ინიციატივა.

წერილში წამოყენებულ საკითხების განსახილველად—ამბობს ამხ. რიკოვი—მთავრობა ფიქრობს დანიშნოს განსაკუთრებული კომისია მეცნიერთა მონაწილეობით ყველა საჭირო ღონისძიებათა დასამუშავებლად“.

მეცნიერ-ქიმიკოსების წერილი ამხ. რიკოვს

მეცნიერ-ქიმიკოსების მიერ ამხ. რიკოვისათვის გადაცემულ წერილში ნათქვამია შემდეგი:

„ძირითად პირობას ინდუსტრიალიზაციის წარმატებით გატარებისათვის საბჭოთა კავშირში წარმოადგენს მეცნიერულ საფუძვლის მიცემა სამეურნეო და კულტურულ განვითარების გენერალურ გეგმისათვის. ამავე დროს კი ხუთწლიანი გეგმა და განსაკუთრებით გენერალური გეგმა საკმაოდ ვერ უწევენ ანგარიშს მეცნიერებისა და ტეხნიკის განვითარების იმ ახალ გზებს, რომლებსაც შეუძლია მოგვცეს სრულიად თავისებური შედეგები საბჭოთა კავშირის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის დარგში. ეს გეგმები უმეტეს ნაწილად წარმოადგენენ უცხოეთის ტეხნიკის არსებულ დახავსებულ, ხშირად ჩამორჩენილ ფორმებს. ამრიგად გეგმების მიერ დასახული ღონისძიებები ძლიერ ხშირად ვერ არის ტეხნიკურად საკმაოდ მიზანშეწონილი და ეკონომიურად რაციონალური.

ის უდიდესი გადატრიალება, რომელიც მოხდა უკანასკნელ დროს შეხედულებებში ნივთიერების ელემენტარული ბუნებაზე, შეადგენს ეპოქას მეცნიერების ისტორიაში. ქიმიის დარგში უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში სწარმოებს მატერიის აგებულებაში შეჭრის ცდები, რომლებიც უსაზღვრო შესაძლებლობას ხსნის მის ტეხნიკურად გამოყენებისათვის. ახალმა ქიმიამ შექმნა ჯერ სრულიად უცნობი მასალები—ხელოვნური ბოჭკო, ნავთი, ტყავი, კაუჩუკი; პლასტიური მასები; მთრიმლავი ნივთიერებანი, მსუბუქი შენადნობები და სხ., თავის შემდგომ განვითარებაში ქმნის რევოლუციას სამრეწველო ეკონომიკაში და არსებითად სცვლის საერთაშორისო ბაზარზე სათანადო ნედლეულის კონიუნქტურას. ამიტომ სამეურნეო განვითარების გენერალურმა გეგმამ მხედველობაში უნდა მიიღოს თანამედროვე მეცნიერების ყველა ახალი გზები, რომლებიც ნათლად აშუქებენ ქიმიის გავლენის ზრდას მრავალ მექანიკურ პროცესების—ქიმიურ-ტეხნოლოგიურ პროცესებით შეცვლის მხრივ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში თავდაცვის საქმეში და კერძო ყოფაცხოვრებაშიც კი.

მაგალითად გენერალური გეგმა, რომელსაც ელექტროფიკაცია მიაჩნია ერთადერთ სამრეწველო გზად ენერგიის მიღებისათვის, გვერდს არ უნდა უვლიდეს გაზოფიკაციას. გაზოფიკაცია წარმოადგენს ქიმიურ-ტეხნოლოგიურ პროცესს, რომელსაც შეუძლია შექმნას სითბოს, სინათლის და სამოძრაო ენერგიის ახალი, ზოგჯერ უფრო ხელსაყრელი წყაროები სამეურნეო აღმშენებლობის ხუთწლიანი გეგმის ფარგლებშიაც კი ჩვენს პირობებში და მცირე მატერიალური სახსრებით სავსებით შეიძლება განხორციელებულ იქნას მთელი რიგი ღონისძიებები, მიმართული ცალკე ტეხნოლოგიურ პროცესების ქიმიზაციისაკენ. ამ ღონისძიებებს შეუძლია გამოიწვიოს უდიდესი გადატრიალება და ძირეულად შესცვალოს წარმოების როგორც ტეხნიკური ფიზიონომია, ისე ეკონომიური სტრუქტურა ლითონის მრეწველობის მანქანების მშენებლობის, სამთო საქმის, ტრანსპორტის და სხვა დარგებში, მნიშვნელოვნად შეამციროს პროდუქციის თვით ღირებულება და გაადიდოს კაპიტალური ხარჯების რაოდენობა“.

შემდეგ წერილი კონკრეტულად ასაბუთებს ამ ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის და აღნიშნავს, რომ გეგმიან და სამეცნიერო მუშაობის ფართოდ გატარებასთან ერთად მრეწველობის მიმდინარე საჭიროებისათვის, ფართოდ უნდა გადაიდოს სახსრები გეგმის გარეშე თეორეტიულ მუშაობისათვის. მომზადებულ ქიმიკოსების კადრის გასადიდებლად საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერებულ იქნას უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული ქიმიურ-ტეხნოლოგიური ფაკულტეტები და განყოფილებები. საჭიროა გაძლიერებულ იქნას ქიმიის სწავლება საშუალო სკოლაში. საჭიროა ყოველმხრივ იქნას შევსებული უმაღლეს სასწავლებლების, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლების და საგამოკვლევო ინსტიტუტების ლაბორატორიები უახლოესი სამეცნიერო დამხმარე ხელსაწყოებით და ლიტერატურით. საჭიროა გაძლიერებულ იქნას ჩვენი სამეცნიერო და სამრეწველო ორგანიზაციების კავშირი უცხოეთის მოწინავე ქვეყნებთან. საჭიროა მაქსიმალური ყურადღება მიექცეს მუშაობას ქარხნების ლაბორატორიების მოსაწყობად და უკეთეს პირობებში იქნას ჩაყენებული ქარხნების ტეხნიკურ პერსონალის შრომა მისი კვალიფიკაციის აწევის მიზნით. ვინაიდან ქიმიას აქვს უდიდესი მნიშვნელობა საბჭ. კავშირის მეურნეობის შემდგომ განვითარების და გაჯანსაღების საქმეში, საჭიროა გადიდებულ იქნას ქიმიურ მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის საერთო ბალანსში და გადიდებულ იქნას საერთო სახელმწიფო ასიგნობანი ახალ ქიმიურ ქარხნების ასაგებათ.

წერილს ხელს აწერს 37 ცნობილი მეცნიერი, მათ შორის აკადემიკოსები იპატიევი, ლაზარევი, კურნაკოვი, ფერსმანი, პროფესორები ზავორსკი, ბახი და სხვები (ადს).

მემაღაროეთა ერთიანი ფრონტისათვის

რუსეთ-შვეციის მემაღაროეთა თანამშრომლობის კომიტეტის მიმართვა

მოსკოვი, 19 მარტი. რუსეთ-შვეციის მემაღაროეთა თანამშრომლობის კომიტეტი მემაღაროეთა ყველა კავშირებსა და გაერთიანებებს მიმართავს მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ევროპის ქვანახშირის მრეწველობის მთელი კრიზისი ბურჟუაზიას გადააქვს მემაღაროეთა ზურგზე.

„შრომისა და კაპიტალის ამ მძიმე ბრძოლაში, — ნათქვამია მიმართვაში, — საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა კავშირი, რომელიც თუმცა ფორმალურად არ შედის სამთამადნო მუშების საერთაშორისო ფედერაციაში, მაგრამ რომელიც ერთგულია ინტერნაციონალურ პროლეტარულ სოლიდარობის პრინციპების, მუდამ უწევდა მატერიალურ და მორალურ დახმარებას სხვა ქვეყნების მემაღაროეებს კაპიტალთან ბრძოლაში. დარწმუნებული იმაში, რომ სამთამადნო მუშების საერთაშორისო ფედერაციის ეხლანდელი აღმასკომის დიდ უმრავლესობას არ შესწევს ძალა გააერთიანოს ყველა ქვეყნის მემაღაროეები და უხელმძღვანელოს კაპიტალთან ბრძოლას,— რუსეთ-შვეციის მთლიანობის კომიტეტი მოუწოდებს მემაღაროეთა ყველა კავშირებს შეერთებული ბრძოლისაკენ და მემაღაროეთა საერთაშორისო მებრძოლი ინტერნაციონალის შესაქმნელად მემაღაროეთა ყველა კავშირებისა და გაერთიანებათა მთლიანობის საერთაშორისო კონგრესის მოწვევით“ (ადს).

პროფინტერნის მეოთხე კონგრესი

მოსკოვი, 19 მარტი. გაიხსნა პროფინტერნის მე-4 კონგრესი, რომელსაც ესწრებიან 40 ქვეყნის პროფორგანიზაციების წარმომადგენლები. კონგრესის გახსნას საზეიმო ხასიათი ჰქონდა.

კონგრესს ხსნის ამხ. ლოზოვსკი:

„საერთაშორისო რეაქციის გაძლიერებასთან ერთად,—ამბობს ამხ. ლოზოვსკი,—იზრდება და მტკიცდება მუშათა საერთაშორისო მოძრაობაც. პროფინტერნის მე-4 კონგრესი, რომელსაც მთელი ქვეყნის მუშათა რევოლუციონურ მოძრაობის წარმომადგენლები ესწრებიან, საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ ბურჟუაზიის ძალების წინააღმდეგ იზრდება საერთაშორისო პროლეტარიატის დარაზმული ძალები“.

პრეზიდიუმის, სამდივნოსა და სამანდატო კომისიის არჩევისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, მისასალმებელი სიტყვით საკავშირო პროფსაბჭოს სახელით გამოვიდა ამხ. ტომსკი, რომელმაც დაახასიათა საბჭოთა პროფმოძრაობის ძირითადი ამოცანები. ამ ამოცანებს უმთავრესად, წარმოადგენს წარმოების რაციონალიზაცია და კულტურული რევოლუცია.

შემდეგ კონგრესს მიესალმენ იტალიის, ფილიპინის, ნორვეგიის და სხვა ქვეყნების პროფორგანიზაციების წარმომადგენლები. (ადს).

ამხ. ლოზოვსკის მოხსენება საერთაშორისო პროფმოძრაობის შესახებ

მოსკოვი, 19 მარტი. 19 მარტს დილის სხდომაზე პროფინტერნის კონგრესმა მოისმინა ამხ. ლოზოვსკის მოხსენება საერთაშორისო პროფმოძრაობაზე.

კაპიტალიზმი,—განაცხადა ლოზოვსკიმ, ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობისათვის ბრძოლის გამწვავებულ პერიოდში იმყოფება. კაპიტალისტური სისტემის კრიზისს კიდევ უფრო აძლიერებს საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური ზრდა. უდიდესი კაპიტალისტური სახელმწ. ერთი მხრით ერთი მეორის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ემზადებიან, ხოლო მეორე მხრივ ცდილობენ შექმნან ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

უდიდესი ეკონომიური კონფლიქტები შრომასა და კაპიტალს შორის მუშების დამარცხებით დამთავრდა მწარმოებელთა უფრო მეტი ორგანიზაციულობის და თვით მუშათა მოძრაობაში ერთიანი ფრონტის უქონლობის გამო. რეფორმისტული პროფკავშირები ფაქტიურად [illegible] მწარმოებელთა ორგანიზაციებს. კაპიტალის და რეფორმიზმის თანამშრომლობა ზრდის მასების უნდობლობას რეფორმისტულ [illegible] და აუცილებელს ხდის პროლეტარიატის დამოუკიდებელ გამოსვლას კაპიტალის წინააღმდეგ. მასსების ასეთი გამემარცხენება ქმნის ნიადაგს პროფინტერნის იდეური გავლენის გაძლიერებისათვის ყველა ქვეყნებში. პროფინტერნის თანამშრომლებმა არ [illegible] უნდა დაივიწყონ, რომ ეკონომიურ ბრძოლებში გამარჯვების მისაღწევად აუცილებელია [illegible] და კაპიტალის აგენტების [illegible] რეფორმისტ. პროფმოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოებიდან. იმ დროს, როდესაც ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში სწარმოებს შეტევა მუშების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირში პროფკავშირების როლი ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო და უფრო იზრდება. მასსების ეკონომიური მდგომარეობა უმჯობესდება. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირი ყველა ქვეყნის მუშებს იზიდავს. პროფინტერნის მთავარი ლოზუნგი უნდა იქნეს—ერთიანი ფრონტის შექმნა ქვევიდან—წარმოებებიდან და ქვედა პროფორგანიზაციებიდან.

ერთიანი ფრონტის ტაქტიკა უნდა ემყარებოდეს არა ცარიელ მოლაპარაკებას, არამედ ღრმად დაურაზმავ მასსების ორგანიზაციულ დარაზმვას. პროფინტერნის მოქმედების პროგრამა ითვალისწინებს ბრძოლას სამუშაო დღის გადიდების [illegible], ბრძოლას ხელფასის გადიდებისა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა, პროფკავშირთა დემოკრატიის შემოღებისა, დაურაზმავ და არაკვალიფიციურ მუშების პროფორგანიზაციებში ჩაბმისათვის, ბრძოლას სავალდებულო არბიტრაჟისა და ბურჟუაზიულ სასამართლოებში შრომის კონფლიქტების გარჩევის წინააღმდეგ, ბრძოლას ერთიანი ფრონტის შესაქმნელად. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ზაბრენის წინადადება

პარიზი, 18 მარტი. დეპუტატთა პალატამ უარჰყო დეპუტატ ზაბრენის წინადადება სახელმწიფო მოხელეებისათვის პროფკავშირის წევრის უფლების მინიჭების შესახებ. (ადს).

მემარცხენე ბლოკის პალატის უკანასკნელი სესია

პარიზი, 18 მარტი. დეპუტატთა პალატამ დაამთავრა თავისი სესია (პალატის ეხლანდელი შემადგენლობის უკანასკნელი სესია).

ახალი შემადგენლობის პალატა არჩეულ იქნება აპრილში. დეპუტატები გაემგზავრენ საარჩევნო ოლქებში, რათა შეუდგენ საარჩევნო კამპანიას. (ადს).

სოციალ-დემოკრატებმა ჩაშალეს

ბერლინი, 19 მარტი. რეიხსტაგის იურიდიულ კომისიის გუშინდელ სხდომაზე ამნისტიის შესახებ კანონპროექტების განხილვის დროს, ცენტრის წარმომადგენელმა მოითხოვა ამნისტიიდან, ისეთ ბრალდებულთა გამორიცხვა, რომლებსაც ბრალდება მკვლელობა, მკვლელობის განზრახვა, ან ასეთ განზრახვაში მონაწილეობის მიღება. ეს წინადადება ამნისტიის გარეშე სტოვებს ერთის მხრით ყველა იმათ, ვისაც ბრალდება ფარულ კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციების წევრთა მოკვლა, მეორე მხრივ-კი მრავალ პროლეტარულ პოლიტპატიმრების მონაწილეთ, რომლებიც დაპატიმრებული არიან, როგორც მკვლელობაში მონაწილენი, სხვათა შორის აღნიშნული წინადადება ამნისტიის გარეშე სტოვებს მაქს გელცსაც. სოციალ-დემოკრატებმა ხმა მისცეს „ცენტრის“ წინადადებას, რომელიც მიღებული იქნა კომუნისტების და ნაციონალისტების ხმების წინააღმდეგ. (ადს).

საბჭოთა დელეგაციის დაბრუნება მოსკოვში

მოსკოვი, 19 მარტი. 19 მარტს ბერლინიდან მოსკოვში დაბრუნდნენ საბჭოთა ეკონომიურ დელეგაციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახკომისარიატის კოლეგიის წევრი შლეიფერი, და დელეგაციის წევრები—საბჭოთა კავშირის ვაჭრობისა და საგარეო საქმეთა სახკომისარიატის თანამშრომლები კაუფმანი და როზენბლიუმი. (ადს).

შეტაკება ჟანდარმერიასთან

ვენა, 19 მარტი. ათენიდან მიღებული ცნობების თანახმად, გუშინ იქ კომუნისტებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. დემონსტ. მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა. დემონსტრანტებსა და ჟანდარმერიას შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროს დაიჭრა ორი ოფიცერი. დაპატიმრებულია მრავალი დემონსტრანტი. (ადს).

შეერთებულ შტატების 15 ახალი კრეისერი

ვაშინგტონი, 18 მარტი. წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს 15 ახალი კრეისერის აგებას, თვითეული 10.000 ტონის წყალწყვით, რაც უნდა დაჯდეს 724 მილ. დოლარი. (ადს).

„[illegible]“ [illegible]

ლონდონი, 19 მარტი. 17 მარტს ავღანისტანის ფადიშაჰი დაესწრო მის ჩამოსვლის გამო მოწყობილ ინგლისის საჰაერო ძალთა ალლუმს. ვარჯიშობაში მონაწილეობას იღებდა 100 აეროპლანი, რომლებიც ჰაერში ასრულებდნენ სხვადასხვა ტაქტიკურ ამოცანებს. (ადს).

პროვოკატორ გურინის მოკვლის გარშემო

ვარშავა, 18 მარტი. „დზენიკ ვილენსკი“ ათავსებს დაწვრილებით ცნობებს პოლიციის აგენტის გურინის მოკვლის შესახებ, (გურინი ბრალდების ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო ბელორუსიის გრომადის პროცესზე). მკვლელმა აღმოაჩინა ბრაუნინგი ტყვიებით. „სამოსამართლო ხელისუფლებას, —სწერს გაზეთი,— ეშინოდა, რომ გურინი არ გამხდარიყო თავდასხმის მსხვერპლი, ამიტომ გადასწყვიტა, რომ გურინს ჩვენება მიეცა პოლიციის მფარველობის ქვეშ“.

გაზეთი ათავსებს რა გურინის ბიოგრაფიას, იუწყება, რომ გურინი წინედ სცემდა ჟურნალ „ბოლშევიკ“-ს, რომელიც ილაშქრებდა დასავლეთი ბელორუსის კომპარტიის წინააღმდეგ. გურინმა საკუთარი ინიციატივით პოლიციის კომისარს იასინსკის მისცა ჩვენება გრომადის მუშაობის შესახებ. გრომადის პროცესზე გურინს, გაზეთის სიტყვით, უნდა მიეცა სენსაციური ჩვენება კომინტერნის მიერ შექმნილი ბანდის თავდასხმის შესახებ სტოლბცაზე“.

გურინის მოკვლის შესახებ ცნობის მოთავსებისათვის გაზეთ „დზენიკ ვილენსკი“-ს და აგრეთვე გაზეთ „სლოვო“-ს კონფისკაცია უყო საცენზურო ხელისუფლებამ. გაზეთების კონფისკაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ჟურნალისტთა კავშირმა ვილნოში გამოაცხადა სამი დღის გაფიცვა. გურინის მოკვლამ ნერვიული განწყობილება შექმნა სასამართლოს დარბაზში. გაძლიერებულია კონტროლი სასამართლოში შემსვლელებზე. გურინის მოკვლასთან დაკავშირებით პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა და დაპატიმრებანი. დაპატიმრებულია ტარაშკევიჩის ცოლი. პრესა იუწყება, რომ ღამით ვილნოს ქუჩებში დაჰყარეს კომუნისტური მოწოდებანი პროცესის შესახებ. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საფეიქრო ფაბრიკებში

მოსკოვი, 19 მარტი. მოსკოვის გუბერნიის მთელი რიგი დიდი საფეიქრო ფაბრიკები გადაყვანილი იქნა შვიდი საათის სამუშაო დღეზე. მუშაობა სწარმოებს სამ ცვლად. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვანი ეფექტი გამოიღო საფეიქრო ფაბრიკების პროდუქციის ზრდის მხრივ. წინანდელთან შედარებით აღნიშნულ ფაბრიკებში ქსოვილების გამომუშავება ერთნახევარჯერ გაიზარდა.

პლანერების სადგური

მოსკოვი, 19 მარტი. 18 მარტს გაიხსნა საპლანერო სადგური. ამასთან ერთად, რათა საპლანერო საქმე გაფართოვდეს, საჭიროდ იქნა ცნობილი სათანადო სპეციალისტების მომზადება. ამ მიზნით სადგურთან ერთად გახსნილია პლანერისტების კურსები.

პიატიგორსკის სასმელი წყლები

მოსკოვი, 19 მარტი. მთავარი საკურორტო სამმართველო მომავალ საგარაკო სეზონში ახდენს პიატიგორსკის სასმელ მინერალურ წყლების სამკურნალო საშუალებათა გამოყენების პირველ ცდებს. წყლები გამოყენებულ იქნება კუჭის, ნაწლავების სნეულებათა და გინეკოლოგიურ ავადმყოფობათა სამკურნალოდ.

სპეციალისტების რაციონალური გამოყენება

მოსკოვი, 19 მარტი. „ვეჩერნაია მოსკვა“-მ აღძრა საკითხი სპეციალისტების რაციონალურად გამოყენების შესახებ. საკითხი უმთავრესად ეხება მოსკოვში, ლენინგრადში და საბჭოთა კავშირის სხვა მსხვილ ქალაქებში მცხოვრებ სპეციალისტებს. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებულ პირებისა არ მიდიან სამუშაოდ პროვინციებში. ბევრი მათგანი ამჯობინებს იმ ქალაქებშივე დარჩენას, სადაც მათ განათლება მიიღეს და მუშაობენ სრულიად არა თავის სპეციალობის მიხედვით. მოსკოვში, მაგალითად, ხშირია შემთხვევები; როცა სპეციალისტები მუშაობენ უბრალო მოანგარიშეებათ, საქმეთა მმართველებად, გამყიდველებათ და სხვა. არიან აგრეთვე უმუშევარი სპეციალისტებით.

ისეთებს, რომელნიც დიდი ხანია უმუშევრებათ ირიცხებიან და არ მიდიან მოსკოვიდან პროვინციაში სამუშაოდ, შრომის ბირჟა ხსნის აღრიცხვიდან და წინადადებას აძლევს მათ გაემგზავრონ ადგილებზე სამუშაოდ თავიანთ სპეციალობის მიხედვით.

ახალი ელექტროსადგური

მოსკოვი, 19 მარტი. დასრულდა ტრიოხგორნი მანუფაქტურის ახალი ელსადგურის აშენება. სადგურის ღირებულება ხუთ მილიონ მანეთს უდრის. ტრიოხგორნის მანუფაქტურის წარმატებით მუშაობისათვის აღნიშნულ ახალ სადგურს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსკოვის ელსადგურები ვერ აკმაყოფილებენ სათანადო რაოდენობით ელექტრონის ენერგიაზე არსებულ გაძლიერებულ მოთხოვნილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.-კ. ცაკის მესამე სესია ბაქოში

16 მარტის საღამოს სხდომა

ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი

ამხ. ნაზარეტიანის თანამოხსენება

ამხ. გუსეინოვის მოხსენების შემდეგ თანამოხსენებით გამოდის ამხ. ნაზარეტიანი.

„ამ.-კავკ. ცაკის საბიუჯეტო კომისიას მიმდინარე წელს—ამბობს ამხ. ნაზარეტიანი,—პირველად ეძლევა შესაძლებლობა გამოვიდეს სესიის სხდომაზე. თავის მუშაობას კომისია შეუდგა მხოლოდ 1926—27 წლის დასაწყისში. იმ მოკლე დროის განმავლობაში, სანამ ამ.-კავ. სახკომსაბჭო და ამ.-კავკ. ცაკი დაამტკიცებდენ ბიუჯეტს, საბიუჯეტო კომისიამ მოიწვია 1926 წლის ოქტომბერში თავისი პირველი პლენუმი, რომელზედაც მოაწოდა ა.-კ. ცაკს თავისი დასკვნები ამ.-კავ. ს. ფ. ს. რ. 1926—27 წლის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. 1924-25 წლის სახელმ. ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ამასთანავე მან დასახა ამ.-კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბიუჯეტის შემდგომი განვითარების მთავარი მომენტები და აღნიშნა ა.-კ. ფედერაციის საბიუჯეტო უფლებების განმტკიცებისა და გაფართოების და ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა და მასში შემავალ რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების საკანონმდებლო თვალსაზრისით ჩამოყალიბების აუცილებლობა. საბიუჯეტო კომისიის მეორე პლენუმმა მიუთითა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. 1926—27 წ. ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფაზე, განიხილა ამ.-კავ. ს. ფ. ს. რ. და მასში შემავალ რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების პროექტი და გამოჰყო მთელი რიგი ქვეკომისიები საბიუჯეტო მშენებლობის ცალკე დარგების შესასწავლად და დასამუშავებლად. ამის შემდეგ საბიუჯეტო კომისიის პრეზიდიუმი მონაწილეობას ღებულობდა საბიუჯეტო უფლებების პროექტის შემუშავებაში

შემდეგ ამხ. ნაზარეტიანი იძლევა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ბიუჯეტის შეფასებას სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით და მთელი რიგი ციფრებით ადასტურებს, რომ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ბიუჯეტში თანდათან იზრდება ხარჯები, იზრდება აგრეთვე მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ამავე დროს მცირდება ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები. ბიუჯეტის ზრდის ტემპისა და სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდების ზრდის ტემპის შეფარდება გვაჩვენებს, რომ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალური ბაზრის გაფართოვება ჩვენს ბიუჯეტში გადამწყვეტ მნიშვნელობას ღებულობს. ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მრეწველობისათვის გაღებულ ხარჯთა თანხიდან ამ ორი წლის განმავლობაში 19.4 მილ. მან., ანუ 73 პროც. მოხმარდა ახალ მშენებლობას და მხოლოდ 7,1 მილ. მ., ანუ 30 პროც.—რეკონსტრუქციას, ლაზალოვებით. ახალი მშენებლობის ასეთივე პროცენტი არის განზრახული 1927—28 წლისათვისაც. ახალი მშენებლობის განსაკუთრებული როლი ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მრეწველობის კაპიტალური ხარჯების საერთო თანხაში აიხსნება მრეწველობის დაბალი ხვედრითი წონით ა.-კ. ფედერაციის მეურნეობის საერთო სისტემაში და აგრეთვე მრეწველობის ძირითადი კაპიტალის სიმცირით. კაპიტალური ხარჯები ელექტროფიკაციის დარგში განსაკუთრებით ახალი მშენებლობის ხასიათს ატარებს. კაპიტალური ხარჯები ა.-კ. ს. ფ. რ. სასოფლო მეურნეობაში, უმთავრესად, ირიგაციით გამოწვეული. ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ბიუჯეტის გასავლის საერთო ჯამში ფინანსების მიწოდება სახალხო მეურნეობისათვის ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 13 მილ. მანეთიდან თითქმის 81 მილ. მან.-დე გაიზარდა და მან თავისი მნიშვნელობით (82 პროც.) პირველი ადგილი დაიკავა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ბიუჯეტის გასავალში.

ჩერდება რა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის შეფარდებაზე, ამხ. ნაზარეტიანი აღნიშნავს ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებისა და მნიშვნელობის სისტემატიურ ზრდას. ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდის ტემპი სჭარბობს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის ტემპს.

ადგილობრივ ბიუჯეტს თანდათან უფრო ნაკლებად სჭირდება სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარება და ადგილობრივი ბიუჯეტი იჩენს ტენდენციას თავისი დამოუკიდებლობის გაძლიერებისაკენ. მაგრამ ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტიანობას ქრონიკული ხასიათი აქვს და სჭარბობს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტიანობას. მთავარი მიზეზი ამ დეფიციტიანობისა მდგომარეობს იმაში, რომ ადგილობრივ ბიუჯეტს მეტად სუსტი ეკონომიური ბაზა აქვს.

ა.-კ. ს. ფ. რ. სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის შეფარდების პრობლემის გადაჭრის დროს,—ამბობს ამხ. ნაზარეტიანი,—მორიგ ამოცანად უნდა დავისახოთ ადგილობრივი ბიუჯეტისათვის სპეციალური სახელმწიფო დახმარების თანდათანობით შემცირება.

შემდეგ, უკეთებს რა ანალიზს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ამხ. ნაზარეტიანი აღნიშნავს, რომ გეგმიანობის გაძლიერება ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ბიუჯეტში უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის მტკიცედ შესრულების უზრუნველყოფასთან დასახულ და დამტკიცებულ საფინანსო გეგმის ფარგლებში. თუ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის შესრულებაში მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს, სამაგიეროდ გასავლის ნაწილებში სისტემატიურად ადგილი აქვს გარდამეტ ხარჯებს. შარშან ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის 105 პროცენტით შესრულების დროს საგადასახადო შემოსავალი გვაძლევს შესრულებას 114 პროც., ხოლო არასაგადასახადო შემოსავალი—97,5 პროცენტით. ამრიგად არა საგადასახადო შემოსავლის შეუსრულებლობას ანაზღაურებს საგადასახადო შემოსავლის შესრულების გადამეტება. სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ნაწილის შესრულება ჩვეულებრივად სჭარბობს სახალხო კომისარიატების წინასწარ განსაზღვრულ ხარჯებს. აღვნიშნავთ რა ერთი მხრით იმ არა-საგადასახადო შემოსავლის შეუსრულებლობას, რომელიც ჩვენი მეურნეობის საწარმოო ნაწილს ახასიათებს და მეორე მხრით სახალხო კომისარიატების მიერ სამომხმარებლო ხარჯების გადამეტებას,—გადაჭრით უნდა დავაყენოთ საკითხი იმის შესახებ, რომ ძირ-ფესვიანად აღმოფხვრათ ეს ტენდენცია ჩვენი ბიუჯეტის შესრულების პრაქტიკაში. ამ პრაქტიკის გაჯანსაღება უსათუოდ ხელს შეუწყობს გეგმიანობის გაძლიერებას ა.-კ. ს. ფ. ს. რ. 1927—28 წ. სახელმწიფო ბიუჯეტში.

ამხ. ნაზარეტიანი აღნიშნავს, რომ საგადასახადო შემოსავალი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მთლად დამაკმაყოფილებელი არ არის, საჭიროა ახლავე მივიღოთ კონკრეტული ზომები ჩვენი შემოსავლის გასაძლიერებლად. ჩვენს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კაპიტალური ხარჯების ეფექტივობის ზრდას. ამიერ-კავკასიის ირიგაციისათვის გაწეული კაპიტალური ხარჯების უკანასკნელმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ამ ხარჯების ეფექტივობა მუშაობის დამთავრების ვადის მხრით უმნიშვნელოა და შედარებით მცირე შედეგები საკმაოდ მკვიდრი არაა. მრეწველობისა და ელექტროფიკაციის დარგში კაპიტალური ხარჯების გამოკვლევამაც დაადასტურა მუშაობის დამთავრების დაგვიანება. საჭიროა მრავალრიცხოვანი ტექნიკურ-ორგანიზაციული და ეკონომიური ხასიათის დეფექტების აცილება კაპიტალური მშენებლობის დარგში, აუცილებლად საჭიროა კაპიტალური მშენებლობის კონტროლისა და შემოწმების გაძლიერება. საჭიროა მოვახერხოთ აგრეთვე მეტის-მეტად დიდი სააღმშენებლო ინდექსის შემცირება. ამხ. ნაზარეტიანი საგანგებოდ შეჩერდა ღარიბთა ფონდების გამოყენებაზე და აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატიდან მსესხებლამდე საჭიროა ათისა და ზოგჯერ მეტი განმანაწილებელი ინსტანციის გავლა, ამიტომ სესხი ზიანდება 9—10 თვეს. ღარიბთა ფონდების განაწილება რესპუბლიკების მიხედვით საკმაოდ დასაბუთებული არაა, რადგან ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს ციფრები სხვადასხვა რაიონის ღარიბთა რაოდენობის შესახებ მერყევია და ოდნავადაც დამაკმაყოფილებელი არ არის საკრედიტო ამხანაგობების ცნობები თავისი წევრების ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის შესახებ. ბევრ საკრედიტო ამხანაგობას ეჩნევა, რომ საკმაოდ გამოყენებული არაა ღარიბთა ფონდები, რომლებსაც ამხანაგობანი სხვა ოპერაციებში აბანდებენ, აგრეთვე ჩვეულებრივი მოვლენაა სესხის დაქუცმაცება. და ამიტომ სესხი გამოყენებული არაა დანიშნულებისამებრ.

ამხ. ნაზარეტიანი ეხება კრედიტების განაწილებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის და ამბობს, რომ ეს განაწილება ხდება ეგრეთ წოდებული ეკონომიური კოეფიციენტების საფუძველზე, რომლებიც დამუშავებულია ჯერ კიდევ 1924 წელს და შეადგენენ: საქართველოსათვის 45 პროცენტს აზერბეიჯანისათვის—35 პროცენტს და სომხეთისათვის—20 პროცენტს. ამ კოეფიციენტების ანალიზი, მათი აღნაგობის მეთოდოლოგიისა და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მათი გამოყენების პრაქტიკის თვალსაზრისით, — უდავოდ გვარწმუნებს, რომ სრულიად მიუღებელი და გამოუსადეგია, როგორც კრიტერიუმი კრედიტების გასანაწილებლად ცალკე რესპუბლიკებს შორის. ზოგადი ეკონომიური კოეფიციენტები გადაჭრით უნდა უარვყოთ, როგორც კრიტერიუმი კრედიტების განაწილებისათვის. ეს ჩვენი განვითარების უკვე განვლილი ეტაპის ნაშთია. რესპუბლიკებს შორის კრედიტების განაწილებას, მეტადრე სასოფლო მეურნეობის დარგში, საფუძვლად უნდა დაუდოთ საჭიროებათა გულდასმით შესწავლა თვითეული დარგისა და თვითეული მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, ამავე დროს ძირითად ბაზისად უნდა გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა და თვითეული წლის საკონტროლო ციფრები.

შემდეგ ამხ. ნაზარეტიანი ეხება საადმინისტრაციო - სამმართველო ხარჯების 20 პროცენტიან შემცირებას და ამბობს: ამ საკითხში უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოების დირექტივები პირველ სახარჯთ-აღრიცხვო - საბიუჯეტო სტადიაში მთლიანადაა შესრულებული. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახ. კომისარიატებისა და დაწესებულებების საადმინისტრაციო - სამმართველო ხარჯები 1927—28 წლის ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით შემცირებულია 14.263.000 მანეთიდან 11.410.000 მანეთამდე, ე. ი. 2.853.000 მანეთით ანუ 20 პროცენტით. როგორც ობიექტიური, ისე სუბიექტიური ფაქტორების წყალობით დირექტივის შესრულება მაქსიმალურ სიძნელეს წარმოადგენდა. ამჟამად განსაკუთრებული სიმწვავით სდგას 20 პროცენტიანი შემცირების საკითხი ვაჭრობის კომისარიატში, შრომის კომისარიატში, სახელმწიფო საგეგმო კომისარიატში და ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოში. ვაჭრობის კომისარიატმა თავისი ხარჯები მხოლოდ 4 ნახევარი პროცენტით შეამცირა და შემდგომს შემცირებაზე უარს აცხადებს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის აზრით, დირექტივის შესრულებისათვის საჭიროა მისი აპარატის ერთიორად შემცირება მაინც, ამიერ-კავკასიის ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო საკითხს სვამს თავისი მუშაობის გეგმის თვალსაჩინოდ შემოკლების შესახებ.

ამ სახ. კომისარიატების მიერ დირექტივების შესრულების საკითხს ამიერ-კავკასიის მთავრობა უმაღლეს საკავშირო ორგანოების წინაშე სვამს. ადგილობრივი ბიუჯეტი დირექტივა საშუალოდ შესრულებულია 20 პროცენტით, რაც ერთ ნახევარ მილიონ მანეთის მომჭირნეობას იძლევა. საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირება სრულებით არ შეხებია ქვედა საბიუჯეტო ერთეულებს, რადგან მათი შტატები მეტად მცირეა და მათ შესანახად საჭირო ხარჯები უმნიშვნელოა. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გაწეული ეკონომია 2.853.000 მანეთი მოხმარდა სოციალურ-კულტურულ ხარჯების გადიდებას და ნაწილი სახალხო მეურნეობის ფინანსებით მომარაგების გაძლიერებას.

ამხ. ნაზარეტიანი თავის მოხსენებას ამთავრებს ბიუჯეტების შედგენის საკითხებით, ორატორი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ სამ წელიწადში არასაგადასახადო შემოსავალი ერთი-ორად და კიდევაც მეტად გაიზარდა, რაც ამ შემოსავალს ხდის ბიუჯეტის ძირითად საშემოსავლო ბაზისად. დოტაცია საკავშირო თანხებიდან 32.500.000 მანეთიდან (1925—26 წ.) ჩამოვიდა 3 ნახევარ მილიონ მანეთამდე (1927—28 წ.), ე. ი. 10-ჯერ შემცირდა. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ამიერ-კავკასიისათვის მინიჭებულ საბიუჯეტო უფლებათა ფარგლებში ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის დეფიციტიანობა შეიძლება ლიკვიდაციის საზღვარზე ჩავთვალოთ. სრულიად მომწიფდა ის მომენტი, როდესაც რეალურ საკითხად უნდა ჩაითვალოს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის უდეფიციტოდ შედგენა უკვე შემდეგ საბიუჯეტო წელს. ამიერ-კავკასიის მიმდინარე წლის ბიუჯეტი შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც უკანასკნელი დეფიციტიანი ბიუჯეტი, რომელიც ამთავრებს მშენებლობის დეფიციტიანი ბიუჯეტის ეპოქას და იწყებს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ უდეფიციტო ბიუჯეტის ხანას. დასასრულ, ამხ. ნაზარეტიანი აღნიშნავს სახელმწიფო ბიუჯეტის აგების დიდ სიძნელეს ისეთ პირობებში, როდესაც საკმაოდ გამორკვეული არაა ეკონომიური კონიუნქტურა სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის მომენტისათვის და როდესაც საბიუჯეტო წელი იწყება 1 ოქტომბერს.

უკანასკნელი სხდომა

სესიის 17 მარტის საღამოს სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. გუსეინოვისა და ნაზარეტიანის მოხსენებათა გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მირ-ბა-შირ კასუმოვმა (აზერბეიჯანი), ლომიძემ (საქართველო), ილდრიმმა (აზერბეიჯანი), ბალიანმა (სომხეთი), ბურჯანაძემ (საქართველო), ვეზიროვმა (აზერბეიჯანი), კარინიანმა (სომხეთი), გამიზარდაშვილმა (საქართველო), რაგიმ გუსეინოვმა (აზერბეიჯანი) და ჩანბამ (აფხაზეთი), რის შემდეგ მოსმენილ იქნა მომხსენებელთა საბოლოო სიტყვები.

ამხ. ნაზარეტიანის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ნაზარეტიანი აცხადებს, რომ მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გამოთქმული შენიშვნები მხედველობაში იქნება მიღებული სესიის რეზოლიუციის შედგენისა და აგრეთვე შემდგომ პრაქტიკულ მუშაობის დროს. შემდეგ ის მიუთითებს, რომ თემის, დაბის და უბნის ბიუჯეტის საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული ეკონომიურ რაიონებად დაყოფის საკითხთან. „მე ვფიქრობ,—ამბობს ის,—რომ სესია დაავალებს ამიერ-კავკასიის მთავრობას დააჩქაროს რაიონებად დაყოფა, რათა უკეთ გადაიჭრას ადგილობრივი ბიუჯეტის საკითხი. საჭიროა ადგილობრივი ბიუჯეტის მოწესრიგება, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თემის, დაბისა და უბნის ბიუჯეტს მტკიცე ეკონომიურ საფუძველს შევქმნით.

ამხ. გუსეინოვის საბოლოო სიტყვა

ამხ. გუსეინოვი, ეხება რა კამათში აღძრულ ზოგიერთ საკითხებს, ეთანხმება იმ ორატორებს, რომლებიც მოითხოვდენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ობიექტის აღრიცხვის გაუმჯობესებას. მოთხოვნილება კრედიტების თავის დროზე გაცემის შესახებ, სწორია, მაგრამ ამასთანავე საჭიროა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის თავის დროზე შესრულებაც, მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში, ჩვენ საშემოსავლო ნაწილი უფრო ცუდათ შევასრულეთ, ვიდრე შარშან, ეხება რა საბინაო მშენებლობისა და საგამომცემლო საქმისათვის ასიგნობების გადიდების საკითხს, ამხ. გუსეინოვი ამბობს: ყველაფერი ეს—კარგი სურვილებია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ მცირე საშუალებები გვაქვს. მომავალი წლისათვის ჩვენ განზრახული გვაქვს სპეციალური საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნა, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს ჩვენს შესაძლებლობას ამ დარგში.

ამხ. ბალიანმა,—ამბობს შემდეგ ამხ. გუსეინოვი, წამოაყენა საყურადღებო წინადადება: ადგილობრივი მრეწველობა განვავითაროთ სააღმშენებლო მასალის წარმოების დარგში. ეს წინადადება მოითხოვს სერიოზულ შესწავლას. ერთი რამ უდავოა,—ჩვენი ადგილობრივი მრეწველობა მეტად სუსტია და საჭიროა, როგორც უკვე აღვნიშნე, ყოველწლიურად თანხების გაძლიერებით გადადება ამ საქმისათვის.

ამხ. გუსეინოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ გამოდის ა. კ. ცაკის მდივანი ამხ. შავერდოვი, რომელიც მოხსენებას აკეთებს პირველ და მესამე სესიის შუა ა. კ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ დეკრეტებისა და დადგენილებების შესახებ და შემდეგ სესიას აცნობს მთავრობის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს.

სესია ამტკიცებს სესიებს შორის მიღებულ დეკრეტებსა და დადგენილებებს.

შემდეგ სესია ამტკიცებს კომისიების მიერ შემუშავებულ რეზოლიუციებს ყველა მოსმენილ მოხსენებების შესახებ.

სესიის დღის წესრიგის უკანასკნელი პუნქტის—საორგანიზაციო საკითხების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. შავერდოვი.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მეორე მოადგილედ სესია ირჩევს ამხ. **საკო ამბარცუმიანს**, ამ.-კ. ცაკის პრეზიდიუმის წევრებად **მამია ორახელაშვილს** და **საკო ამბარცუმიანს** და ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის წევრის კანდიდატად ა.-კ. ცაკის მდივანს ამხ. **ტაგიევს**.

შემდეგ ბაქოს პიონერთა ერთ-ერთ რაზმის წინამძღოლი აქვეყნებს პიონერთა წერილობით მისალმებას სესიისადმი. ამ მისალმებას სესიის სახელით უპასუხებს ამხ. **მიხა ცხაკაია**.

ამის შემდეგ ამხ. მიხა ცხაკაია მოკლე საბოლოო სიტყვით ჯამს უკეთებს სესიის მუშაობას და, სესიას დახურულად აცხადებს (ადს).

ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ

თბილისის ინჟენერ-ტექნიკოსთა კონფერენცია

კვირას 18 მარტს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა თბილისის ინჟენერ - ტექნიკოსთა საქალაქო კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო საინჟენერო - ტექნიკურ ძალთა ცენტრალურ ბიუროს თაოსნობით. კონფერენციაზე გამოცხადდენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგების ინჟენერ - ტექნიკოსები და სხვა სპეციალისტები. პროფსაბჭოს დიდი დარბაზი ვერ იტევდა საზოგადოებას, რომელიც თითქმის მთლიანად სპეციალისტებისაგან შესდგებოდა.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იყო: 1) საქ. ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. ავაქოვის მოხსენება ეკონომიურ - კონტრ - რევოლიუციონური შეთქმულების შესახებ და 2) ინჟ. კაკაბაძის მოხსენება საბჭოთა აღმშენებლობისა და მასში ინჟენერთა როლზე. პირველად კონფერენციამ მოისმინა

ამხ. ავაქოვის მოხსენება

მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი და მასთან ერთად ყველა პატიოსანი მუშაკი,—განაცხადა მომხსენებელმა, — აღშფოთებულია დონის ოლქის მაღაროების ინჟენერთა ერთი ჯგუფის კონტრ - რევოლიუციონური ბოროტმოქმედებით. ეს კონტრ - რევოლიუციონური შეთქმულება არ არის შემთხვევითი მოვლენა იმდენად, რამდენადაც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა პროლეტარულ დიქტატურის ქვეყანასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის. მშრომელთა მიერ გაძევებულ კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციას და მათ შორის დონის მაღაროების ყოფილ მფლობელთ ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი ბრძოლაზე; ამ კონტრ - რევოლიუციონური შეთქმულების ინიციატორთა ჩამგონებელი არის საზღვარგარეთ მყოფი ემიგრაცია, რომლის ნების ასრულებას წარმოადგენდა შახტის რაიონის ინჟენერთა ერთი ჯგუფის კონტრ - რევოლიუციონური აქტი.

წინააღმდეგ ისტორიისაგან განწირულ კლასების მოლოდინისა, პროლეტარიატმა არა თუ გაანადგურა წარსულისაგან მიღებული კულტურული და ტექნიკური ღირებულება, არამედ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მის შემდგომ განვითარებას. ამ მძიმე მუშაობაში პროლეტარიატს თავისი მოვალეობის სრული შეგნებით გვერდში ამოუდგა სამეცნიერო - ტექნიკურ ძალთა საუკეთესო ნაწილი, რომელიც საბჭოთა კავშირში დარჩენილ ინჟენერ - ტექნიკოსთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენს.

სპეციალისტების დიდ უმრავლესობაზე იმედგაცრუებული ემიგრაცია - დასახმარებლად მიმართავს ინჟენერ - ტექნიკოსთა სრულიად უმნიშვნელო ნაწილს და მას ანდობს თავისი ბოროტ - ზრახვების განხორციელებას. ეს არის ხავსი, რომლისთვისაც ხელი ჩაუკიდია წყალწაღებულ ემიგრაციას.

ეს კონტრ - რევოლიუციონური შეთქმულება ჩვენ გამოგვადგება გაკვეთილად, რომელიც ბევრს რასმე გვასწავლის, ეს შემთხვევა უპირველეს ყოვლისა გვავალებს მშრომელ მასსების და სპეციალისტების კიდევ უფრო მჭიდრო შეკავშირებას, მუშათა კლასის და ინჟენერ - ტექნიკოსების გაერთიანებული საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებას მიმდინარე აღმშენებლობაზე. ამ საზოგადოებრივ კონტროლის საქმეში თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშონ ტექნიკურმა ძალებმა მათი პროფორგანიზაციის სახით.

— მე ვიცი, — ამბობს, დასასრულ მომხსენებელი, — რომ ამ კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულების აღმოჩენამ შეაშფოთა და შეაძრწუნა ჩვენი ქვეყნის ინჟენერ - ტექნიკოსები, რომელნიც სვამენ საკითხს, თუ რა გავლენას იქონიებს ამ ბოროტმოქმედების გამოაშკარავება მუშათა კლასის და ინჟენერ - ტექნიკოსების ურთიერთ დამოკიდებულებაზე. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არავითარ „სპეცჭამიობას" ადგილი არ ექნება, პარტია და საბჭოთა ხელისუფლება არავის ნებას არ მისცემს, რომ ეს შემთხვევა ვინმემ გამოიყენოს მშრომელ მასსების და ინჟენერ - ტექნიკოსებს შორის ურთიერთობის გამწვავების საბაბად, რადგან პარტიას და ხელისუფლებას ვერ წარმოუდგენია ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება სპეციალისტებთან მჭიდრო კონტაქტის და თანამშრომლობის გარეშე.

ამხ. ავაქოვის სიტყვას ფარავს მქუხარე ტაში.

საბჭოთა აღმშენებლობა და ინჟენერ-ტექნიკოსთა როლი ამ აღმშენებლობაში

მომხსენ. ინჟ. კაკაბაძე

რევოლიუციამ, — ამბობს მომხსენებელი,— ქვეყნის წინაშე დააყენა უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები — სახალხო მეურნეობის აღდგენის, მისი რეკონსტრუქციის, სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანები. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობამ არა თუ შესძლო იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებიდან მოყენებული ჭრილობების მოშუშება, არამედ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ მეურნეობის ყველა დარგებში. სახ. მეურნეობის ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი არის ინჟენერ - ტექნიკოსების როლი, რადგან ნგრევის შემდეგ მეურნეობის აღსადგენად, მის გარდასაქმნელად წარმოებულ მძიმე მუშაობის ტექნიკური ხელმძღვანელობის მთელი სიმძიმე დაეკისრა საინჟენერო - ტექნიკურ ძალებს.

ამ გრანდიოზულ მშენებლობაში ჩაბმულია ინჟენერ - ტექნიკოსთა 120 ათასიანი არმია, რომელიც არ ზოგავს თავის ცოდნას და ენერგიას ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის.

რასაკვირველია, სპეციალისტთა ასეთი მრავალრიცხოვანი ლაშქარი არ არის დაზღვეული იმისაგან, რომ იქ არ მოიპოვებოდეს რამოდენიმე მოღალატე, — მაგრამ ერთეულმა მოღალატეებმა არ უნდა დაჩრდილონ და შებღალონ ინჟენერ - ტექნიკოსთა მთლიანი ოჯახი, რომელმაც ამ ათი წლის მოღვაწეობით უკვე დაუმტკიცა მშრომელ მოსახლეობას, რომ მის თვის ძვირფასს საქმეს წარმოადგენს მუშაობა პროლეტარული ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის. ინჟენერ - ტექნიკოსთა მთელი მასსა დარწმუნებულია, რომ სრულიად უმნიშვნელო ჯგუფის მოღალატეობა არ შესცვლის მთავრობის, პარტიის და მთლიანად მუშათა კლასის დამოკიდებულებას ინჟენერ-ტექნიკოსებისადმი, რომ დამოკიდებულება მათ შორის დარჩება ისეთი, როგორიც იყო რევოლიუციის დიდი ბელადის ლენინის დამოკიდებულება სპეციალისტებისადმი.

ამხ. ხვედელიძის სიტყვა

შემდეგ პროფსაბჭოს სახელით სიტყვას ამბობს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ხვედელიძე, რომელიც, ეხება რა ინჟენერთა ერთი ჯგუფის კონტრ - რევოლიუციონური შეთქმულებას, ამბობს შემდეგს: მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ინჟენერ-ტექნიკოსთა უფრო მეტი აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ მუშაობაში. საკმარისი არ არის მუშაობა ამა თუ იმ სპეციალობის ვიწრო ფარგლებში. ინჟენერ - ტექნიკოსები უშუალოდ უნდა მოვიდენ მასსებთან — უნდა გააძლიერონ მოღვაწეობა პროფესიონალურ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებში — უპირველეს ყოვლისა, — საწარმოო - ეკონომიურ თათბირებში.

საბედნიეროდ, — საქართველოს სინამდვილეში არასოდეს ადგილი არ ჰქონია „სპეცჭამიობას". შახტის რაიონის ინჟენერთა ღალატმა შეიძლება შექმნას ნიადაგი ურთიერთობის გამწვავებისათვის, მაგრამ პროფსაბჭო მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ ამ მოვლენას ადგილი არ ჰქონდეს.

ინჟ. ლ. დიასამიძის სიტყვა

გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში მიმდინარეობს, — უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენ — ამ მშენებლობის მონაწილე სპეციალისტებს. დიდი დაკვირვება,— დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა გვჭირია, რომ თავიდან ავიცილოთ არა მარტო ზოგიერთი მოღალატის ბოროტმოქმედება არამედ თვით ჩვენი უნებური შეცდომები. საჭიროა უფრო მეტი თანამშრომლობა ერთმანეთშორის, გამოცდილების გაზიარება და ურთიერთ კონტროლი, რადგან განმარტოებას და დამოუკიდებლად მუშაობას აუცილებლად თან სდევს უფრო მეტი შეცდომები, ვიდრე შეთანხმებულ საქმიანობას.

შემდეგ სიტყვას ამბობს ინჟ. მქუასელი, რომელიც ამბობს, რომ ინჟენერ - ტექნიკოსებმა წინანდებურად არ უნდა შემოფარგლონ თავიანთი საქმიანობა თავისი სპეციალობის ვიწრო ჩარჩოებით და ფართო მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ მუშაობაში.

დასასრულ კონფერენციის მიერ ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი

რეზოლიუცია

თბილისის საინჟენერო - ტექნიკურ ძალთა საერთო - საქალაქო კრება ღრმა აღშფოთებით აღნიშნავს დონის ინჟენერ-ტექნიკოსთა შორის კონტრ - რევოლიუციონურ ჯგუფის არსებობის ფაქტს, იმ ჯგუფის, რომელსაც მიზნად ქონდა დასახული საბჭოთა სოციალისტურ მშენებლობის შეფერხება.

ხსენებულ ჯგუფის საქციელი წარმოადგენს არა მარტო მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს, არამედ ინჟენერ - ტექნიკურ ძალთა ოჯახის ღალატს იმ მომენტში, როცა ინჟენერთა მთელი მასა გაცხოველებულ სოციალისტურ მშენებლობას ეწევა მუშათა კლასთან ერთად.

კრება დარწმუნებულია, რომ სასამართლო სავსებით გამოაშკარავებს, რომ ხსენებულ ჯგუფი მთლიანად გათიშულია ინჟენერთა დანარჩენ მასსისაგან, რომელიც დაუშრეტელ ენერგიით ემსახურება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებას.

ამასთან ერთად, კრება აუცილებლად საჭიროდ სთვლის პროფორგანიზაციების დახმარებით გაძლიერდეს საინჟენერო - ტექნიკურ გაერთიანებათა მუშაობა, რისთვისაც ეს გაერთიანებები სისტემატიურად უნდა ეცნობოდენ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმას, სამრეწველო - ტექნიკურ წარმოებებს და მშენებლობას, ისმენდენ მოხსენებებს სამეურნეო ორგანოების მუშაობის შესახებ და სხვ.

კრება საჭიროდ ცნობს ცხოვრებაში გატარდეს უმაღლეს ორგანოების დადგენილება საინჟენერო - ტექნიკურ ძალთა კვალიფიკაციის აწევის შესახებ.

საინჟენერო - ტექნიკურ ძალთა საერთო საქალაქო კრება საინჟენერო - ტექნიკურ ძალებს მოუწოდებს კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდენ საერთო პროფესიონალურ ორგანიზაციების გარშემო და მათი საშუალებით უფრო მეტი კავშირი დაამყარონ მუშათა მასსებთან სოციალისტურ მშენებლობის საქმის წარმატებლად.

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეების ხმა

გუშინ, 19 მარტს, შესდგა რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

საინფორმაციო მოხსენებით დონის ოლქში აღმოჩენილ კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების შესახებ გამოვიდა ამხ. ბედია, კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ამ დროს, როდესაც მუშათა კლასი მთელი უძლეს ენერგიით იღწვის დანგრეული მეურნეობის აღსადგენად და აშენებს სოციალისტურ რესპუბლიკას, მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული ინჟენერების ერთი ჯგუფი მთელი წლების განმავლობაში მალულად ანგრევდა ამ მშენებლობას. მუშათა კლასის და მისი საბჭოთა ორგანოების ფხიზელ თვალს, როგორც წინად, ისე ვერც ეხლა გამოეპარა ამ მოღალატეთა საზიზღარი საქმიანობა. ჩვენ ერთხმად მოუწოდებთ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს და განსაკუთრებით ტექნიკურ ინტელიგენციას რომ მომავალში უფრო გაათკეცებული ენერგიით მოკიდონ ხელი სოციალისტურ აღმშენებლობას. ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი მთავრობისაგან მოღალატე „სპეცების" სასტიკად დასჯას.

საგაზაფხულო თესვის სამზადისი

დასათესია 459.000 დესეტინა მიწა.-კრედიტები კოლ. მეურნეობებს

1.500 გუთანი, 1.000 ფარცხი, 100 სათესი მანქანა, 50 კულტივატორი და 10 ტრაქტორი სოფლისათვის

რას გააკეთებს მიწადმოქმედების კომისარიატი

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. დ. სამადაშვილმა აცნობა შემდეგი:

გაზაფხულის თესვის კამპანიისადმი ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, განაცხადა ამხ. სამადაშვილმა, გამოწვეულია იმით, რომ შარშან ნიაღვრებმა და სხვადასხვა სტიქიურ მოვლენებმა ძლიერ დააზარალა მოსავალი როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში.

შარშან ცუდი ამინდების გამო სავსებით დაიღუპა 28.000 დესეტინა ნათესები, ხოლო საგრძნობლად დაზარალდა 28.000 დესეტინაზე მეტი, ამის გამო საქართველოს დააკლდა 7.600.000 ფუთი ხორბლეული.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ შემოდგომის ნათესების სივრცე საგრძნობლად არის შემცირებული. მაგალითად, შემოდგომაზე უნდა დათესილიყო 235.000 დესეტინა, მაგრამ ცუდი ამინდებისა და მუშა-საქონლის საკმაო რიცხვის უყოლობის გამო დათესილი იქნა მხოლოდ 212.000 დესეტინა.

ყველა ამ მიზეზების გამო ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს რაც შეიძლება გააფართოოს გაზაფხულის ნათესების არე და ტექნიკურ კულტურების მეურნეობა.

რამდენი დესეტინა დაითესება

წელს მთელ საქართველოში გაზაფხულზე დაითესება 436.000 დესეტინა მიწა, აქედან 26.000 დესეტინაზე პური, 44.000 დესეტინაზე —ქერი და სიმინდი 336.000 დესეტინაზე. ამას გარდა, დათესილი იქნება შემოდგომაზე დაუთესავი 23.000 დესეტინა, ამრიგად, გაზაფხულზე სულ დაითესება 459.000 დესეტინა.

ამ სივრცის დასათესად საჭირო იქნება შემდეგი რაოდენობის სათესლე მასალა: სიმინდი —1.020.000 ფუთი, ქერი—607.000 ფუთი და პური—295.000 ფ. სულ 1.920.000 ფუთი.

აქედან გლეხებს ექნებათ დაახლოებით 1.500.000 ფ. თესლი, დანარჩენი 420.000 ფუთი თესლეულობას გლეხობას მიაწოდებს ხელისუფლება. უკვე დამზადებულია და ადგილებზეა დაგზავნილი 39.000 ფუთი სიმინდის პურის და ქერის თესლეულობა. მიმდინარე თვეში მაზრებს შორის განაწილებული იქნება კიდევ 81.000 ფ. თესლი.

სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდება

თესვის კამპანიასთან დაკავშირებით ენერგიული ზომები მიღებული გლეხობისათვის სასოფლო - სამეურნეო მანქანა - იარაღების მისაწოდებლად. უკვე მიღებულია ადგილებზე გასანაწილებლად 1500 ცალი გუთანი, 1000 ფარცხი, 100 სათესი მანქანა, 50 კულტივატორი, 10 ტრაქტორი და 30 ცალი ტრაქტორის გუთანი. უახლოეს ხანში მიღებული იქნება მანქანების ახალი პარტია და გაუნაწილდება მაზრებს.

მანქანების მიწოდებასთან ერთად სწარმოებს გლეხობის მომარაგება წამლეულობით. უკვე განაწილებულია 120 ფუთი ფორმალინი, 240 დარიშხანა, 240 ფუთი თეთრი მიშაკი და 180 ფ. გოგირდოვანი ნივთიერება.

აგრიკულტურული ღონისძიებანი

წელს აგრეთვე გაფართოებული იქნება აგრო-დახმარების საქმე. უკვე სწარმოებს გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის სათესლე მასალის გაწმენდა სპეციალური მანქანებით, რომელთა საშუალებით სულ გადარჩეული იქნება 200.000 ფუთი ხორბალი, ხოლო მოწამლული იქნება 20.000 ფ. ხორბალი და 50.000 ფ. სიმინდი.

ამას გარდა, წელს გაცხოველებული ბრძოლა იწარმოებს ნათესების მავნებლების—კალიის, თაგვების, მახრას და სხ. წინააღმდეგ.

160 დესეტინაზე რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებში მოეწყობა საჩვენებელი ნაკვეთები, რომლებზედაც უმთავრესად დათესილი იქნება ჯიშიანი ბალახების თესლეულობა. გარდა ამისა, 250 დესეტინაზე დათესილი იქნება საგანგებოთ ხორბლეულობა ხარისხოვან თესლის მისაღებათ.

სპეციალური კულტურები

წელს აგრეთვე დიდი ყურადღება მიექცევა სპეციალურ კულტურების მეურნეობას. უკვე დამტკიცებული გეგმით წელს დაითესება: ბამბა—6.400 დესეტინაზე, თამბაქო—18.000 დესეტინაზე, კანაფი—400 დესეტინაზე, და სხ.

ამ კულტურებისათვის საჭირო თესლეულობა უკვე დამზადებულია სავსებით და ამჟამად სწარმოებს მისი განაწილება.

კრედიტები

გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით მიმდინარე საანგარიშო წლის მესამე კვარტალში გაცემული იქნება შეუფერხებლად — მეურნე გლეხებზე: მინერალურ სასუქების შესაძენად — 20.000 მანეთი, ბალახის თესლეულობის შესაძენად—20.000 მანეთი, თამბაქოსათვის—225.000 მანეთი, აბუსალათინის მეურნეობისათვის — 25 ათასი მანეთი. გარდა ამისა, ამავე კვარტალში გაცემული იქნება მეორე კვარტალში გასაცემ კრედიტებიდან დარჩენილი 497.000 მანეთი. ამასთანავე გლეხებს სესხათ მიეცემათ 100.000 მანეთი მუშა-საქონლის შესაძენათ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს წინადადება აქვს მიცემული დაუყოვნებლივ შეუდგეს კრედიტების გაცემას.

კრედიტები კოლმეურნეობებს

საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით საქართველოს კოლექტიურ მეურნეობებისათვის მიმდინარე წლის მეორე კვარტალის ანგარიშში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 297.000 მანეთი.

ეს თანხა კოლექტიურ მეურნეობათა შორის ამგვარადაა განაწილებული:

სიღნაღის მაზრის კოლმეურნეობებს—53000 მანეთი, თელავისას—44.000 მან., თბილისისას—33.645 მან., გორისას—40000 მან., ბორჩალოსას—10.500 მან., დუშეთისას—10.300 მან., ახალქალაქისას—6.000 მ., შორაპნისას—11500 მ., ქუთაისისას—10.500 მ., ზუგდიდის—41.720 მან. და ოზურგეთისას—35.835 მანეთი.

297.000 მანეთიდან—262000 მანეთი გაცემულია გრძელვადიანი სესხის სახით.

ამ თანხებიდან სასოფ.-სამ. მანქანებისა და იარაღების შეძენაზე კოლექტიური მეურნეობები დახარჯავენ სულ—108.192 მანეთს, მემინდვრეობაზე და თესვაზე—60.373 მანეთს, მევენახეობაზე—58.100 მან., სუბტროპიკულ და სხვა ტექნიკურ კულტურების გაშენებაზე—29.335 მან., საწარმოოების მოწყობაზე—14.500 მან., მებაღეობაზე-მებოსტნეობაზე—12.000 მან., მესაქონლეობაზე და მუშა-საქონლის შეძენაზე—10.000 მან., მეფუტკრეობაზე—3000 მან და ფრინველების მოშენებაზე—00 მანეთს.

თათბირი კონტრაქტაციის საკითხებზე

18 მარტს, ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიის ჩატარების რწმუნებულთან, შესდგა თათბირი თამბაქოს, ბრინჯის და სხვა ტექნიკურ კულტურების ნათესებზე კონტრაქტაციის ჩატარების შესახებ. თათბირს დაესწრენ: რესპუბლიკების საგანგებო კომისიების, მიწადმოქმედების კომისარიატების და სხ. დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თათბირმა დაადგინა აზერბეიჯანში ჩატარდეს ბრინჯის თესვის კონტრაქტაცია. თვითეულ დესეტინის დათესვისათვის მისაცემ ავანსის ნორმა ბრინჯის ნათესებზე დამტკიცებულია 50 მანეთის რაოდენობით. საქართველოში გადაწყვეტილია ჩატარებულ იქნას კონტრაქტების დადება თამბაქოს ნათესებზე. საქართველოს საგეგმო კომისიის წარმომადგენელის წინადადებით საქართველოში უნდა დაიდვას კონტრაქტები თამბაქოსათვის 14.000 დეს. დასათესად. თვითეულ დესეტინის დასათესი ავანსის ნორმა განსაზღვრულია 270 მანეთის რაოდენობით. ვინაიდან ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ გაცემული თანხები ყველა ამ სივრცის დასათესად არ იქნება საკმაო, ამიტომ თათბირის ზოგიერთმა მონაწილეებმა გამოთქვეს აზრი, რომ ნათესებზე ავანსების მიცემაში მონაწილეობა მიიღონ ზოგიერთ სამრეწველო ორგანიზაციებმაც.

რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს

გუშინ საღამოს ამიერ - კავკასიაში თესვის კამპანიის ჩატარების რწმუნებულ — ამხ. ბაგიროვის თავმჯდომარეობით შესდგა ა.-კავკასიის ცენტრალური ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა ცალკე რესპუბლიკებიდან თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცნობები.

თათბირმა განიხილა საქართველოდან და აზერბეიჯანიდან წარმოდგენილი ცნობები თესვის კამპანიის ჩამტარებელ სათემო სამეულების მოწყობის შესახებ და სცნო, რომ ამ მიმართულებით საქართველოსა და აზერბეიჯანში ბევრი რამაა გაკეთებული.

სოფლებში მთესველთათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდების შესახებ, „ზაკსელმაშის" წარმომადგენელმა თათბირს აცნობა, რომ ადგილებიდან წარმოდგენილი ყველა მოთხოვნილებები უკვე დაკმაყოფილებულია და მიწის დასამუშავებელ მანქანების განაწილება მთესველთა შორის მიენდოს ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობებს.

ცალკე საკითხად გაიხილა თათბირმა აგრეთვე გლეხებისთვის მუშა - საქონლის შეძენის საქმე, რისთვისაც გადაწყვეტილია გლეხებს მიეცეს სესხი. ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო ბანკს მიენდო კრედიტების განაწილების ტექნიკური მხარე მოაგვაროს საკუთარი აპარატით და მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ გლეხებისათვის მუშა - საქონლის შესაძენად გაცემული თანხა იხარჯებოდეს დანიშნულებისამებრ.

თათბირზე განხილულ იყო აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის როლი თესვის კამპანიაში. ამ საკითხის გარშემო მიღებულ დადგენილებაში სამომხმარებლო კოოპერაციას წინადადება ეძლევა ხელი შეუწყოს კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

სამზადისი თბილისის მაზრაში

თბილისის მაზრაში საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ, თბ. აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად თბილისის მაზრაში, თბ. აღმასკომმა შეიმუშავა სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვით მაზრის თემებს შორის გასანაწილებლად ახლო ხანში დამზადებული იქნება 34000 ფუთი თესლეულობა.

მათ შორის—10 ათასი ფუთი ხორბალი, 18.000 ფ. ქერი და 6500 ფ. სიმინდი. ამ თესლეულობით დაითესება არა ნაკლები 5000 დესეტინისა.

დათესილი იქნება: 1000 დესეტინაზე პური, 1500 დესეტინაზე—ქერი და 2500 დესეტინაზე —სიმინდი.

ამას გარდა, გლეხობა საკუთარი თესლეულობით და საშუალებით დათესავს 15.000 დესეტინამდე მიწას.

გადაწყვეტილია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდების და მათი შეკეთების საქმეს.

ამის გამო ეწყობა სას.-სამ. იარაღ-მანქანების შესაკეთებელი ორი სახელოსნო, ერთი ლილოში, მეორე—თიანეთში. მიღებულია ზომები არსებულ სახელოსნოების გასაფართოებლად.

თბილისის მაზრაში ახლო ხანში გადაგზავნილი იქნება 10 ტრაქტორი, 200 გუთანი, 250 ფარცხი, 50 სათესი მანქანა, 400 ხორბლეულის სანიავი, 100 სიმინდის სანიავი და 20 საცეხვი მანქანა. მანქანები გაუნაწილდება გლეხობას საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით.

კრედიტები თესვის კამპანიისათვის

(საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ღონისძიებები)

საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკი უკვე შეუდგა იმ დავალებების შესრულებას, რომლებიც დაკისრებული აქვს მას საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით.

ბანკმა გადასდო 70.000 მანეთი 87.000 ფუთი სათესი სიმინდის დასამზადებლად. ამ თანხას ამ დღეებში გაანაწილებენ სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა შორის. სიმინდის დამზადება იწარმოებს სასოფ.-სამ. კოოპერაციის ძალებით.

კოლექტიურ მეურნეობათა შორის განაწილებულია 297.000 მანეთის კრედიტი.

ღარიბთა ფონდიდან კოლექტიურ მეურნეობებს შორის განაწილებულია—142.125 მანეთი. 106.375 მანეთი გადადებულია ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეობათათვის კრედიტების მისაწოდებლად.

ტრესტების სახით გაერთიანებულ მეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობებისათვის თანხების მიწოდების მიზნით გაცემულია—41.400 მანეთი.

სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების ძირითად თანხების გასაძლიერებლად ბანკის მიერ გადადებულია 26.228 მანეთი.

გაცემულია აგრეთვე 78.300 მანეთი გლეხობის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლებისათვის. ეს იმ მიზნით, რომ ახალ ადგილას დასახლებულ გლეხს არ დარჩეს დაუხნავი მიწა.

ამასთანავე ბანკმა მიიღო მეაბრეშუმეობისათვის—100.000 მანეთი, მეთამბაქოეობისათვის—90.000 მანეთი და კანაფის დასათესად—10000 მანეთი. ეს თანხები ამ დღეებში გადაეცემა იმ ორგანოებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ მეურნეობების განვითარებას

ბანკს მიღებული აქვს მოთხოვნილება—150.000 მანეთის კრედიტზე მუშა-საქონლის შესაძენად.

სათემო ბიუჯეტის მდგომარეობა

(საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევის მასალებიდან)

სათემო ბიუჯეტი საქართველოში პირველად შემოღებულ იქნა 1925—26 წელში. დამოუკიდებელ სათემო ბიუჯეტის გამოყოფის დროს მხედველობაში იყო მიღებული: თემის მოსახლეობის ეკონომიური სიძლიერე და კულტურული დონე. ამ ნიშნების მიხედვით საქართველოში ყველგან არ შეიძლებოდა სათემო ბიუჯეტის გამოყოფა და ამიტომ ეკონომიურად სუსტ თემებში დარჩა წინანდელი ხარჯთაღრიცხვები.

დამოუკიდებელ სათემო ბიუჯეტის შემოღებას აბრკოლებდა ისეთი აუცილებელი პირობების მომზადების საჭიროება, როგორიცაა: 1) თემებად დაყოფასთან დაკავშირებულ მუშაობის დამთავრება და ფინმუშაკების მომზადება, 2) თემის ტერიტორიაზე მიღებულ საგადასახადო შემოსავლის ფარგლების თავის დროზე განსაზღვრა, 3) სათემო და სამაზრო ქონებისა და წარმოებების ზედმიწევნით განსაზღვრა; 4) თემის ბიუჯეტისათვის საჭირო დოტაციის რაოდენობის გამორკვევა; 5) იმ ხარჯების გამორკვევა, რომლებიც შეტანილ უნდა იქნეს სათემო ბიუჯეტში და სხ.

თანდათანობით ეს დაბრკოლებები ისპობა და სათემო ბიუჯეტების რაოდენობა შეუჩერებლივ იზრდება.

დამოუკიდებელ სათემო ბიუჯეტების გამოყოფასთან ერთად იზრდება სათემო ბიუჯეტის ფარგლები და ხვედრითი წონა: 1925—26 წელში იყო თემი—481, ბიუჯეტი—314 (65,3 პროც.); 1926—27 წ.—თემი—426, ბიუჯეტი—311 (73,8 პროც.); 1927—28 წ.—თემი—423, ბიუჯეტი—349 (82,5 პროც.). სათემო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის თანხები იცვლება ასე: 1925—26 წ.—გასავალი—2.343.000 მან.; შემოსავალი—1.259.000 მან.; შემოსავლის პროცენტი გასავალთან შედარებით—53,7; 1926—27 წ.—გასავალი—2.784.000 მან.; შემოსავალი—2.037.000 მან.; შემოსავლის პროცენტი გასავალთან შედარებით—73,2; 1927—28 წ.—გასავალი—3.500.000 მან.; შემოსავალი—2.814.000 მან.; შემოსავლის პროცენტი გასავალთან შედარებით—80,4

მასწავლებელთა ფონდი ამ ციფრებში არ შედის.

სათემო ბიუჯეტის ხვედრითი წონა ადგილობრივი ბიუჯეტის ქსელში იზრდება ასე: 1925—26 წ.—ხვედრითი წონა თბილისთან ერთად—7,35 პროც.; ხვედრითი წონა უთბილისოდ—7,9 პროც.; 1926—27 წ.—ხვედრითი წონა თბილისთან ერთად—5,6 პროც.; უთბილისოდ—9,6 პროც.; 1927—28 წ.—ხვედრითი წონა თბილისთან ერთად—12 პროც.; უთბილისოდ—21,5 პროც.

მოყვანილი ციფრები ნათლად გვიჩვენებენ სათემო შემოსავლის შეუჩერებელ ზრდას, დეფიციტის შემცირებას და სათემო ბიუჯეტის ხვედრითი წონის გადიდებას.

ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ სათემო ბიუჯეტს აქვს ნიადაგი და რომ სათემო სისტემა შეუწყობს ხელს ადგილობრივი მეურნეობის და ადგილობრივი ფინანსების განვითარების ამოცანას. თუმცა საქართველოს სათემო ბიუჯეტი ამ ჟამად ვერ აკმაყოფილებს თემის ყველა საჭიროებას, მაგრამ მისი გასავლის ნაწილის შედარება სხვადასხვა წლებში მოწმობს, რომ თემის ბიუჯეტი თანდათან უფრო მეტად აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებებს და ამიტომ სათემო ბიუჯეტის გასავლის ნაწილი იზრდება როგორც პროცენტულად, ისე აბსოლუტურადაც:

ქვემოთ მოყვანილი ციფრები მთლიანად ადასტურებენ ამას: *)

გასავლის ჯგუფები	1925-26 წ.	ხვედრითი წონა	27—28 წ.	ხვედრ. წონა
ადმინისტრატ.	740.000 მან.	48 პროც.	986.000 მან	37,7 პროც.
სოც.-კულტ.	645.000 მან.	42 პროც.	1.217.000 მან.	46,5 პროც.
სამეურნ.-საწ.	126.000 მან.	8 პროც.	344.000 მან.	13,2 პროც.
დანარჩენი	29.000 მან.	2 პროც.	69.000 მან.	2,6 პროც.

თემების გასავალი მასწავლებელთა ფონდის გარეშე 30 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მასწავლებელთა ფონდიდან 154,9 პროცენტით.

სათემო ბიუჯეტის გასავლის ნაწილში ხელფასის ხვედრითი წონა 70 პროცენტს აღემატება, რაც ადასტურებს მის სამომხმარებლო ხასიათს. თემის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში სჭარბობს საგადასახ. შემოსავალი, რომელიც წლების მიხედვით შემდეგნაირად იზრდება:

წლები	არასაგადასახადო შემოსავალი	საგადასახადო შემოსავალი
1925—26	17,2	36,5
1926—27	22,2	51,0
1927—28	25,8	58,2

ეს ციფრები გვიჩვენებს, თუ რა შეუფერხებლად იზრდება არასაგადასახადო შემოსავალი.

ძალიან ცუდათ არის თემის ბიუჯეტის ფაქტიური დამოუკიდებლობის საქმე მისი შედგენისა და შესრულების მხრით. თემის ბიუჯეტს ადგენენ სამაზრო აღმასკომები უმეტეს წილად თემის ორგანიზაციების და მუშაკების მონაწილეობის გარეშე. ხშირად ხდება, რომ სამაზრო აღმასკომები ემატრონებიან ძლიერი თემების შემოსავალს და ანგარიშს არ უწევენ მისაღები ნაწილის კანონიერ ნორმებს, მეორე მხრით თემის ბიუჯეტში შეაქვთ ისეთი გასავალი, რომელიც სრულებით არ არის გათვალისწინებული.

თემის ბიუჯეტი უფრო ნაკლებათაა დამოუკიდებელი შესრულების მხრით. ძალიან ხშირად ხდება, რომ შუა წელიწადს ბიუჯეტს გამოაკლებენ ამა თუ იმ შემოსავალს ან კიდევ შეაქვთ ახალი გასავალი. ბევრ თემში ბიუჯეტის დამოუკიდებელ შესრულებას აფერხებს თემის სალაროების უქონლობა და საფინანსო მუშაკების უყოლობა. თემის ბიუჯეტის შედგენასაც და შესრულებასაც ჩვეულებრივ წინასწარ არ განიხილავს და არ ადასტურებს თემის საბჭო, ზოგჯერ თემის აღმასკომიც.

თემის ბიუჯეტის გაჯანსაღების მიზნით საჭიროა ავიცილოთ მისი შედგენისა, გატარებისა და შესრულების წესის ზემოთ დასახელებული დეფექტები, დავუახლოვოთ თემის ბიუჯეტი სოფლის მოსახლეობის ფართო მასებს, ცხადვყოთ და სათანადოთ გამოვიყენოთ ადგილობრივი ორგანოების თაოსნობა ადგილობრივ სამეურნეო შესაძლებლობათა განვითარების საქმეში.

საქართველოს მუშგლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ადგილობრივი ბიუჯეტის განმტკიცებისა და გაჯანსაღებისათვის საჭირო შემდეგი ღონისძიებანი: 1) დაევალოთ სამაზრო აღმასკომებს:

ა) აღრიცხონ ყოველგვარი ქონება და წარმოება, რაც კი მაზრის ბიუჯეტზე იმყოფება, მაგრამ სამაზრო მნიშვნელობა არა აქვს, და შემდეგი სამეურნეო წლის დამდეგისათვის გადასცენ სათანადო თემებს; ბ) დროიანად შეიმუშაონ ხელმოკლე და ჩამორჩენილ თემთა ბიუჯეტების ფინანსებით მომარაგების დაწვრილებითი გეგმა, ზედმიწევნით აღნიშნონ დახმარებისათვის საჭირო თანხის რაოდენობა, აგრეთვე ყველაზე ძლიერი თემების საშემოსავლო გადასახადიდან მისაღები პროცენტები და ამას შესახებ საბიუჯეტო მუშაობის დაწყებამდე აცნობონ დაინტერესებულ სათემო აღმასკომებს; გ) მომავალი წლისათვის საბიუჯეტო მუშაობის დაწყებამდე აცნობონ სათანადო სათემო აღმასკომებს იმ საგადასახადო შემოსავლის რაოდენობა, რომელიც თემის ტერიტორიაზე გროვდება; დ) ყველა თემს უფლება მიეცეს იქონიოს თავისი სალარო და ამ სალაროში მიიღოს სათემო შემოსავალი, მაგალითად არასაგადასახადო შემოსავალი, ადგილობრივი გადასახადი, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხები, სახელმწიფო გადასახადისა და მისი დამატების ანარიცხების ჯამი კი, რომელიც ჩვეულებრივ სამაზრო სალაროებში შეაქვთ, აგრეთვე თემისათვის მიკუთვნილი საერთო და მასწავლებელთა დოტაცია შეუფერხებლად (შეტანისთანავე, ან ფინანსთა კომისარიატის მიერ კრედიტების გახსნისთანავე) გადაეცეს სათემო სალაროებს; ე) სამაზრო აღმასკომის მიერ სათემო ბიუჯეტის დამტკიცების დროს სავალდებულოდ ჩაითვალოს ყველა თემის წარმომადგენლების მოწვევა; ვ) სათემო ბიუჯეტების დამტკიცების შემდეგ სამეურნეო წლის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ იქნას მასში შეტანილი, თუ შეცვლილი არ იქნება სამაზრო ბიუჯეტის შედგენის დროს გათვალისწინებული სახელმწიფო სუბვენციის რაოდენობა.

2) ადგილობრივ საჭიროებათა უფრო ზედმიწევნით გამოსარკვევად და საბიუჯეტო მუშაობაში ადგილობრივი მუშაკების უფრო ფართო წრის ჩასაბმელად, საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ ადგილობრივ შესდგეს ინდივიდუალური ხარჯთ-აღრიცხვა სოფლის თვითეული დაწესებულებისათვის, წარმოებისათვის, და ღონისძიებისათვის ისე, რომ ამ საქმეში აუცილებლად მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ სოფლის საბჭოს წევრებმა.

3) სათემო აღმასკომები თავისი ბიუჯეტის საგასავლო ნაწილს საფუძვლად უდებენ ინდივიდუალურ ხარჯთ-აღრიცხვას და ბიუჯეტებს აუცილებლად ადგილობრივ ადგენენ, ხოლო სამაზრო ცენტრში გადაგზავნამდე წარუდგენენ თემსაბჭოებს განსახილველად და შესაფასებლად.

4) რადგან სამაზრო ბიუჯეტის ბალანსის შედგენის მიზნით თემის შემოსავლიდან დიდი თანხების აღებას შეუძლია თემის მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიოს, ამიტომ უფრო მიზანშეწონილად იქნას ცნობილი სამაზრო ბიუჯეტების განტვირთვა არა მარტო თემის გასავლისაგან, არამედ, შეძლებისამებრ, სათემთაშორისო მნიშვნელობის გასავლისაგანაც: ეს გასავალი მომწესრიგებელი ფონდიდან საჭირო კომპენსაციით გადაეცეს იმ თემის ბიუჯეტს, სადაც იმყოფება დაწესებულება.

5) საჭიროა: ა) მომავალ სამეურნეო წლიდან შეიცვალოს რესპუბლიკაში არსებული საფინანსო მუშაკების შტატი, ბ) პერიოდიულად გაიმართოს მოკლევადიანი კურსები სათემო მუშაკების გადასამზადებლად, გ) გაუმჯობესდეს ადგილობრივი ფინანსების სამაზრო ინსტრუქტორთა კვალიფიკაცია და მოწესრიგდეს სათემო მუშაკებისათვის ამომწურავი ინსტრუქციების მიწოდება, გაძლიერდეს მაზრის ფინანსთა კომისარიატის ცოცხალი კავშირი სათემო აღმასკომებთან; ამასთანავე ფინანსთა საკონტროლო სამმართველომ ყურადღება უნდა მიაქციოს არა მარტო კრედიტების დახარჯვის სისწორეს, არამედ გასავლისა და შემოსავლის კანონიერებას, საჭიროებას და მიზანშეწონილებას და საერთოდ თვით ბიუჯეტის სტრუქტურას.

6) საჭიროდ იქნას ცნობილი: ა) საბოლოოდ გამორკვევა თემების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კონტინგენტისა საბიუჯეტო კამპანიის დაწყებამდე და ბ) სათემო აღმასკომებისათვის ბიუჯეტის შედგენისა, დამტკიცებისა და შესრულებისათვის საჭირო წესებისა და ინსტრუქციებისა დროიანად მიწოდება, ხოლო დეფიციტიანი თემებისათვის ზოგად სახელმწიფოებრივი თანხებიდან დოტაციისა და მომწესრიგებელი ფონდის დახმარების საკონტროლო ციფრების მიწოდება.

7) მიუღებლად იქნას ცნობილი, რომ სამაზრო აღმასკომებმა, წინააღმდეგ არსებული დებულებისა, უდეფიციტო თემების ბიუჯეტებს გამოაკლონ შემოსავალი დაწესებულ ნორმებზე ზევით.

8) მიენდოს საქართველოს ფინანსთა კომისარიატს, რომ საქ. მუშგლეხთა ინსპექციასა და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად შეისწავლოს ადგილობრივი ბიუჯეტის გამოყოფის საჭიროებისა და შესაძლებლობის საკითხი აფხაზეთსა, აჭარისტანსა, და ზემოსვანეთში.

ციელება დაეკისროს საქართველოს ფინანსთა
9) ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორ-
კომისარიატს.

---

*) მასწავლებელთა ხელფასი მხედველობაში მიღებული არაა, მაგრამ იგი სურათს უფრო სცვლის ნათქვამის დასადასტურებლად.

პარტიული ცხოვრება

თბილისის კომიტეტში

საღამოს კომუნისტური უნივერსიტეტი

ა. წ. 9 მარტს, თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე დამტკიცდა დებულება ა.-კ. კომუნ. უნივერსიტეტთან საღამოს კომუნისტური უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.

აღნიშნული კომუნისტური უნივერსიტეტი თავის ამოცანად ისახავს აამაღლოს პარტიული და კომკავშირელთა აქტივის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დონე. ამ ამოცანას უნივერსიტეტი ახორციელებს მარქსიზმისა და ლენინიზმის თეორიულ-პრაქტიკული საკითხების შესწავლის გზით. საღამოს კომ. უნივერსიტეტი არ წარმოადგენს ცალკე დამოუკიდებელ დაწესებულებას, არამედ სხვა კურსებთან გათანასწორებული უფლებით შედის ძირითად უნივერსიტეტში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ამასთანავე მას აქვს თავისი განვითარების ბაზა. მის მოთხოვნილებებს—ასრულებს ძირითადი უნივერსიტეტის ყველა ორგანოები, როგორც სამოსწავლო აპარატი, საგნობრივი კომისიები, კაბინეტები და სამკითხველოები, აგრეთვე სხვა დამხმარე დაწესებულებანი. იმის და მიხედვით, თუ რამდენი იქნება სამოსწავლო ჯგუფი, და სამოსწავლო საათები, განისაზღვრება პროფესორებისა და პედაგოგთა შემადგენლობა. უნივერსიტეტში მიიღებიან პარტიის წევრები არა ნაკლებ 2 წლის პარტიულ და 3 წლის შრომის საწარმოო სტაჟით. ასაკის მინიმუმი განისაზღვრება 20 წლიდან. კომკავშირელებს ადგილების საერთო რიცხვიდან ეთმობად არა უმეტეს 15 პროც. ისეთი პირები-კი, რომელთაც არა აქვთ საწარმოო სტაჟი, მიიღებიან თავისუფალ ადგილებზე არა უმეტეს 10 პროც.

უნივერსიტეტში არ მიიღებიან საშუალო ცოდნის პირები. შემსვლელთათვის სავალდებულოა საზოგადო პოლიტიკური მომზადება საღამოს საბჭ. პ. სკოლის ფარგლებში. მათ უნდა შეეძლოთ სწრაფი კითხვა და თავიანთი აზრის დალაგება წერილობით, უნდა იცოდენ ანგარიშის ოთხი მოქმედება და სხვა. უნივერსიტეტში შემსვლელები უნდა იყვნენ გარკვეულნი მიმდინარე პოლიტიკის ამბებში, პარტიის ყრილობებსა და კონფერენციების დადგენილებებში, განსაკუთრებით დაწყებული მე-14 კონფერენციისა და მე-14 ყრილობიდან.

ადგილებს ანაწილებს თბილ. კომიტეტი რაიკომების საშუალებით. უკანასკნელნი შეარჩევენ კანდიდატებს აქტიურ მუშაკებისაგან. კომ. უნივერსიტეტში მსმენელები მეცადინეობენ სამუშაოს გაუცდენელად, შეთავსებით. ამიტომ რაიონული კომიტეტები ღებულობენ მათზე დამოკიდებულ ზომებს—მსმენელთა სხვა სამუშაოდან განტვირთვისათვის.

სამოსწავლო კურსი განისაზღვრება 2 წლით. მეცადინეობა იწარმოებს 15 სექტემბრიდან 1 ივნისამდე.

სამოსწავლო გეგმაში შევა შემდეგი დისციპლინები: 1) სამშობლო ენა, 2) რუსული ენა, 3) მათემატიკა, 4) ბუნების მეტყველება, 5) კლასთა ბრძოლის ისტორია რუსეთისა და დასავლეთში. 6) კომ. პარტიის ისტორია, 7) ლენინიზმი, 8) ისტორიული მატერიალიზმი, 9) ეკონომიური გეოგრაფია, 10) პოლიტიკური ეკონომია, 11) ეკონომიური პოლიტიკა, 12) საბჭოთა სამართალი. ამის გარდა პარტიული აღმშენებლობის საკითხები.

ნ. ფ.

მისალმებანი

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას

ზესტაფონი

ქალაქ ზესტაფონის პარტ-ორგანიზაციის, კომკავშირის, პროფ-კავშირების და ქალაქის საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელიც შეიკრიბა პარტიის 1 ყრილობის 30 წ. თავის აღსანიშნავად, მხურვალედ გესალმებათ თქვენ, როგორც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთ მუშათა განთავისუფლების საქმეში.

კრებას ღრმათ სწამს, რომ რუსეთის სოციალ დემოკრატიული პარტიიდან მხოლოდ კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიაა ნამდვილი—რევოლიუციონური მარქსიზმის გამტარებელი.

გაუმარჯოს ლენინურ მთლიან კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს მის კოლექტიურ ბელადს ცეკას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის შტაბს—კომინტერნს!

პრეზიდიუმი.

ბათომი

(პროფკავშირთა კონფერენცია)

აჭარისტანის პროფკავშირთა მე-8 კონფერენცია მხურვალედ მიესალმება საქართველოს მონოლიტურ კომპარტიას და მის ცეკას. გაუმარჯოს მუშათა კლასის ხელმძღვანელ კომპარტიას.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციებში

ახალქალაქი

კოლექტიური ხელშეკრულებანი

საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის სამაზრო კომიტეტმა აღნიშნა, რომ საერთოდ კოლექტიური ხელშეკრულებათა ხელახლად დადების კამპანიამ კარგად ჩაიარა; ნაკლოვანებათა შორის მან ის გარემოება აღნიშნა, რომ კამპანიის სათანადო ხელმძღვანელობა ვერ გაუწიეს პარტიის უჯრედებმა და სამაზრო პროფბიურომ და პროფკავშირების კომფრაქციებმა.

კერძოთ, სუსტ ხელმძღვანელობას ის მოჰყვა, რომ საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კავშირმა სამაზრო აღმასკომსა და მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებასთან დასადები კოლექტიური ხელშეკრულებანი ჯერ ადმინისტრაციის შეუთანხმა, ხოლო შემდეგ განსახილველად გამოიტანა საერთო კრებებზე.

ლენინის რაიონი

კედლის გაზეთები

თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის კომიტეტმა აღნიშნა დეპოს და ვაგონების პარკის უჯრედების კედლის გაზეთთა დამაკმაყოფილებელი მუშაობა.

ნაკლთა შორის რაიკომმა ის გარემოება აღნიშნა, რომ ადგილობრივი და საორთქლმავლო დეპოს მუშები საკმაო მონაწილეობას არ იღებენ კედლის გაზეთის მუშაობაში (წერილებს შემთხვევითი ხასიათი აქვთ); მან აღნიშნა აგრეთვე სრულიად შეუწყნარებელი მოვლენა—კედლის გაზეთის ორჯერ ჩამოხევა.

მიღებულ ღონისძიებათა შორის რაიკომმა მიუთითა სარედაქციო კოლეგიას, რომ საჭიროა კედლის გაზეთის მუშაობაში ჩაბმა, როგორც ადგილობრივი, ისე საორთქლმავლო დეპოს მუშებისა, აგრეთვე მუშა ქალებისა და ახალგაზრდობის ჩაბმა კომკავშირის კოლექტივის შემწეობით.

არსენალის რაიონი

კომკავშირში

საქართველოს კომპ. თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიონის კომიტეტმა მოისმინა კომკავშირის რაიკომის აგიტპროპგანყოფილების მოხსენება. რაიკომი საჭიროდ სცნობს კომკავშირის ძველი კადრის გამოყენებას, მომზადებული კომკავშირელების აღრიცხვის ჩატარებას, რათა მომავალში მომზადდნენ კომკავშირის პოლიტსკოლების ხელმძღვანელებად.

ამასთანავე ერთად რაიკომმა მიზანშეუწონლად სცნო კომკავშირის. ურედ. აგიტპროპმუშაკების ხშირ-ხშირად შეცვლა და საჭიროდ ჩასთვალა ამ მუშაობაზე არსებული მუშაკების მიმაგრება.

რაიკომმა საჭიროდ სცნო ყურადღება მიექცეს სკოლების მუშაობის აღრიცხვის ხარისხობრივსა და რიცხვობრივ მხარეს, აგრეთვე კომკავშირელების მოთხოვნილება-საჭიროებათა გამორკვევას, რათა მომავალი წლის პოლიტიკური მეცადინეობისათვის სათანადო ნიადაგი შეიქმნას.

ა. გ—ძ.

კომკავშირში

უჯრედი კარგათ მუშაობს

(ქუთაისი)

რაც დრო გადის მით, უფრო იზრდება ქუთაისის სტამბა-ელსადგურის კომკავშირის უჯრედის საქმიანობა. უჯრედის წევრების უმრავლესობას შეადგენენ მუშები. ყველა ესენი ჩაბმულნი არიან სხვადასხვა საუჯრედო საქმეებში და წრეებში. გამოდის კედლის გაზეთი. უჯრედში ჩამოყალიბებულია ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, როგორიცაა რემედასი და თავდაცვა-ავიაქიმი. უჯრედი დიდ დახმარებას უწევს ამავე წარმოებასთან ჩამოყალიბებულ პიონერთა კოლექტივს.

ბიურომ კოლექტივის ხელმძღვანელად გამოჰყო გამოცდილი ამხანაგი, რომელიც ენერგიულად ეწევა პიონერთა შორის მუშაობას. დაარსებულია სხვადასხვა წრეები. აღსანიშნავია სამხედროსი და ფიზკულტურის წრის მუშაობა, ფიზკულტურაში ჩაბმულია წევრების სრული ასი პროცენტი, განმტკიცებულია დისციპლინა. დიდი ყურადღება ექცევა წრეში ახალგაზრდობის მოზიდვას. უჯრედს კავშირი აქვს მესამე ლეგიონის მეშვიდე ასეულთან, რომელსაც ჩვენი სამხედრო წრის ორგანიზატორად გამოყოფილი ჰყავს ასეულის ერთ-ერთი მეთაური. წრეში მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ, ვაწყობთ ექსკურსიებს წითელ ჯართან ყაზარმებში, სადაც ვეცნობით ყაზარმების მდგომარეობას. წრეში ხშირად ეწყობა სროლაში შეჯიბრი, რასაც კარგი ნაყოფი მოაქვს.

ნ. მიქაშაძე.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

სექციების მუშაობა ამომრჩეველთა სამსჯავროს წინაშე

სათემო საბჭოების სექციებში მშრომელ ქალთა მონაწილეობა სუსტია

ხაშურის საბჭოს სექციები

(წერილი ხაშურიდან)

1927 წლამდე ხაშურში ქალაქის და თემის საბჭო გაერთიანებული იყო და თემში და ქალაქშიაც აღმასრულებელ ორგანოთ ითვლებოდა თემის აღმასკომი.

ეს გარემოება ძალზე აფერხებდა ქალაქის კეთილმოწყობის განვითარებას და ამომრჩევლების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმას. იმ დროს არსებული საბჭოს სექციები მხოლოთ ქაღალდზე არსებობდნენ.

საბჭოების უკანასკნელ მოწვევიდან, ქალაქის საბჭო გამოყოფილი იქნა თემიდან, რამაც ქალაქის კეთილმოწყობის განვითარებაში და საბჭოს წევრების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა და შესაფერი ნაყოფიც გამოიღო.

გასული წლის მარტიდან, ხაშურის საბჭოსთან ჩამოყალიბდა სექციები, სადაც სამუშაოთ ჩაბმულნი იქნენ როგორც საბჭოს წევრები, და კანდიდატები, აგრეთვე არა წევრი ამომრჩევლებიც, პროფკავშირის წევრები და დელეგატი ქალებიც.

აი, მოკლეთ თვითეულ სექციის მუშაობა ცალ-ცალკე:

ადგილობრივ მეურნეობის სექცია

ამ სექციაში მუშაობს 58 კაცი, მათ შორის საბჭოს წევრები 37, არა წევრები—21, მუშები—33, მოსამსახურეები—21.

სექციას ჰქონდა 19 სხდომა, გაირჩა 92 საკითხი.

სექციის ბიუროს ჰქონდა 21 სხდომა, გარჩეულია 58 საკითხი.

სექციიდან გამოყოფილი იყო 12 სხვადასხვა კომისიები. ამ კომისიებში სამუშაოთ ჩაბმული იყო სექციის 55 წევრი.

მოსმენილია მოხსენებები სექციიდან გამოყოფილ კომისიებისა და სხვადასხვა დაწესებულებების და დარგებიდან 18. ადგილობრივ მეურნეობის ყველა დარგებზე მიმაგრებულნი არიან სექციის წევრები.

სახალხო განათლების სექცია

ამ სექციაში მუშაობს 41 კაცი, მათ შორის საბჭოს წევრები 19, არა წევრები—22.

სექციას ჰქონდა—16 სხდომა, გარჩეულია 58 საკითხი. სექციის ბიუროს ჰქონდა 17 სხდომა, გარჩეულია—32 საკითხი.

სექციიდან გამოყოფილი იყო 14 სხვადასხვა კომისიები. სექციის სხდომაზე მოსმენილია 12 მოხსენება.

ყველა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებზე და ორგანიზაციებზე მიმაგრებულნი არიან სექციის წევრები.

საფინანსო-საკოოპერაციო სექცია

სექციაში მუშაობს 46 კაცი, ამათში წევრები—20, არაა წევრები—26. სექციას ჰქონდა—13 სხდომა. გარჩეულია 52 საკითხი. სექციის ბიუროს 18 სხდომა, გარჩეულია 44 საკითხი გამოყოფილი იყო 7 კომისია. სექციის სხდომებზე დამუშავდა კოოპერატიული და ფინანსიური საკითხები—5, მოსმენილია 15 მოხსენება.

ჯანმრთელობის სექცია

ამ სექციამ მუშაობა დაიწყო 1927 წ. 21 ოქტომბრიდან, (მანამდე ჯანმრთელობის სექცია გაერთიანებული იყო განათლების სექციასთან). სექციაში მუშაობს 28 კაცი, ამათში საბჭოს წევრები—10, არა წევრები 18.

სექციიდან გამოყოფილია 7 კომისია. საანგარიშო ხნის განმავლობაში მოსმენილია მოხსენებები 7. ყველა სექციების მუშაობა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს წინასწარი შედგენილ გეგმის მიხედვით. გეგმას ადგენს თვით სექცია და ამტკიცებს ქალაქის საბჭო.

სექციების მუშაობას უშუალო ხელმძღვანელობას უწევს საბჭოს პრეზიდიუმი.

სექციებიდან გამოყოფილ კომისიების მიერ ხდებოდა და ხდება ქალაქში მდებარე დაწესებულებების და ორგანიზაციების გამოკვლევა და მუშავდება შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად ღონისძიებები.

სექციების დადგენილებანი ცხოვრებაში ტარდება მხოლოდ საბჭოს, ან მის პრეზიდიუმის დამტკიცების შემდეგ. დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას თვალყურს ადევნებს საბჭოს პრეზიდიუმი და სექციის ბიურო.

სექციების წევრების კრებებზე დასწრება გამოიხატება 60—64 პროც. აღსანიშნავია, რომ სექციების წევრთა უმრავლესობა დიდ აქტივობას იჩენს მუშაობაში.

ხაშურელი.

ნოქალაქევის თემსაბჭო

(სენაკის მაზრა)

სექციების მუშაობა

თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებულია შემდეგი სექციები: განათლების, საგზაო, საალმშენებლო, საფინანსო-საგადასახადო, საექიმო-სასანიტარო და სამეურნეო.

ყველა სექციები მუშაობენ რეგულიარულად. სექციების მუშაობაში საბჭოს წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. სექციებზე მიმაგრებულნი არიან აგრეთვე ღარიბი გლეხობა, საშუალო გლეხობის აქტივი, პროფკავშირის აქტივი, მშრომელი ინტელიგენცია, ყოფილი წითელ-არმიელები, კომკავშირის წევრები და სხვა. ყველაზე მეტ აქტივობას იჩენს ღარიბი გლეხები.

სამეურნეო სექციის ხელმძღვანელობით გავრცელებულია 1.200 მანეთამდე გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები. სექციებმა განიხილეს თავიანთ სხდომებზე 21 საკითხი. სექციების მიერ წამოყენებულ საკითხებს თემსაბჭო დაწვრილებით იხილავდა და ავალებდა აღმასკომს მათ ცხოვრებაში გატარებას. სექციების მიერ დამუშავებულ საკითხების თითქმის ასი პროცენტი ტარდებოდა ცხოვრებაში. ხელმძღვანელობა სასოფლო ყრილობებზე კარგი იყო.

სექციების მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს შემდეგი: არ ხდებოდა საბჭოს და სექციების სესია სოფლებში. არ იყო ანგარიშების ჩაბარება ამომრჩევლების წინაშე, სუსტი იყო ცოცხალი კავშირი მასასთან.

მომავალში საჭიროა საბჭოს და სექციების კრებები დროგამოშვებით მოეწყოს სოფლებში და ამომრჩევლების წინაშე ანგარიშების ჩაბარება გაძლიერდეს.

ან. კირცხალაია.

შუხუთის თემსაბჭო

(გურია)

საალმშენებლო სექცია

სექცია ორგანიზაციულად არის ჩამოყალიბებული. სექციის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს გლეხკომის აქტივი და კომკავშირლები. სექციის თვითეული წევრი საალმშენებლო საქმეს თავის პირად საქმედ თვლის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შუხუთის თემში გაცხოველებული ალმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს. საანგარიშო ხნის განმავლობაში აგებულ იქნა სკოლის ახალი შენობა, შეკეთდა ძველი შენობა, შევიძინეთ ალმასკომის, ფოსტისა და საექიმო პუნქტისათვის დიდი შენობა. საალმშენებლო სექციის წინადადებით თემ-ალმასკომმა მონოპოლია აიღო კირის დაწვაზე და აქედან იშოვნა მან საჭირო რესურსები. ხიდების აგებაზედაც საკმაო თანხა იხარჯება. მთავარი ყურადღება მიექცა „ნაკაზის“ შესრულებას.

სექციის კრებები რეგულიარულად იმართებოდა საჭიროების მიხედვით. კრებას ესწრებოდა წევრთა 95 პროცენტი, ასე რომ საალმშენებლო სექცია ამ მხრივ სამაგალითოა.

აქვე აღსანიშნავია ერთი ნაკლიც: სექციაში არ არის ჩაბმული გლეხი-ქალები და ამ ნაკლის გამოსწორებას ვერ მიექცა თავის დროზე ჯეროვანი ყურადღება.

ი. ორაგველიძე.

ბაღდათის თემსაბჭო

(ქუთაისის მაზრა)

სათემო საბჭოს საანგარიშო მოხსენებების კამპანია დაიწყო პირველ მარტიდან. მასის აქტივობა ამ კამპანიების ჩატარებაში საგრძნობლად გაიზარდა. ყველა უბნებში ცხოველი კამათია. გლეხობა კმაყოფილია საბჭოს და ალმასკომის მუშაობით და მიღწევებით. მიღწევებში პირველ ადგილს იჭერს სახალხო სახლის დამთავრება, რომლის შენება დაიწყო წარსულ წლის აგვისტოში და უნდა გაიხსნეს 1 მაისს. სახლის აგება დაჯდა 25.000 მანეთამდე.

აგებულია მდინარე ხანწე ორი ხიდი, შეკეთებულია გზები, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 22.000 მანეთის რაოდენობით მთლიანად აკრეფილია.

ალმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. კოხიძის მუშაობას ღირსეულად აფასებს ამომრჩევლები.

ერთ-ერთი საყვედური გლეხობის მიერ ისმის მხოლოდ მდინარე ყვირილაზე ხიდის აგების დაგვიანების გამო, რომლის აგება ჯერ ჯერობით ვერ მოხერხდა.

ს. ხულაბერიძე.

საქობოს თემსაბჭო

(სიღნაღის მაზრა)

საალმშენებლო სექცია

საალმშენებლო სექციას საანგარიშო ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ მოუხდენია თავის წევრთა სამეულის კრება. სექციის წევრებმა არ იციან, თუ ვინ არის სექციის თავმჯდომარედ. ან ვის რა მოვალეობა აქვს დაკისრებული. საალმშენებლო სექციას თემალმასკომის თავმჯდომარემ ორჯერ დაავალა გამოერკვია და ცნობები ალმასკომისთვის, თუ რა მდგომარეობაში იყო თემში წყლის საკითხი, ხახვაღებლების, საექიმო პუნქტების და თემ-ალმასკომის შენობები. სექციის ზოგიერთი წევრები ერთხელაც არ დასწრებიან სექციის კრებებს, ხოლო ოქმებზე კი ხელი უწერიათ. სექციის მიერ გამომუშავებულ ღონისძიებებით ნაწილობრივ სარგებლობდა თემ-ალმასკომი, მაგრამ შემდეგში არ ყოფილა არავითარი კონტროლი, თუ რამდენად მიზანშეწონილად იქნა გამოყენებული სექციის მითითებანი. სექციის წევრებმაც არ იცოდენ ქონდათ თუ არა მათ უფლება ჩატარებულ მუშაობის შეფასების და მათი მოწონებ-დაწუნების.

სექციის წევრები დაინტერესებულნი არიან მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ალმშენებლობითი მუშაობაში, მაგრამ არ არიან გაცნობილნი მათ უფლება-მოვალეობას.

ამიტომ შემდეგისთვის აუცილებლად საჭიროა მეტი აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება, რომ საბჭოს თვითეულმა წევრმა და აგრეთვე მშრომელთა ფართო მასებმაც იცოდნენ, თუ რა მიზნებს ისახავს საბჭოთა ხელისუფლება საერთოთ, და კერძოდ კი გლეხობის კეთილდღეობის საქმეში.

ფ. ზედელაშვილი.

ცნობები საანგარიშო კამპანიის შესახებ

საქართველოს ცაკმა მაზრებში საბჭოების საანგარიშო კამპანიის ჩატარების შესახებ მიიღო შემდეგი დეპეშები:

ახალციხიდან

ახალციხის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით საბჭოების საანგარიშო კამპანია უნდა დაწყებულიყო პირველი მარტიდან და დამთავრებულიყო 15 აპრილს.

მაგრამ საანგარიშო კამპანიის დაწყებას ხელი შეუშალა დიდმა თოვლმა, თოვა ისევ გრძელდება. გზები ყველგან დაკეტილია, რის გამო თემებთან კავშირი შეუძლებელი ხდება.

აგრეთვე კავშირი შეწყვეტილია ახალციხესა და ბორჯომს შორის.

ახალციხის მაზრაში საბჭოების საანგარიშო კამპანია დაიწყება, როგორც კი თოვლი დნობას დაიწყებს და შესაძლებელი იქნება თემებთან კავშირის აღდგენა.

ამის გამო ახალციხის სამაზრო აღმასკომი შუამდგომლობს ცაკის პრეზიდიუმის წინაშე, რათა გაგრძელებული იქნეს საანგარიშო კამპანიის ვადა.

დუშეთიდან

დუშეთიდან მიღებული დეპეშის თანახმად, დუშეთის მაზრაში დიდი თოვლი ძევს. თოვა გრძელდება. როგორც თბილისთან, ისე თემებთან და სოფლებთან მიმოსვლა შეწყვეტილია, რის გამო საანგარიშო კამპანიის ჩატარება შეფერხებულია.

ფოთიდან

ფოთის რაიონი, საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად დაყოფილია 15 უბნათ: პროფესიონალურ კავშირებში გამოყოფილია 6 უბანი, ქალაქში—6, ყულევის თემში—1, სოფ. პატარა-ფოთში—1, წითელ არმიელთა ნაწილებში—1. კამპანია დაწყებულია.

ინსტრუქტორები

ცაკმა საბჭოების საანგარიშო კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ მაზრებში დაგზავნა ინსტრუქტორები.

მუშათა ცხოვრება

რკ. გზის მთავარ სახელოსნოს მუშებში

5 თებერვალს, პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე „ზაკტპოს“ გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. თვარელიძემ, რომელმაც მოკლედ და მკაფიოდ გააცნო კრებას გამგეობის მუშაობა ერთი წლის განმავლობაში და აღნიშნა მუშაობის, როგორც ნაკლი, ისე მიღწევებიც. მომხსენებლის სიტყვით საანგარიშო ხნის განმავლობაში „ზაკტპოს“ ჰქონია 1.270.099 მანეთი თანხა, თბილისში არის საქონლის 4 მთავარი საწყობი. სავაჭრო დუქნები 1926 წ. ყოფილა 128, გასულ წელს კი მათი რიცხვი აღწევს 169. გაიზარდა წევრთა რიცხვიც. 1926 წ. „ზაკტპოს“ ჰყავდა 28.979 წევრი, გასულ წელს კი 33.966 წევრი. გარდა ამისა ხაზზე გახსნილია 28 სავაჭრო და მოწყობილია 8 სავაჭრო რონოდა.

ამხ. თვარელიძის მოხსენების შემდეგ, სადუქნო კომისიის მუშაობის შესახებ ილაპარაკა ამხ. გაბუნიამ. მან გააცნო კრებას სადუქნო კომისიის მუშაობა და აღნიშნა რამოდენიმე შემთხვევა მაღაზიებში შემჩნეულ ბოროტმოქმედებისა, რის გამო მომხსენებლის სიტყვით, 10 დღის განმავლობაში კომისიას სამსახურიდან მოუხსნია ექვსი თანამშრომელი.

ორივე მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 7 კაცმა, რომლებმაც გამგეობას მიუთითეს რამოდენიმე ნაკლზე და მოითხოვეს მათი გამოსწორება.

დასასრულ კრებამ აირჩია დელეგატები „ზაკტპოს“ წევრთა მეორე ყრილობაზე დასასწრებლად და სადუქნო კომისია 49 წევრის და 9 კანდიდატის შემადგენლობით.

მუშკორი მონადირე.

—:—

წესრიგის დამცველი წესრიგს არღვევს

2 თებერვალს, სადგ. ქიათურაში შორაპანში გასამგზავრებელ საფოსტო მატარებელი № 3-ის რევიზორთან, ამხ. კახაძესთან მივიდა სადგურის ქმედი—კალანდაძე და წინადადება მისცა, რათა მას შეეშვა მატარებელში მისი ნაცნობი მილიციელი ქიათურიდან სალიეთში წასასვლელად. რევიზორმა განუცხადა, რომ უბილეთოთ მგზავრის აყვანა აკრძალულია და თითონ, როგორც რკ. გზის ქმედი, ვალდებულია დაიცვას არსებული ბრძანება. მით უმეტეს რომ მილიციელი მიემგზავრება კერძო საქმეებზე.

რევიზორის პასუხმა ცუდათ იმოქმედა მკაცრ ქმედზე—კალანდაძეზე და კატეგორიულად ბრძანების კილოთი მოსთხოვა უბილეთოთ მგზავრი შეეშვა მატარებელში, რაზეც უარი განუცხადა რევიზორმა. ქიათურის და სალიეთის გადარბენაზე, მატარებლის რევიზიის დროს აღმოჩნდა უბილეთო მგზავრი მილიციელი, რომელიც რევიზორმა წარადგინა სად. სალიეთში ოქმის შესადგენად. ოქმის შედგენის დროს მილიციელმა იძრო რევოლვერი და დაუმიზნა რევიზორს, მაგრამ იქ მყოფმა ბრიგადამ დაამშვიდა გააფთრებული ხულიგანი და რევიზორი—ამხ. კახაძე, გადაარჩინა სიკვდილს. სადგურის მორიგის წინადადებაზე, რათა მილიციონერს წარედგინა თავისი ვინაობის საბუთი—მილიციელმა უარი განაცხადა.

საჭიროა სად. ქიათურის ქმედს და მილიციელს მოეთხოვოს პასუხი: რკ. გზაზე წესრიგის დარღვევისათვის.

მუშა.

რად არის ასეთი განსხვავება

ზაჰესის დღიურ მუშებს არ ეძლევათ შესაფერისი ხელფასი. საექსპლოატაციო განყოფილების 35 მუშა, რომლებიც მუშაობენ ერთ და იმავე სამუშაოზე. სხვადასხვა განაკვეთით ღებულობენ ხელფასს: ერთი ნაწილი იღებს 1 მან. 65 კაპ. დღეში, ხოლო მეორე 1 მან. 45 კაპ., საერთოდ მათი თვიური ხელფასი საშუალოდ უდრის 39 მან. 60 კ.

ამავე განყოფილების სხვა მუშა-მოსამსახურენი კი ძირითად ჯამაგირთან ერთად ღებულობენ ე. წ. ბინის პროცენტებს და დატვირთვასაც. ამ საკითხს ადგილკომმა მიაქცია ყურადღება, გასული წლის ნოემბერში შუამდგომლობაც აძრა სათანადო ორგანოების წინაშე. მაგრამ საკითხი მოგვარების საშველი არ დაადგა. რამდენი ოქმი გადაიგზავნა, რამდენი დრო გაიყვანა. რამდენი მოლაპარაკება აწარმოა ადგილკომმა ადმინისტრაციასთან, მაგრამ საქმე მაინც არ მოიკეთდა.

რატომ უნდა იყოს ასეთი განსხვავება დროებით მუშების უმეტესი ნაწილი განუწყვეტლივ მუშაობენ სამექანიკო ნაწილში და ზოგიერთი მათგანი ნახევრად კვალიფიციური მუშებადაც ითვლება.

სათანადო ორგანოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამ გარემოებას და შესაძლებლობის ფარგლებში გაათანასწორონ დროებითი და მუდმივი შტატში მყოფ მუშების ხელფასი.

ხაყავისტყელი.

რა სარგებლობა მოაქვს?

(ხაშური)

ხაშურის რკინის გზის კლუბის გამგეობას მოუწვევია „ბენ-საიდი“, როგორც არაჩვეულებრივი ანტრეპრენიორი, ასეთი „კულტურული-ხალტურით“ უმასპინძლდება ხაშურის რკ. გზ. კლუბის გამგეობა მუშა-მოსამსახურეებს.

ბევრი ვწერეთ მუშათა კლუბებში ასეთი გასტროლების დაუშვებლობის შესახებ. ბევრს აეწყო ყურები ასეთ საღამოების მოწყობის გამო. მაგრამ ხაშურის რკ. გზის კლუბის ადმინისტრაციას, როგორც სჩანს არც წაუკითხავს და არც გაუგონია ვისმესგან ეს.

როგორი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ბენ-საიდის ხალტურას ახალგაზრდობისათვის? რა სარგებლობა დაღლილ დაქანცულ მუშისთვის მისი სცენაზე გრეხვა? ამაზე ხაშურის რკ. გზის კლუბის გამგე გასცემს პასუხს. „ბენ-საიდის“ წარმოდგენაზე დამსწრეებს, მაგრამ საჭიროა ხაშურის უბნის კავშირმა შემდეგში მაინც მიაქციოს ყურადღება ამ მოვლენას და არ მისცეს ნება კლუბის გამგეს მოჯადოებას ასეთი ხალტურით გაუმასპინძლდეს მუშებს.

ლეო დეკანოსიძე.

—:—

ფოსტას უახლოვებენ მოსახლეობას

ფოსტით სარგებლობის და მოსახლეობისათვის სამსახურის გაწევის მიზნით, ა.-კ. ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველომ ამა წლის 28 თებერვლიდან შემოიღო ფულის გადარიცხვის, ფასიანი წერილების და ფასდადებულ ამანათების ვაჭრობა ფოსტის ვაგონით რკინის გზის იმ სადგურზე და ბაქანზე, სადაც არ არსებობს ფოსტის დაწესებულება და არიან მცხოვრებლები.

ამით საშუალება მიეცემა მოსახლეობას მიიღოს მის სახელზე გაგზავნილი ფული, ან ფასიანი ამანათი, საცხოვრებელი ბინის ახლო და აიცდინოს თავიდან რამოდენიმე კილომეტრ მანძილის გავლა ამანათის მისაღებათ.

ამრიგად იმ სადგურებზე, ან სადგურებთან ახლო მცხოვრებლებს, სადაც არ არის კანონიერი ფოსტის განყოფილება, მიეცათ საშუალება ისარგებლონ საფოსტო ვაგონის საშუალებით; გაგზავნონ და მიიღონ ყოველგვარი საფოსტო კორესპონდენცია. მოსახლეობა ფოსტის ასეთ სამსახურს ფართოთ გამოიყენებს და ისარგებლებს მით.

პ. ლისაბერიძე

შეიძინეთ ნიშნები

(საჭილაოს ხე-ტყის სახერხი ქარხანა)

გასული წლის ენკენისთვეში ა.-კ. რკ. გზათა სატყეო განყოფილების საჭილაოს სახერხ ქარხნის სახანძრო გუნდის ბრანდმეისტერმა, მიმართა ქარხნის ადმინისტრაციას, რათა უკანასკნელს შეეძინა სახანძრო გუნდისათვის ნიშნები, ანუ გამგ. მოქ. ჯიოლეცე უპასუხა, რომ აღნიშნულ ნიშნების შეძენა ხარჯთ-აღრიცხვით არ არის გათვალისწინებული და არც შეგვიძლიან შევიძინოთო.

ამის გამო ბრანდმეისტერმა მიმართა წევის დარგის 4-ხე უბნის უფროსს შუამდგომლობით, რათა მას საჩქაროდ გადაეწყვიტა ეს საკითხი. უკანასკნელმა მიმართა სატყეო განყოფილებას ზემოაღნიშნული თხოვნის დასაკმაყოფილებლად. მაგრამ სატყეო განყოფილების მმართველობის ნაწილმა პასუხიც არ აღირსა ქარხანას. დღესაც ეს საკითხი მოუგვარებელია;

სახანძრო გუნდისათვის აუცილებელი საჭიროა გულზე სატარებელი ნიშნები. ამის შესახებ ბრძანებაც კი არის გაცემული გზათა სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წ. 29 ნოემბ. თარიღით № 1317. სატყეო განყოფილება უნდა დაემორჩილოს ამ ბრძანებას და აღნიშნული ნიშნების შესაძენად გადასდოს 20-25 მანეთი.

მუშა.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

უნდა შეკეთდეს. (ხაშური) ქალის უბნის მცხოვრებლებს აქვთ საუცხოვო სასმელი წყალი, მაგრამ ამ წყალში თითქმის მთელი დღე ყრია საქონელი ხარი, კამეჩი, და სხვა წვრილფეხა ფრინველი. გარდა ამისა წყალის ადიდების შემთხვევაში მცხოვრებლებს საშუალება ესპობათ ისარგებლონ წყლით, სხვა წყალი კი ახლო-მახლო არ მოიპოვება. ხაშურის საბჭო უნდა იკისროს ამ წყაროს შეკეთების თაოსნობა, ხარჯებს კი მცხოვრებლები გაიღებენ.

გ. ნ.

სხვას დააკისრეთ ეს საქმე. თბილ. საქონლის სადგურის მწონავებს აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა; გარდა ბარგის მიღებ-გაცემისა, ისინი ადგენენ აგრეთვე აქტებსაც, რომლებზეც, სამსახურში დროის უქონლობის გამო, სახლში უხდებათ მუშაობა, საჭიროა ადმინისტრაციამ აქტების შედგენა დააკისროს კანტორის მოხელეებს, როგორც ეს იყო წინად

მწონავი.

ღვინით ვაჭრობს. რკინის გზის სალიანდაგო დარგის მე-7-დე უბნის სასკოლოს გადასასვლელის დარაჯი, მოქ. ქსოვრელი სამსახურის შესრულების დროს ღვინითაც ვაჭრობს.

ადგილკომმა უნდა გამოასწოროს პროფკავშირის ასეთი წევრი.

მეუხრუჟე.

დახმარებას ვერ გვიწევენ. მთავარ სახელოსნოს ამბულატორიის ექიმები ხშირად არ მიდიან ბინაზე ავადმყოფის გასასინჯავად: 6 მარტს ექ. ახალაძე არ გამოცხადდა ერთ-ერთი დაზღვეულის ბინაზე, რის გამო მუშა იძულებული გახდა მიემართა კერძო ექიმისათვის ასეთი შემთხვევა ხშირია.

ზალი.

მოარჯულეთ მოანგარიშე. თბილისის საყუდის მოანგარიშე მოქ. კ. კონსტანტინეპოლსკი ბიუროკრატიულად ეპყრობა რამე ცნობის მისაღებად მოსულ მუშებს. ადგილკომი უნდა მოარჯულოს ბიუროკრატი მოანგარიშე.

მაზეროვი.

ტელეფონი არ გვივარგა. მე-7 უბნის სალიანდაგო დარგის ანგარიის ტელეფონი ძალიან დაზიანებულია და მის შეკეთებას ან გამოცვლას არავინ ფიქრობს. ამის გამო ხშირად ფერხდება საქმის თავის დროზე შესრულება. უბნის უფროსო, რატომ არ გამოცვლი უვარგის ტელეფონს.

ხზარელი.

მაქსიმ გორკის იუბილესათვის

ზეიმის ჩატარების გეგმა მუშათა კლუბებში

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა თბილისის მუშათა კლუბების გამგეთა და ბიბლიოთეკართა თათბირი მაქსიმ გორკის სამწერლო-საზოგადოებრივი მუშაობის 35 წლის აღსანიშნავი იუბილეს გამართვის შესახებ მუშათა კლუბებში.

საზეიმო საღამოების ჩატარებაში მუშათა მასების ჩაბმის მიზნით, კლუბებმა; წითელ კუთხეებმა და ბიბლიოთეკებმა წინდაწინვე უნდა გააცნონ მუშებს იუბილესათვის მზადება, რისთვისაც უნდა გამოაკრან საგანგებო პლაკატები და აფიშები, გორკის ნაწარმოების ფართედ გავრცელების მიზნით, უნდა მოეწყოს იუბილიარის მხატვრულ ნაწარმოებთა ხმამაღლა კითხვა და მათი კრიტიკული გარჩევა. უმთავრესად უნდა მოეწყოს მის საუკეთესო ნაწარმოებთა კითხვა, როგორიცაა „შევარდენის სიმღერა“. „ყოფილი ხალხი“, „სიმღერა გრიგალზე“; „დედა“, „სიყმაწვილე“. „9 იანვარი“ და „ჩემი უნივერსიტეტები“.

უნდა მოეწყოს აგრეთვე გორკის ნაწარმოებზე გამოთქმული შეხედულებათა შეკრება, მის ნაწარმოებთა და კრიტიკული ლიტერატურის გამოფენა. კლუბის სახვითი წრეებმა შეძლებისამებრ უნდა დაამზადონ პლაკატები შემდეგ თემებზე: „ქრონოლოგიური ცხრილი გორკის ცხოვრებისა და შემოქმედებისა“. „ჩვენი კრიტიკა გორკის შემოქმედებაზე“, „მკითხველი გორკის შემოქმედებაზე“ და სხვა.

საზეიმო პროგრამა იმგვარად უნდა იქნეს შედგენილი, რომ იგი არ გრძელდებოდეს სამ საათზე მეტს. პროგრამაში უნდა შედიოდეს: მოხსენება მაქსიმ გორკის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ (მოხსენება არ უნდა გაგრძელდეს 50 წუთზე მეტს), მკითხველების გამოსვლა (რას ფიქრობენ მკითხველები გორკიზე). საღამოს უკანასკნელი ნაწილში უნდა მოეწყოს მხატვრული კითხვა, დეკლამაცია, მოყოლა, მელოდეკლამაცია და ინსცენიროვკები.

იმ კლუბებში და წითელ კუთხეებში, რომელშიაც არსებობენ დრამატიული წრეები და შესაძლებელი იქნება უნდა დაიდგას პიესა „მტრები“. გარდა ამისა შეიძლება პიესა „ფსკერი“-ს და „მეშჩანები“-ს დადგმაც.

საბინაო კოოპერაციის საბჭოს პლენუმი

17—18 მარტს ა. კ. პროფკავშირთა საბჭოსთან შესდგა ამიერ-კავკასიის სამშენებლო და საიჯარო საბინაო კოოპერაციის საბჭოს პლენუმი, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს და აზერბეიჯანის სამშენებლო-საიჯარო კოოპერატ. კავშირების, საბინაო მშენებლობისათვის ხელისშემწყობ ა. კ. საგზაო კომიტეტის, ა. კ. მუშათა და გლეხთა განყოფილების და კომკავშირის ა. კ. საოლქო კომიტეტის წარმომადგენელნი.

ა. კ. საბინაო კოოპერ. საბჭოს მოხსენება

პირველად პლენუმმა მოისმინა ა. კ. საბინაო-კოოპერატიულ საბჭოს პრეზიდიუმის საინფორმაციო მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ. საანგარიშო პერიოდში საბჭოს საქმიანობის მთავარ მიზანს შეადგენდა საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა მონაწილეობის გაძლიერება საბინაო მშენებლობაში საკუთარი თანხების გაღების საშუალებით. ამასთან ერთად საბჭოს პრეზიდიუმმა დაამუშავა და დასამტკიცებლად წარუდგინა ა.კ. სახალხო კომისართა საბჭოს მუშა-მოსამსახურეების მიერ სახლების ინდივიდუალური აგების პროექტი. საბჭოს მიერ დამუშავებული იქნა აგრეთვე იმ ღონისძიებათა პროექტი, რომელნიც გატარებული უნდა იქნეს მდგმურთა მიერ სახლის მეურნეობის დასაცავად. ა. კ. საბინაო კოოპერატიული საბჭოს პრეზიდიუმის მიერ აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საბინაო კოოპერაციაც ჩაირიცხული იქნეს იმ კოოპერატ. ორგანიზაციათა სიაში რომელნიც სესხს ღებულობენ გრძელვადიან კოოპერატიულ ფონდიდან.

საკავშირო საბინაო-კოოპ. საბჭოს სესიის შედეგები

სრ. საკავშირო საბინაო კოოპერაციის საბჭოს უკანასკნელი სესიის შედეგები პლენუმს გააცნო ამხ. ტიტოვმა (აზერბეიჯანის ბინათ კავშირის თავმჯდომარემ). მომხსენებლის გადმოცემით,—უკანასკნელმა სესიამ გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად. ამ მიზნით გამოტანილ იქნა დადგენილებები საამშენებლო მასალის თავის დროზე დამზადების, საბინაო მშენებლობისათვის კრედიტის გაიაფების, საკრედიტო ფონდის გათავების შესახებ და სხ.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების წარმომადგენლის ამხ. შავერდოვას მოხსენება საბინაო მშენებლობაში ქალთა მონაწილეობის გაძლიერების და კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. გავრიშის მოხსენება საბინაო კოოპერაციაში ახალგაზრდობის ჩაბმის შესახებ. ორივე ამ მოხსენებათა მიხედვით პლენუმმა მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ხასიათის დადგენილებანი.

საბინაო კოოპერაციის საკრედიტო გეგმა 1928 წლისათვის

დასასრულ პლენუმმა დაამტკიცა საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის საკრედიტო გეგმა 1928 წლისათვის. ამ გეგმის მიხედვით ა.-კ. საბინაო კოოპერაცია საკავშირო კომუნალური ბანკიდან 1928 წლისათვის მიიღებს 650 ათას მანეთ სესხს, რომელიც რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად არის განაწილებული: აზერბეიჯანისათვის—305500 მანეთი, საქართველოსათვის—195 ათასი მანეთი და სომხეთისათვის—149 ათასი მანეთი. გარდა ამისა რესპუბლიკანური ფონდებიდან, რომელიც შესდგება მუშა მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდებიდან ტაღებულ ანარიცხებისაგან,—ამიერ-კავკასიის საბინაო მშენებლობისათვის მიმდინარე წელს გადადებულია 195 ათასი მანეთი, ხოლო მიზნობრივი საბინაო გადასახადებიდან შეგროვილია 1.402.000 მანეთი. აი, ის თანხები, რომელიც უნდა მოხმარდეს მიმდინარე წელს საბინაო მშენებლობას.

საკრედიტო გეგმის დამტკიცებით ამოიწურა პლენუმის დღის წესრიგი.

თათბირი წყალთა მეურნეობის საკითხებზე

მეხუთე სხდომა

18 მარტის დილის სხდომაზე თათბირზე მოსმენილ იქნა იურისკონსულტ გ. ანდრონიკაშვილის მოხსენება ამიერ-კავკასიაში წყლით სარგებლობის დარგში მომქმედ კანონმდებლობის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დღემდე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს კიდევ არა აქვთ ე. წ. წყალთა კოდექსი და კანონმდებლობით არაა გარკვეული, თუ რა უფლებრივ ფორმებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული წყალთა სარგებლობის საქმე. ამ დარგში გამოცემული არის მხოლოდ რამოდენიმე ცირკულიარული ხასიათის განმარტებები და ადგილობრივი გლეხობა სარგებლობს მხოლოდ წყალთა სარგებლობის საქმეში ერთხელვე დამკვიდრებული ადათებით და ჩვეულებებით.

მომხსენებელს აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია საჩქაროთ იქნას დაწყებული მუშაობა წყალთა კოდექსის დასამუშავებლად, რისთვისაც უნდა მოხდეს ყველა ადათთა და ჩვეულებათა დაწვრილებითი შესწავლა და მათი ჩამოყალიბება კოდექსის სახით.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში რესპუბლიკების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ კანონმდებლობის უქონლობა ძალიან უშლის ხელს წყალთა მეურნეობის საკითხების მოგვარებას და იწვევს გაუგებრობას წყლით მოსარგებლეთა შორის. თათბირმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც მიენდო ამ საკითხის დეტალურად დამუშავება და სათანადო დებულების წარდგენა მთავრობის ორგანოებისათვის.

მეექვსე სხდომა.

თათბირზე მორიგი მოხსენებით გამოდის პროფ. ე. კანჩერი, რომელიც ეხება წყალთა მეურნეობის ეკონომიკას და მის მნიშვნელობას სახალხო მეურნეობის აღორძინებაში. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ა.-კავკასიაში წყალთა მეურნეობა შეიცავს უმთავრესად ორ დარგს—მელიორაციას და ჰიდრო-ენერგეტიკას, ორივე ამ დარგის მხრივ ა.-კავკასია წარმოადგენს მეტად მდიდარ ქვეყანას, სადაც დიდი შესაძლებლობები ისახება, როგორც ერთი, ისე მეორე დარგისთვის. ამიერ-კავკასიის ყველა მდინარეთა გამოყენება შესაძლებელია ელექტროფიკაციის საქმეში და მათი საერთო ძალოვნება გადააჭარბებს ათ მილიონ ცხენის ძალას.

მიუხედავათ ასეთი შესაძლებლობებისა დღემდე, მომხსენებლის განმარტებით, კიდევ არ არის შესწავლილი ჩვენი მდინარეების და წყლების გამოყენების ეკონომიკა. ამიტომ, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია მიმდინარე წლის განმავლობაში მთელ ამიერ-კავკასიაში ჩატარებულ იქნას პირველი სამელიორაციო აღწერა (რამდენი სარწყავი სისტემა არის, რამდენი დესეტინა ირწყვება, რამდენი მეურნეობა სარგებლობს წყალით და სხვ.) დაწყებულ იქნეს სამელიორაციო და საელექტრიფიკაციო სამუშაოთა სისტემატიური გამოკვლევები და დამუშავებულ იქნეს ამ საქმეებთან დაკავშირებული გამოკვლევების მეთოდოლოგია.

ვინაიდან სამელიორაციო საკითხების მოწესრიგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ სასოფლო მეურნეობისათვის, ამიტომ მომხსენებელი ამბობს, რომ უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სამელიორაციო სამუშაოების გაიაფებას, რათა ამ გზით მომხმარებელი მიიღებდეს იაფი წყალი, რაც თავის მხრივ დიდ ხარჯებს არ დააწვება სოფლის მეურნეობას. სამელიორაციო სამუშაოების გაიაფება მიღწეულ უნდა იქნეს ტექნიკურ გამოკვლევების და კვლევა-ძიების დროს ეკონომიის რეჟიმის დაცვით, ალმშენებლობის [illegible] და პროექტების დამუშავების გაადვილებით.

რემედასის ხუთი წლის თავზე

1871 წ. კომუნის მნიშვნელობა განუზომელია, მასთან დაკავშირებულ გაკვეთილები გათვალისწინებული აქვს საერთაშორისო მებრძოლ მუშათა კლასს და რევოლიუციონურ გლეხკაცობას.

ვ. ლენინი შემდეგს სწერდა ამის შესახებ: „რაც უნდა განუზომელი იყოს კომუნის მსხვერპლი, მას მაინც გამოისყიდის მისი უდიდესი მნიშვნელობა საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლებისათვის“—ო.

პარიზის კომუნარების ჭეშმარიტ გზას გაჰყვა საერთაშორისო პროლეტარიატი. პარიზის პროლეტარიატის მიერ წამოჭრილი ლოზუნგებს ხორცს ასხამს საბჭოთა დიდი კავშირი,—რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სოციალური რევოლიუციის მტკიცე დასაყრდენ საფუძველს იმ დიადი იდეალებისათვის, რომლისთვისაც სისხლს ღვრიდენ 1871 წ. მარტის დღეებში პარიზის კომუნის გმირები. დღეს დედამიწის ყველა კუთხეებში სწარმოებს შეურიგებელი და გააფთრებული ბრძოლა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის.

ამიტომ ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა პარიზის კომუნის დიდი იდეებისათვის მებრძოლ ამხანაგებისადმი ნიშნავს პარიზის კომუნის ისტორიულ საქმის გამარჯვებისათვის ხელის შეწყობას. ამ დახმარების ორგანიზაციას ემსახურება რემედასი.

შეიძლება ყოველსა აქ საჭიროა უპასუხოთ იმ კითხვას თუ რატომ აირჩია რემედასმა თავის დღეთ—პარიზის კომუნის დღე—18 მარტი.

კომუნის დამარცხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის, რომ მას არ ჰქონდა საერთაშორისო ხასიათი, ამავე დროს აკლდა მთავარი რამ, რასაც წარმოადგენს საერთაშორისო ერთსულოვნების გამომჟღავნება.

რემედასი კი წარმოადგენს საერთაშორისო მებრძოლ პროლეტარიატის და რევოლიუციონურ გლეხკაცობის ერთსულოვნების იდეის განხორციელების, განმანთავისუფლებელ მოძრაობის მსხვერპლთა დახმარების აღმოჩენის ნიადაგზე.

პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ ბურჟუაზია სისხლით ძღებოდა. მან საშინელი შური იძია დამარცხებულ მუშათა კლასზე. პარიზის პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებმა მსხვერპლად მიიტანეს თავისი სიცოცხლე კომუნის სადარაჯოზე.

მიუხედავად ამისა უკანასკნელ წლების განმავლობაში საერთაშორისო თეთრი ტერორისა და კლასიური იუსტიციის მიერ წარმოებულ საშინელებებთან შედარებით ძლიერ მკრთალად მოჩანს პარიზის 1871 წ. მარტის დღეების ამბები. თანამედროვე ხორტები, ცანკოვები, ჩანკაიშები და მუსოლინები ძლიერ აჭარბებენ თავიანთ წინამორბედ—პარიზის კომუნის ჯალათებს—ტიერს, გალიფეს და მაკმაგონს.

რემედასი ძმური დახმარების ხელს უწვდის მთელი ქვეყნის მებრძოლ მუშათა კლასს, რომელიც გმინავს კაპიტალის ექსპლოატაციის მძიმე უღლის ქვეშ და რომლებსაც საკუთარის ხელით [illegible] გამძვინვარებული კლასიური იუსტიცია და [illegible]. აქედან ნათელია, თუ რატომ [illegible].

ამრიგად რემედასი არის საერთაშორისო რევოლიუციის ძლიერი წითელი ზურგი. რემედასი არის ერთ-ერთი მძლავრი ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინტერნაციონალიზმის დიდ იდეებს.

ასეთი არის კავშირი, რომელიც არსებობს პარიზის კომუნასა და რემედასს შორის. ამიტომ არის მარტის 18—პარიზის კომუნის დღე გამოცხადებული რემედასის დღეთ.

დღეს საბჭოთა კავშირში რემედასის ყველა უჯრედები, კლუბები, საღამოები და მიტინგები მოიგონებენ პარიზის კომუნის ბარიკადებზე გმირულად დაღუპულ ამხანაგებს. ჩვენ ამავე დროს უნდა [illegible] ხმები მივაწვდინოთ პარიზის კომუნის ბრწყინვალე იდეებისათვის მებრძოლ ამხანაგებს, რომლებიც იტანჯებიან ბურჟუაზიის ხუნდებში საპყრობილეებში.

რემედასის არსებობის 5 წლის თავზე გადასინჯული უნდა იქნეს ჩვენ მიერ განვლილი გზა და უნდა დასახულ იქნეს მომავალი პერსპექტივები. დღე რემედასის 5 წლის თავზე ყველა რემედასელმა ერთხელ კიდევ მოიგონოს ის მოვალეობა, რომელსაც მას აკისრებს რემედასის წევრობა.

მიუხედავათ ბურჟუაზიულ ძალადობისა, პოლიციის აგენტების თავდასხმებისა და ათასგვარი დაბრკოლებათა ჩვენი ორგანიზაციების მოღვაწეობა გაცხოველებული ტემპით უნდა მიმდინარეობდეს მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

5 წლის განმავლობაში რემედასს ბევრი მიღწევები აქვს. მან სიკვდილისა და განადგურების გადაარჩინა საერთაშორისო ოქტომბრისათვის მებრძოლთა არა ერთი და ორი ათასი გმირი და მათი უმწეოდ დარჩენილი ოჯახების წევრები. მხოლოდ რემედასმა შესძლო საერთაშორისო მუშათა კლასის ერთსულოვნების ლოზუნგების ქვეშ დაირაზმა თავისუფლებისათვის მებრძოლი მასები. რემედასი დღითიდღე თავისი არსებობის საკმაოდ ძლიერი მასიური ორგანიზაცია გახდა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც მას ასე თუ ისე ლეგალურ პირობებში უხდება მოღვაწეობა. მაგრამ ამ მიღწევებით არ უნდა მოვდუნდეთ მომავალში მებრძოლთა ბრძოლის წყურვილი და კაპიტალის ტყვეების—ამის დახმარების აღმოჩენის ხალისი. რემედასის არსებობის მეორე 5 წლის განმავლობაში უნდა გავაასკეცოთ ჩვენი მოღვაწეობა. ერთი ორად უნდა იქნეს გაძლიერებული მატერიალური დახმარების საქმე.

რემედასის რიგებიდან ჩამოშორებული უნდა იქნენ ყველა პასიური და უმოქმედო ელემენტები. რემედასი ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიწმინდოს არააქტიური ამხანაგებისაგან.

ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მომუშავე აქტიურ რემედასელებს მზად იყვნენ რემედასის სადარაჯოზე. ჯერ კიდევ წინ არის ძლიერი და გამოუმჟღავნებელი ბრძოლა საერთაშორისო კაპიტალთან, რემედასი ვალდებულია ამ ბრძოლებისათვის საერთაშორისო პროლეტარიატს შეუნარჩუნოს ცოცხალი, კლასიური შეგნებით განმტკიცებული ცოცხალი ძალები. მხოლოდ აქტიური ამხანაგების მოღვაწეობით, მხოლოდ მასების ინიციატივით შესაძლოა განვახორციელოთ რემედასის ისტორიული მიზნები.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი ქვეყნის თავისუფალი მუშათა კლასი და რევოლიუციონური გლეხკაცობა ღირსეულად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. პირველი 5 წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილებანი თავდები უნდა იქნეს მომავალი ბრწყინვალე გამარჯვებისა.

პ. ა.—ია.

საქ. სახკომსაბჭოში

მაზრების საბჭოთა მეურნეობის ძირითადი კაპიტალის გაძლიერება

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო მაზრების 1927—28 წ. ბიუჯეტში შეტანილ იქნეს სათანადო თანხა საბჭოთა მეურნეობის ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად.

სასოფლო ვაჭრობის გამოკვლევა

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო, რომ სასოფლო ვაჭრობის შერჩევითი გამოკვლევა (წინასწარ განსაზღვრულ პუნქტებში) ხდებოდეს ყოველწლიურად.

წინადადება მიეცა ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს შეიმუშაოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან შეთანხმებით მიმდინარე წელში სასოფლო ვაჭრობის შერჩევითი გამოკვლევის პროგრამა და ხარჯთაღრიცხვა, გათვალისწინოს გამოსაკვლევი პუნქტები და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს. მასვე დაევალა მომავალ წელში სასოფლო ვაჭრობის გამოსაკვლევად საჭირო სახსარი გაითვალისწინოს 1927—28 წ. ხარჯთაღრიცხვაში.

1927—28 წ. საბალანსო კამპანია

საქართველოს ს. ს. რ-ის სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება-საწარმოთა 1927—28 წ. ბალანსების განსახილველად დაარსებულია საბალანსო კომისია ამხ. მარქარიჭის (თავმჯდომარე), ვ. ავაქოვის, ხვედელიძის და მაჭავარიანის (ფინსახკომი) შედგენილობით.

წინადადება მიეცა ყველა ანგარიშვალდებულ დაწესებულება-საწარმოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს ხსენებულ კომისიას თავისი ბალანსები და ანგარიშები სათანადო განმარტებითი ბარათების თანდართვით.

ქ. ცხინვალის ხე-ტყის ქარხანა.

ქ. ცხინვალში ასაგები ხე-ტყის სახერხი ქარხნის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა გადაეცა ს. მ. უ. ს., რომელსაც დაევალა ორი კვირის განმავლობაში განიხილოს იგი.

ქარხნის აგების ღირებულება ნავარაუდევია 300.000 მან. ფარგლებში.

აბრეშუმის თესლი

ამიერ-კავკასიისათვის

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატში მიღებული ცნობებით, საკავშირო სახკომსაბჭოს ნედლეულის სამმართველოსთან შემდგარმა თათბირმა შეიმუშავა აბრეშუმის თესლის რეალიზაციის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით მიმდინარე წელში მთელ კავშირში განაწილებულ იქნება 515.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი. აქედან ამიერ-კავკასიისათვის გადადებულია 213.000 კოლოფი, რომელიც ცალკე რესპუბლიკების მიხედვით განაწილებულია ამგვარად: საქართველოს—115.000 კოლოფი, აზერბეიჯანს—95.000 და სომხეთს—3.000 კოლოფი.

აბრეშუმის თესლის რეალიზაციას ამიერ-კავკასიაში აწარმოებს სახელმწიფო აბრეშუმის გადამამუშავებელი ორგანიზაციები—„საქართველოს აბრეშუმი“ და „აზერბეიჯანის აბრეშუმი“.

გასაცემი ფასი თითო კოლოფზე (25 აბრეშუმის თესლი) დაწესებულია 2 მან. 40 კაპ. რაოდენობით. ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახკომისარიატს დავალებული აქვს შეადგინოს მოსახლეობისათვის აბრეშუმის თესლის უფასოდ დარიგების გეგმა.

ფართალი მეაბრეშუმეებს

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში გუშინ შესდგა კოოპერატიულ ორგანიზაციათა და აბრეშუმის ტრესტის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა მეაბრეშუმეთა ფართლით მომარაგების საკითხი.

აბრეშუმის ტრესტის წარმომადგენლის განცხადებით, წელს განზრახულია 130.000 ფუთი აბრეშუმის პარკის დამზადება. დამზადების წარმატებით ჩატარებისთვის საჭიროა მეაბრეშუმეთა სათანადოთ მომარაგება ფართლეულით. გასულ წელს მეაბრეშუმეთათვის შემოზიდული იყო 30 ვაგონი ფართალი; ამ რაოდენობით ვერ მოხერხდა მეაბრეშუმეთა მინიმალურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

თათბირმა საჭიროდ სცნო მეაბრეშუმეთათვის გეგმის გარეშე 60 ვაგონი ფართლის შემოზიდვა. აღძრულ იქნა შუამდგომლობა სადირექტივო ორგანოების წინაშე, რათა გეგმის გარეშე გადაეცეს ცეკავშირს მეაბრეშუმეთათვის 60 ვაგონი ფართალი. ცეკავშირს დაევალა დაამუშაოს და წარადგინოს საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატში აღნიშნული ფართლის მეაბრეშუმეების რაიონებს შორის განაწილების პროექტი.

მზადება წითელ ჯარში მორიგ გაწვევისათვის

მიმდინარე წლის შემოდგომაზე წითელ ჯარის რიგებში გაწვეულ იქნებიან ახალგაზრდები, დაბადებულნი 1906 წელში. ის ახალგაზრდები კი, რომლებიც დაბადებულნი არიან 1907 წელში და რომლებიც გაწვეული იქნებიან ჯარში მომავალი წლის შემოდგომაზე, ვალდებულნი არიან მიეწერონ სათანადო გასაწვევ უბანზე.

ზოგი ახალგაზრდა, დაბადებული 1906 და 1907 წელში, რომლებსაც უწევთ წითელ ჯარში გაწვევა, სცხოვრობს საზღვარგარეთ. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი აცხადებს ამ ახალგაზრდების საყურადღებოდ, რომ ისინი ვალდებულნი არიან მიეწერონ ამა თუ იმ გასაწვევ უბანზე. ამისათვის მათ საბჭოთა კავშირის საკონსულოებს ან სრულუფლებიან წარმომადგენლობის საშუალებით უნდა გადმოგზავნონ თავის საცხოვრებელ რაიონში განცხადება ამის შესახებ თუ საბჭოთა კავშირის რომელ ადგილას სურთ მოიხადონ სამხედრო სამსახური. ამას გარდა განცხადებაში აღნიშნული უნდა იყვეს: დაბადების წელი. ეროვნება, პროფესია, სპეციალობა, ოჯახის შემადგენლობა ოჯახის ყველა წევრების ჩამოთვლით და მათი შრომის უნარიანობის და მისამართების აღნიშვნით.

ამა თუ იმ ახალგაზრდის გასაწვევ უბანზე მიწერის დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვლება: საკონსულოს ან სრულუფლებიან წარმომადგენლობის ცნობა, რომ მათ მიერ მიღებულია განცხადება ან საფოსტო დაწესებულების ქვითარი განცხადების უშუალოდ გადაგზავნის შესახებ სათანადო სამხედრო კომისარიატში.

ამინდი ამ.-კავკასიაში

17 მარტს ღამის 12 საათიდან თბილისში ამინდი შეიცვალა. წინა დღეებში მშრალი დარები იდგა. 17 მარტს მოღრუბლული იყო. ღამით ერთბაშად წამოვიდა ძლიერი თოვლი, რომელმაც სწრაფად მოფარა მიწა. მას აქეთ განუწყვეტლივ თოვს.

თოვლი მთელ საქართველოში მოდის. აზერბეიჯანში და სომხეთში გუშინ მშრალი დარები იდგა. ქროდა სუსტი ქარი.

გრიგალი ჩრდილო-კავკასიაში

ა. კ. რკინის გზების სამმართველოში მიღებულ ცნობებით, ჩრდილოეთ-კავკასიაში, გროზნის რაიონში მძვინვარებს ძლიერი გრიგალი.

წყალდიდობის მოლოდინში

მდინარეები ადიდდა

წყალდიდობასთან მებრძოლი თელავის სამაზრო სამეული ატყობინებს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომ მდინარეებმა უკვე დაიწყო ადიდება. სამაზრო სამეულს გადაწყვეტილი აქვს დაიჩქაროს შემდეგი მდ. კისისხევის, თურდოს და დურუჯის ნაპირების გამაგრება. წყალდიდობა დიდ საფრთხეში აყენებს აგრეთვე სოფ. ახმეტას, სადაც ჩამოდის მდინარე ორველი.

მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოები ყველგანაა დაწყებული.

ქუთაისის მაზრაში

დასავლეთ საქართველოში წყალდიდობასთან ბრძოლის ინსპექტორი ინჟ. ა. ჯაფარიძე დეპეშით ატყობინებს, რომ მაზრას მთელ რიგ სოფლებს საფრთხე მოელის. გლეხობა კრებებზე გამოაქვთ დადგენილებები, რომ უფასოდ გავიდნენ სამუშაოებზე.

18 მარტიდან დაწყებულია ჯებირების ასაგები მასალების დამზადება.

შაქრის პლანტაციების გადასარჩენად

გორის სამაზრო აღმასკომი იტყობინება, რომ დაწყებულია მუშაობა გორის რაიონში მოსალოდნელ წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად. პირველ რიგში გადაწყვეტილია დიდი ჯებირის აგება, რომ წალეკვას გადაარჩინონ გორის სპირტის სახდელი ქარხანა და შაქრის ჭარხლის პლანტაციები.

ჯებირების ასაგებად უკვე დამზადებულია 275 კუბიკური საჟენი ქვა.

კ ო მ უ ნ ა

(პარიზის კომუნის მოგონებათ)

ალმართეს დროშა, წითელი დროშა
და მზის მტვერს რწმენით უმზერდენ პეშვებს..
—ჩამქოლეთ ეს ბრბო, ჩაახშეთ როშვა!..
შურით იქნევდა ვერსალი ეშვებს...
იდუმალ ხვრელით გაძვრა ტიერი,
ვით განაფრთხობი ქვეწარმავალი,
მას ბრბო ლატაკი, შლუ და მშიერი
ეძებდა ყნოსვით და ხარბი თვალით...
მონმარტის მხრიდან ვანდომის პლაცზე
მოვიდენ: ვარლენ, არნო, ბერჟერე,
ბატალიონებს სდევს კაცი კაცზე,
მათ მდინარებას რა შეაჩერებს?!.
ამოუძუეს მთავრობის ჯარებს,
რომ ამხნევებდა ტყვილად ტროშიუ,
და აწყდებიან სამხრეთის კარებს,
აწ განდევნილნი წითელი დროშით...
ხმალ-ამოწვდილი მოეჭრის ლოკრუა,
როგორც „ახალი ლაფაიეტი“!
ეს უტიფარი რამ დააყრუა?
და ხსნის იმედით რად არის ცეტი?
წაგებულია საქმე ბურჟუის,
ამაოდ ცდილობ მის მობრუნებას,
შენებრ მკვეხარა აქ მუდამ სტყუის:
აყოლილია ბედის ცდუნებას!..
ცხრის ნახევარზე ხსნის კრებას ცეკა,
თავმჯდომარეობს ედუარდ მორო:
„შევსძლებდით!.. განა, ვიცოდით ეგა?
აწ პარიზს მტერი, სჩანს,—მოვაშოროთ!..
ყველამ სასწრაფოდ ხელები ყუთებს,
რომ ავირჩიოთ ხელისუფლება!
წელთა სიმძიმე ეძლევა წუთებს,
თუ არ ვიჩქაროთ, [illegible]“
დაუყვეთ [illegible]
ხელისუფლებას ირჩევს პარიზი.
—ძირს ძველი ღმერთი ძველი ხატები!
მოსაწყენია ეს, საკმარისი!..
დაეყრდნო ხალხი მკლავსა და ყამას,
მოდის ახალი სხვაგვარი რწმენა!..
ასე ასკვნიდა ცეკა და ამას
გულ-აღელვებით ისმენდა სენა.
ბევრ საუკუნის იყო მოწამე,
ბევრ წარსულ დროებს ტალღებით ბანდა,
მაგრამ ეს ძალა და სითამამე,
ახლა რომ ელავს, იქ არა სჩანდა...
გულ-ხანძროვან მთად უჩნდა პარიზი,
ისე გაჰქონდა ძვრა და გუგუნი;
არ ჰქონდა იმას ცეცხლის ფარიზი,
რომ დაებუგა ჟამი, უკუნი..
დეკრეტი დეკრეტს ისე მისდევდა,
ვით ზღვის დუღილში გოროხი-გოროხს:
დაინთქა ძველი ტახტი და სევდა,
და სიჭაბუკე დაეტყო მოლოხს!..

—:—

ცეცხლის ფერ დროშას არხევდა ქარი...
მზე მტვერს აყრიდა ღარიბთა პეშვებს...
მაინც გულ-ხარბი და ბობოქარი
ვერსალი პარიზს უღერდა ეშვებს!..
და გაეცინა კვლავაც ერთხელ ტიერს,
როცა „კომუნას“ ხვრეტდა გალიფე...
მაგრამ კომუნამ ვერსალს, მძლეს, ცბიერს,
გული გაუპო თვისივ დანითვე!..

ნ. ზომლეთელი.

თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს სექციების მორიგი სხდომა.

თბილისის მექანიკური ქარხანა

საფინანსო-სამრეწველო სექციამ გუშინდელ სხდომაზე მოისმინა სექციის მიერ გამოყოფილ კომისიის მოხსენება თბილისის მექანიკურ ქარხნის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

ეს ქარხანა აღმასკომს გადაეცა 1926 წელს, ხოლო 1927 წელს ქარხანას შეუერთდა „ტელა“-ს სახელოსნოები და სამონტაჟო განყოფილება. კომისია აღნიშნავს, რომ ქარხნის სახელოსნოებისა და თვით ქარხნის შენობები არა კაპიტალურია და სავსებით ვერ აკმაყოფილებს წარმოებას. ძალიან მცირე რამ არის გაკეთებული აგრეთვე წარმოების გაუმჯობესებისა და მექანიზაციის დარგში. ქარხანაში უმთავრესად სწარმოებს ხელით მუშაობა, რაც აძვირებს ნაწარმოების თვითღირებულებას. 1926—27 წელს ქარხანას წარმოებაზე დაუხარჯავს 241.000 მანეთამდე. ბაზარზე გამოუტანია და გაუყიდნია 203.000 მ. საქონელი, წმინდა მოგება დარჩენია 21.230 მანეთი, მიმდინარე წლის საწარმოო გეგმით ქარხანა გამოუშვებს 581.770 მანეთის პროდუქციას, აქედან მოსალოდნელია 35.600 მანეთამდე წმინდა მოგება. ქარხნის წლიური ბალანსი უდრის 552.500 მანეთს. 20 პროცენტიანი შემცირება ქარხანას მთლიანად არა აქვს გატარებული.

მექანიკური ქარხნის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად კომისიას საჭიროდ მიაჩნია სახელოსნოებისათვის სათანადო შენობების გამოძებნა, ახალ ჩამომსხმელ საამქროს გახსნა, წარმოების რაციონალიზაციის და მექანიზაციის ტემპის დაჩქარება და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების რეალურად შემცირება 20 პროცენტამდე.

სექციების კონკურსის შედეგები

პირველად კომუნალურმა სექციამ მოისმინა ამხ. აკოპოვის საინფორმაციო მოხსენება საუკეთესო სექციაზე ჩატარებულ კონკურსის შედეგების შესახებ. პირველი ჯილდო მიიღო კომუნალურმა სექციამ. ამხ. აკოპოვმა აღნიშნა, რომ მომავალში კიდევ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მასიურ მუშაობის გაცხოველებას, თვით კონტროლს და სექციების საქმიანობაში პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ჩაბმას.

სექციამ აირჩია სამი აქტიური წევრი საბჭოთა კავშირის მთავარ ქალაქებში გასაგზავნად, სადაც ისინი გაეცნობიან და შეისწავლიან სექციების და საბჭოების საქმიანობას.

არჩეული არიან: ამხ. სოლომონ დოლიძე, არტემ დონდუაშვილი (ვატმანი), მელიტონ მგელაძე (დეპოს ხარატი).

ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგება

შემდეგ სექციამ მოისმინა ამხ. მარიამიძის მოხსენება თბილისის ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგების შესახებ. დამტკიცებულ იქნა მარიამიძის მიერ წარმოდგენილი გეგმა, რომელიც შემუშავებულია სექციის მიერ გამოყოფილ სპეციალურ კომისიაში. გეგმის მიხედვით, ვაგონებში მგზავრთა რიცხვი განისაზღვრება შემდეგნაირად: ძველ ვაგონების საჯდომებზე დაიშვება 4 კაცი, წინა ბაქანზე—4, უკანაზე—10. გადაკეთებულ ვაგონების წინა ბაქანზე—4, უკანაზე—10. მოსკოვის ვაგონების წინა ბაქანზე—4, უკანაზე—12. მოსკოვის ვაგონების შუა გასასვლელში გაჩერების უფლება მიეცემა 8 კაცს. ძუძუმწოვარ ბავშვებიან ქალებს უფლება ეძლევათ წინიდანაც შევიდნენ ვაგონებში. შემცირებულია გასაჩერებელ ადგილების რიცხვი. კონტროლიორების რაოდენობა ათი კაცით დიდდება.

ზაჰესის ენერგიის გაყვანა ლენინის რაიონში

შემდეგ კომ. სექციამ მოისმინა ამხ. ცანავას მოხსენება ლენინის რაიონში ზაჰესის ენერგიის გაყვანის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლენინის რაიონის მუშათა ბინების განათება უკვე დაწყებულია, ახლო მომავალში დამთავრდება 900 წერტილის გაყვანა მუშათა სახლებში. იწყება ახალ 170 სახლის განათება. ასე, რომ ზაფხულამდე ზაჰესის ენერგიაზე გადავა ლენინის რაიონის უდიდესი ნაწილი

ბოლოს სექციამ დაამტკიცა სექციის ბიუროს მიერ წარდგენილი გეგმა წარმოებებზე სექციის წევრების მიმაგრების შესახებ.

კოოპერატიული სასადილოები

სავაჭრო-კოოპერატიულ სექციამ გუშინდელ სხდომაზე მოისმინა ამხ. ზოიკოს მოხსენება თბ. კოოპ. სასადილოების გამოკვლევის შედეგების შესახებ. კომისიას გამოუკვლევია ხუთი კოოპერატიული სასადილო ერთი კერძო, და უმუშევართა სასადილო. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კოოპერატიულ სასადილოების ამჟამად არსებული რიცხვი სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. განსაკუთრებით მცირეა მათი რიცხვი მუშათა რაიონებში. განსხვავება სადილების ფასებს შორის დიდია, მიუწვდომელია აგრეთვე მუშათა მასებისათვის სადილების ფასი. სადილების სინოყივრე — კალორიების რაოდენობა საკმარისი არ არის. ძალიან ძვირია აგრეთვე სასადილოებში პური, რომელიც ნაცვლად 25 კაპეიკისა, მოსადილეებს ეძლევათ ათ შაურად კილო. კოოპერატიული სასადილოების უმრავლესობას სამზარეულოები გაცემული აქვთ იჯარით კერძო პირებზე, რომელნიც არ იცავენ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, რაც საფუძვლიანად არღვევს კოოპერაციის პრინციპს. კოოპერატიულ სასადილოებთან შედარებით უმუშევართა სასადილო უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია, როგორც ფინანსიურად, ისე სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების მხრით.

სასადილოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კომისიას საჭიროდ მიაჩნია სასადილოების ქსელის გაფართოება, განსაკუთრებით, მუშათა რაიონებში, ერთნაირი ფასების დაწესება სადილებზე ყველგან, შეღავათების მინიჭება კოოპ. სასადილოებისათვის კომუნალურ გადასახადების დარგში, სანიტარულ ზედამხედველობის გაძლიერება სასადილოებზე და სახალხო კვების საზოგადოების მოწყობა.

ახალი შენობა ტუბერკულიოზის დისპანსერისათვის

ჯანმრთელობის სექციამ მოისმინა ცნობა ტუბერკულიოზის დისპანსერის შესახებ, რომელიც უკვე გადაკიდა ახალ შენობაში (ბორჯომის ქუჩა № 10). ახალ შენობას აქვს მეტი ოთახები, ვრცელი სამკურნალო დარბაზები, აივანი და მშვენიერი ბაღი, რაც ტუბერკულიოზის დისპანსერის საშუალებას მისცემს ერთი ორად გააფართოვოს თავისი მუშაობა. დისპანსერის საზეიმო გახსნა მოხდება კვირას, 25 მარტს.

სექციის ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა ახალი ბიურო 11 წევრისაგან.

განათლების სექციის ბიუროს მუშაობა

განათლების სექციის გუშინდელ სხდომაზე ამხ. ნინო მახარაძემ ვრცელი მიმოხილვა გაუკეთა ბიუროს ერთი წლის საქმიანობას, რაც უკვე გვქონდა მოთავსებული ჩვენს გაზეთში. ბიუროს უკანასკნელი პერიოდის საქმიანობიდან აღსანიშნავია სასკოლო თვითორგანიზაციის და დამხმარე საბჭოების წევრთა სექციებში ჩაბმის პროექტის დამუშავება, სექციამ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა განათლების სახკომის მომარაგების განყოფილების წარმომადგენლის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში სექციის დადგენილებები. გამოირკვა, რომ დადგენილებათა დიდი ნაწილი განხორციელებულია ან განხორციელების პროცესში იმყოფება.

მწერალთა ფედერაციის საბჭოს სხდომა

კვირას, 18 მარტს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნებათა სასახლეში შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების გაერთიანებათა ფედერაციის საბჭოს პირველი სხდომა.

სხდომა გახსნა ამხ. ს. თოდრიამ.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) პრეზიდიუმის და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა, 2) სარედაქციო კოლეგიის შესახებ; 3) ფედერაციის წესდება, 4) რეზოლიუციების შესახებ.

ამხ. გ. მუშიშვილის განმარტებისა და აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ სხდომამ დაადგინა პრეზიდიუმში არჩეული იქნეს 9 წევრი.

პრეზიდიუმში არჩეულნი იქნენ: პროლეტარულ მწერლებიდან — ამხ. ბ. ბუაჩიძე, ს. ეული და ა. მაშაშვილი; „ცისფერ ყანწებიდან“—გრიგოლ რობაქიძე, „არიფიონიდან“—მიხ. ჯავახიშვილი, აკადემიურ მწერლებიდან—ი. გრიშაშვილი და არ. ჭუმბაძე; მემარცხენეობის ჯგუფიდან (ფუტურისტებიდან) —ზეს. ელენტი.

პრეზიდიუმში მეცხრე წევრად თავმჯდომარის სახით შედის ამხ. ს. თოდრია, რომელიც მწერალთა ყრილობაზე ერთხმად იქნა არჩეული ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარედ.

თავმჯდომარის მოადგილეთ საბჭომ ერთხმად აირჩია გრ. რობაქიძე.

პრეზიდიუმის მდივნათ არჩეული იქნა ალიო მაშაშვილი.

შემდეგ სხდომამ განიხილა — ჟურნ. „ქართული მწერლობის“ ხელმძღვანელ ორგანოს არჩევის საკითხი და დაადგინა დაარსებული იქნას 5 წევრისაგან შემდგარი სარედაქციო კოლეგია, რომელსაც მთლიანად გადაეცა ჟურნალის საგამომცემლო და სარედაქციო საქმე.

ჟურნ. „ქართულ მწერლობას“ სარედაქციო კოლეგიაში არჩეულნი იქნენ: ტიციან ტაბიძე, ბ. ბუაჩიძე, ვახ. კოტეტიშვილი, დ. შენგელაია და ლეო ქიაჩელი.

შემდეგ სხდომამ ამხ. ს. თოდრიას წინადადებით ფედერაციის წესდების შემუშავება და ყრილობის რეზოლიუციების რედაქცია მიანდო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას.

რკინის გზებზე

ჰიდროლოგიური ყრილობა

20 აპრილს ლენინგრადში იხსნება საკავშირო ჰიდროლოგიური ყრილობა.

ყრილობა განიხილავს მთელ რიგ საკითხებს, რომელთაც კავშირი აქვთ ა. კ. რკინის გზებზე წარმოებულ ჰიდროტექნიკურ სამუშაოებთან ასეთებია მეწყერების მიზეზების შესწავლა, მდინარეების კალაპოტების შეცვლა და სხვა.

ა. კ. რკინის გზის გამგეობამ ყრილობაზე გაგზავნა ინჟ. ლორენცი.

კატასტროფა აზერბეიჯანის ხაზზე

ღამით 19 მარტს ბაქოს ხაზზე ადგილი ჰქონდა საბარგო მატარებლების დაჯახებას.

საბარგო მატარებელმა № 461 გაუჩერებლად გაიარა სადგური იალომა. ამ დროს საწინააღმდეგო მიმართულებით იმავე სადგურში მიდიოდა მეორე საბარგო მატარებელი № 466.

მატარებლები ერთმანეთს შეხვდნენ სადგ. იალომის გასასვლელ ისრებზე, სადაც მოხდა დაჯახება.

დაჯახების დროს ორთავე მატარებლის შემადგენლობიდან დაიმტვრა ათი ვაგონი და დაზიანდა ორთავე ორთქლმავალი

დაჯახების მსხვერპლიც მოჰყვა—მძიმედ დაიჭრა ერთი კონდუქტორი.

გადასასვლელი სადგ. იალომა-სამურის შორის დაკეტილია.

შემთხვევის ადგილზე, ხაჩმასიდან, დერბენტიდან და ბალაჯარიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებლები. მუშაობა ხაზის გაწმენდაზე სწარმოებს ორი მხრიდან.

ამ შემთხვევამ გამოიწვია მთელ რიგ მატარებლების გაჩერება გზაზე.

4.127 მანეთის ზარალი

ა. კ. რკინის გზებზე შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ათი საქმე მატარებლების დაჯახების, მათი დაკავებულ ხაზებზე მიღების, შეცდარი მიმართულებით გაშვების და სხვათა შესახებ.

როგორც გამოირკვა, ყველა ამ შემთხვევებს გზისათვის მიუყენებია—4.127 მანეთის ზარალი. დამნაშავედ ცნობილ გზის აგენტთაგან, ზოგიერთები მოხსნილია სამსახურიდან—სასამართლოს წესით პასუხისგებაში მიცემით და ზოგიერთები—პასუხისგებაში მიეცემიან.

სამსახურიდან მოხსნა და პასუხისგებაში მიცემა

ამა წლის 10 თებერვალს სადგ. ნავთლუღში ადგილი ჰქონდა კატასტროფას, რომელიც შემდეგ პირობებში მოხდა:

სადგურიდან გაგზავნილი გამზადებული ორთქლმავალი გაუშვეს ჩიხში, სადაც იგი დაეჯახა იქ მდგომ ორ ვაგონს.

დაჯახების დროს დაშავდა ექვსი კაცი, მათ შორის სალიანდაგო განყოფილების მე-16 უბნის უფროსის თანაშემწე დოლგუშინი, რომელიც რამოდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა.

გარდა ადამიანთა მსხვერპლისა, ამ შემთხვევამ გზას მიაყენა 3.179 მან. 25 კაპ. ზარალი.

ეს საქმე გაირჩა ამიერ-კავკ. რკინის გზებზე შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიაში, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შემთხვევა გამოიწვია ისრის არა სწორად დაყენებამ.

დამნაშავეებად ცნობილ იქნენ: მეისრე შალვა ყვავაძე, უფროსი მეისრე ვლადიმერ ბურკაძე და მემანქანე ილია ჯღიაშვილი.

დამნაშავედ ცნობილი სამივე პირი მოხსნილია სამსახურიდან და კომისიის დადგენილებით მიცემულია პასუხისგებაში.

თავიდან აცილებული კატასტროფა

17 მარტს, სადგ. ხარაგოულიდან გაგზავნილი სამგზავრო მატარებელი გაწყდა ხარაგოულ-ძირულას შუა.

მემანქანემ და კონდუქტორებმა მატარებლის გაწყვეტა ვერ შეამჩნიეს. ეს ამბავი შენიშნეს ამ დროს გზაში მომუშავე გზის ოსტატმა ამხ. ნავროზაშვილმა და მუშებმა, რომელთაც ყვირილით აცნობეს კონდუქტორებს მომხდარი შემთხვევის შესახებ. უკანასკნელმაც მიიღეს სათანადო ზომები, მაგრამ კატასტროფა მაინც [illegible] დამრეცზე დაიშვა და მოწყვეტილმა ნაწილმა (27 ვაგონის შემადგენლობით) სვლას უმატა და მათი დამუხრუჭება ძნელი იყო. ვინაიდან სულ ოთხი კონდუქტორი იყო ამ ნაწილში.

ასეთ კრიტიკულ მომენტში ამხ. ნავროზაშვილმა, თ. მუშებმა—[illegible] შესძლეს გაქანებულ ვაგონზე შეხტომა და მათი დამუხრუჭება, რითაც მოსალოდნელი კატასტროფა აცილებული იქნა.

ქრონიკა

რიონჰესის სამუშაოთა სამმართველოს გადატანა ქუთაისში

რიონის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტმა დაასრულა სამუშაოთა სამმართველოს ლიკვიდაცია თბილისში და მისი გადატანა ქუთაისში. თბილისში დროებითაა დატოვებულ სამმართველოს ტექნიკური განყოფილება.

აკადემიკოს ნ. მარის ლექციები პარიზში

კავკასიის ისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტის ცნობით, საზღვარგარეთიდან ლენინგრადში დაბრუნდა აკადემიკოსი ნ. მარი, რომელმაც საზღვარგარეთ, უმთავრესად პარიზში დაჰყო ნახევარი წელიწადი. აკად. ნ. მარმა პარიზში წაიკითხა მთელი რიგი ლექციები ბასკების და იაფეტიურ მოდგმის ხალხების ენათა შესახებ. ნ. მარმა რამდენიმე სპეციალური ლექცია წაიკითხა აგრეთვე ქართველი ხალხის და ქართული ენის შესახებ.

თბ. ტელეფონის სადგურის გაფართოება

ვინაიდან თბილისის ქალაქის ტელეფონის სადგურის აბონენტების რიცხვი დღითი-დღე იზრდება, საოლქო კავშირმა გადასწყვიტა გააფართოოს სადგური.

წელს აბონენტების რიცხვის ზრდა გამოიხატა 494 ახალი სატელეფონო ერთეულის მოწყობაში.

აბონენტების რიცხვის ასეთი სწრაფი ზრდის გამო საოლქო კავშირმა აგრეთვე გადასწყვიტა გააფართოვოს ტელეფონის ქსელი. ამ მიზნით ქალაქის ტელეფონის სადგურთან ახლო ხანში მოწყობილი იქნება 3 ახალი კომუტატორი 450 ნომერით.

ულარიბესი სტუდენტობა კოოპერაციაში

თბილისის მუშკოოპმა ღარიბთა კოოპერატიულად შეკავშირების ფონდიდან გადასდო 4.000 მანეთი თბილისის ღარიბ სტუდენტთა ჩასაწერად მუშკოოპის წევრებათ.

ამ თანხიდან 3.000 მანეთის ფარგლებში მუშკოოპის წევრებად უნდა იქნეს ჩაწერილი თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტები და 1.000 მანეთის ფარგლებში—პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სტუდენტები.

ფართლეულის გაყიდვის წესი

თბილისის მუშკოოპმა შეიმუშავა თავის ხავაჭროებში ფართლეულის გაყიდვის წესი.

ამ წესის მიხედვით, ისეთი მანუფაქტურა, რომლის დიდ ნაკლებობას განიცდის ბაზარი, მიეცემა მხოლოდ სრული პაის მქონე წევრებს.

დანარჩენი მანუფაქტურა გაიყიდება ყველა მომხმარებლებზე, არა უმეტეს 15 მეტრისა თითოზე. ამ შემთხვევაში საქონელი პირველ რიგში მიეცემა მუშკოოპის წევრებს.

მუშათა ახალი სახლები

საქ. ეკ. საბჭოსთან არსებულმა საამშენებლო-ტექნიკურმა კომიტეტმა მოიწონა ტყიბულის მუშებისათვის სახლების აგების გეგმა. გეგმის მიხედვით საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო ტრესტი მიმდინარე წელს ტყიბულში ააგებს მაღაროს მუშებისათვის 8 სახლს. ამ სახლების აგება დაჯდება 240.000 მანეთი. თითო სახლში იქნება 8 ბინა. თითო ბინას ექნება 2 ოთახი და სამზარეულო. სახლებში მოწყობილი იქნება წყალსადენი და განათება.

სახლები აშენებული იქნება ძველი მაღაროების ახლოს.

შრომის ინსპექტორების უბნების გადაჯგუფება

შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, გაუქმებულია სენაკის შრომის ინსპექტორის კამერა. ამავე დადგენილებით შრომის ინსპექტორის კამერა დაარსებულია ქ. ზუგდიდში. ზუგდიდის შრომის ინსპექტორს ექვემდებარება ზუგდიდის მაზრა და ზემო სვანეთი, ხოლო სენაკის მაზრა ექვემდებარება ფოთის შრომის ინსპექტორს.

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, გაუქმებულია ქ. თბილისის შრომის ინსპექციის მეოთხე უბანი. თბილისი დანაწილებულია შრომის ინსპექციის სამ უბნად: პირველი უბანი: თათრის მოედანიდან ორთაჭალამდე ნავთლუღი და ავლაბარი; მეორე უბანი—თივის მოედანიდან დაწყებული ღრმა ღელემდე (პლეხანოვის გამზირის მხარე); მესამე უბანი—ვაკე-საბურთალოდან დაწყებული თათრის მოედნამდე, (რუსთაველის გამზირის მხარე).

თბილისის ალმასკომში

◆ სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის განსანაწილებლად თბ. ალმასკომმა მაზრაში გადაგზავნა 18.000 ფუთი თივა.

◆ თბ. მაზრის ყველა აგარაკებზე თბ. ალმასკომი წელს გახსნის საბავშო მოედნებს სხვადასხვა გასართობებით.

პროფსაბჭოში

◆ კონფერენცია. პროფსაბჭოს ცნობით, 25 მარტს დუშეთში შესდგება პროფბიუროს სამაზრო საკავშირთაშორისო კონფერენცია.

◆ დახმარება კლუბს. სამტრედიის რკინისგზელთა კლუბის საჭიროებისათვის გადაიდო 1.500 მანეთი.

◆ გამოფენები. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა მუშათა კლუბებთან მოაწყოს მუშა-გამომგონებლების მოდელების გამოფენები.

◆ შეღავათიანი ბილეთები. სახ. საგეგმო კომისიის წინაშე აღძრული იქნა შუამდგომლობა, რათა კურორტებზე მიმავალ პროფკავშირის წევრებს მიეცეთ რკინისგზის შეღავათიანი ბილეთები.

პროლეტსტუდენტთა ბიუროში

◆ პროლეტსტუდენტთა ბიურომ 15 მარტიდან სტუდენტთა სასადილოში უფასო სადილების რიცხვი გაადიდა 50-ით. ამჟამად ყოველდღე ღარიბ სტუდენტებს ეძლევათ 150 უფასო სადილი.

◆ დახმარება. პროლეტსტუდენტთა ბიურომ გადასწყვიტა ულარიბეს სტუდენტებს აღმოუჩინოს დახმარება სასწავლო სახელმძღვანელოებით.

დამზღვევ სალაროში

◆ ქუთაისის დამზღვევ სალაროს თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. არტემ ბარამიძე.

◆ გამოკვლევა. ახლო ხანში ჩატარებული იქნება დამზღვევ სალაროების მუშაობის გამოკვლევა მთელ საქართველოში.

კრებები და მოხსენებები

— მასწავლებელთა კრება. დღეს, საღამოს სრულ 7 საათზე თბილისის სახალხო განათლების განყოფილების საზოგადოებათ—მეცნიერების მასწავლებელთა კაბინეტში მოწვეულია საზოგადოებათმეცნიერების ცხრა - წლედების მასწავლებლების კრება.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა
„სევილიელი დალაქი", მუს. როსსინისა
ვ. ბარსოვასი და დ. გოლოვინის პირველი გამოსვლა

საბჭოთა კავშირის ხელოვნებაა წრეებში, როგორც ვ. ბარსოვას, ისე დ. გოლოვინის დიდის ყურადღებით ეკიდებიან ვოკალურ შემოქმედების სფეროში. ბარსოვას ახასიათებს შესანიშნავი ელფერის და ყურთა სმენისათვის მიმზიდველობის სავსე ნამდვილი კოლორატურული სოპრანო, მაღალი ტექნიკა და სცენიური გამოცდილება, გოლოვინს კი სწრაფი არტისტიული კარიერისა. ის გამოცნა სცენას მხოლოდ ხუთი წლის წინად და დღეს მას საპატიო ადგილი უკავია მოსკოვის დიდი ოპერის თეატრის სცენაზე. არ არის ამიტომ საკვირველი, რომ ბარსოვას და გოლოვინის გამოსვლებს ჩვენ აკადემიურ ოპერის სცენაზე ეძლევა განსაკუთრებული ინტერესი, ჩვენ კი გვეძლევა საშუალება გავეცნოთ, როგორც იმ მხატვრულ ხაზს, რომელსაც მისდევს მოსკოვის დიდი ოპერის თეატრი მსახიობთა შერჩევაში, ისე ამ მსახიობთა ტექნიკურ მომზადებას.

„სევილიელი დალაქის" მუსიკალური შინაარსი სამუხაროდ ამგვარია, რომ ზემოაღნიშნულ საკითხებს ვერ ამოსწურავს: როზინას როლი, ყურთა სმენისათვის ძალიან სასიამოვნო, მომღერალისათვის კი ტექნიკური სიძნელეებით სავსეა, არ შეიცავს ღრმა გრძნობიერებას, გამოხატავს მხოლოდ როზინას სილამაზეს, მის ფუქსავატობას, სცენიურად კი მოითხოვს კოკეტობას, სითამამეს, იუმორისტულ ნიჭს და მიმიკას. ყველა ზემოხსენებული სავსებით იყო განხორციელებული ბარსოვას მიერ ისე, როგორც ეს შესაძლებელია მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის მომღერლისათვის, და ეს შთაბეჭდილება გაორკეცდა მე-3 მოქმედებაში, სადაც ბარსოვამ სიმღერის გაკვეთილის დროს შეასრულა შტრაუსის ვალსი „კარნავალი ვენეციაში" და „ბულბული" ალიაბიევისა. სულიერი განცდის გამომჟღავნებისათვის „სევილიელ დალაქში" ბარსოვას საშუალება არ აქვს და ჯერ-ჯერობით უნდა დავკმაყოფილდეთ იმ შთაბეჭდილებით, რომელსაც იწვევს მომღერალის ხმის ბუნებრივი სიმდიდრე, საუკეთესო ტექნიკური მომზადება და კოლორატურული სოპრანოს ხმისათვის იშვიათი სიმძლავრე, ცალკე ბგერათა სიფართოვე და თბილი მიმზიდველობით გამსჭვალულობა.

რაც შეეხება დ. გოლოვინს, „ფიგაროს" როლი არ იძლევა საკმარის მასალას მომღერლის სრული შეფასებისათვის, ვინაიდან ხმის გადაშლისათვის, მძლავრად ან და ხასიათიანად გამოყენებისათვის (ბელ-კანტო) ეს როლი გამოუსადეგარია. ამასთან ერთად, ამ როლში ხმის ნამდვილ თვისებებზე კი მსჯელობა ძნელ რომ სრული ხმოვანების მოხმარება იწვევს ერთგვარ სიტლანქეს, რომელიც დაარღვევს მელოდიურ მოხაზულობის მიმზიდველ ხასიათს და ფიგაროს სურათი დამახინჯდება. ამიტომ ყველა გამოცდილი ბარიტონი ამ ადგილებს ასრულებს მისუსტებულ ხმოვანების საშუალებით, ხმა ღებულობს ტენორის ელფერს. ამ ხმის ნამდვილ თვისებებზე კი მსჯელობა ძნელდება. რომ გოლოვინის ხმა ფრიად იშვიათი დიაპაზონისაა—ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ „ფიგაროს" როლის ასრულების დროს მომღერალმა მართალია, მისუსტებულ ხმოვანებით, მაგრამ სრულიად თავისუფლად მიაღწია ბგერათა მეორე წყობის პირველ ბგერამდე (დო-ნატურალი), რომელიც საერთოდ მიუწვდომელია არა მარტო ბარიტონის ხმისათვის, არამედ მრავალ ტენორისათვისაც კი. შუათანა ფენებში კი გოლოვინის მიერ ხმის გაშლა ზოგიერთ ადგილებში ამტკიცებს ამ ფენების იშვიათ სიფართოვეს, სიმძლავრეს და კარგ ელფერს. სიტყვის მეტყველება გოლოვინს აქვს მკაფიო, სცენაზე თავი უჭირავს თავისუფლად, რომლის ვოკალურ ტექნიკური მხარეს შესრულება კი ახასიათებს მომღერლის კარგ მომზადებას.

ჯერ-ჯერობით ამაზე შევჩერდებით, ვინაიდან სრული და ობიექტიური შეფასება ბარსოვასი და გოლოვინისა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვნახავთ მათ სხვა როლებში.

ოპერას ლოტბარობდა ა. მელიქ-თაშაევი.

ქ. მელვინეთ-უხუცესი.

რუსთაველის თეატრი და მუშათა კრიტიკა

ოთხშაბათს, 21 მარტს საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ტრამვაის მუშათა კლუბში მართავს დისპუტს რუსთაველის თეატრის მუშაობის შესახებ. ამ დისპუტზე აკადემიური დრამა პირველად უდგენს თავის მუშაობის ანგარიშს მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თეატრის მიღწევათა პოპულარიზაციისათვის მუშათა ფენებში, აგრეთვე თეატრის ნაკლოვანებათა ჯანსაღი და საქმიანი კრიტიკისათვის.

დღემდე რუსთაველის თეატრის კრიტიკას უმთავრესად აწარმოებდნენ მხოლოდ თეატრალური კრიტიკოსები, მუშა მაყურებლის თვალსაზრისის გამომჟღავნებისათვის მუშაობა არ ჩატარებულა.

ცხადია, პროლეტარულ სახელმწიფოს აკადემიური დრამის განვითარება უეჭველად უნდა მიმდინარეობდეს მუშათა მასების იდეოლოგიურ-მხატვრული მოთხოვნილების გათვალისწინებით; თეატრის მოქმედება კონტროლს უნდა გრძნობდეს ამ მხრივ.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აღნიშნულ დისპუტის სახით პირველ ნაბიჯს სდგამს, რომლის ნაყოფიერება სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოეხმაურებიან ამას ჩვენი პროფკავშირული მასა და რამდენად აქტიური იქნება მუშა-მაყურებლის მონაწილეობა დისპუტში.

ჩვენი კლასიური თვალსაზრისით მკაცრად და მიუდგომლად შეფასებულ უნდა იქნას ჩვენი თეატრის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყოველივე მოწინავე მუშამ თავისი შეხედულება უნდა გამოსთქვას ამ საკითხებზე.

დისპუტზე მოხსენებით გამოვა თეატრის ხელმძღვანელი რეჟისორი ალ. ახმეტელი. ნაჩვენები იქნება რამდენიმე დამახასიათებელი ფაქტები და დეკორაციები თეატრის უმთავრეს დადგმებიდან. **ვ.**

ხელოვნების ქრონიკა

◆ „ლაკმე". დღეს ბარსოვას საგასტროლოთ ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლაკმე".

◆ „ზაგმუკ". რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ზაგმუკ".

◆ საქართველოს გლეხთა სახლმა თავისი კულტურული მიზნებისათვის დაავალა პოეტ ი. მჭედლიშვილს ოპერის თეატრში გამართოს ქართლელ და კახელ ცნობილ გლეხ მომღერლების საღამო-კონცერტი. კონცერტი გაიმართება აპრილის 16-ს.

შემთხვევები

„კაზაკების" გატაცება

რამოდენიმე ხნის წინად სახკინმრეწვმა მოსკოვში მიავლინა ოპერატორი გეგელი სურათ „კაზაკების" გადასაღებათ. 12 მარტს, გეგელი დაბრუნდა თბილისში და თან ჩამოიტანა გადაღებული სურათის ლენტები. როცა გეგელი თბილისის სადგურის მახლობლად ავტომობილში ჯდებოდა, ვილაც ბოროტმოქმედმა მას მოპარა ჩემოდანი, რომელშიაც იყო კინო-ლენტები.

ბოროტმოქმედი გუშინ დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა მცირეწლოვანი ედუარდ მედზინგირი.

გატაცებული ლენტები ნაპოვნია.

ხულიგნების თავდასხმა

გუშინწინ, ღამით ძმები ალექსი და სიმონ თედორეს ძე ფომინი თავს დაესხნენ საბურთალოზე მცხოვრებ მარიამ სტეფანეს ასულ დანილოვას.

ქალმა მორთო კივილი. მოცვივდნენ მეზობლები და მილიციელები. ხულიგნებმა მილიციელებს ესროლეს ქვები.

მილიციელებმა თავდაცვის დროს ხულიგნებს დაჭრეს ფეხებში. ხულიგანი ძმები დაპატიმრებულია.

ავტომობილის დაჯახება

გუშინ, დღისით მსუბუქი ავტომობილი № 37, რომელსაც მართავდა შოფერი ანტონ იაკობის ძე შევდკო კომინტერნის და შტაბის ქუჩის კუთხეში დაეჯახა ალმასკომის ადმინისტრაციულ განყოფილების მოტოციკლეტს. რომელიც სერიოზულათ დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. შოფერი შევდკო დაპატიმრებულია.

თავდასხმა

გუშინწინ, ღამით სოფ. მიჯნის (ბორჩალოს მაზრა) მცხოვრებს იოსებ ოქროაშვილს სოფ. კოდის მახლობლად თავს დაესხა ოთხი შეიარაღებული პირი, რომლებმაც გაძარცვეს ის. თავდამსხმელებმა წაიღეს 100 მანეთი ფულად და 200 მანეთის საქონელი.

მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა დაპატიმრებლად.

ცოლის დაჭრა

გუშინწინ, ღამით ლადო ალექსის ძე ბედიაშვილმა (მცხ. ხახანაშვილის ქ., № 14) რევოლვერით დაჭრა თავისი ცოლი მარო ივანეს ასული ბედიაშვილი.

ხანძარი.

გუშინ დღისით საკვამლე მილის გაუწმენდლობის გამო ცეცხლი გაუჩნდა ბელგიის ქუჩაზე № 3 მდებარე სამ სართულიან სახლს. საქალაქო გამწევის ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც ხანძარი ჩააქრო 20 წუთის განმავლობაში.

რეციდივისტის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ლევან სერგოს ძე ბალიევი, რომელიც რამოდენიმეჯერ პასუხისგებაში იყო მიცემული ქურდობისა და ჯიბგირობისათვის.

პალტოების „მოყვარული"

უკანასკნელ ხანებში მუშკოოპის № 67 მაღაზიიდან სისტემატიურად იკარგებოდა პალტოები. გამოირკვა, რომ პალტოებს იპარავდა გუსეინ აბას ოღლი და ალი გუნტაფა ოღლი, რომლებიც დააპატიმრეს.

სასამართლო

„ქრისტიანი" ვ. ლეზინი

(საჩვენებელი პროცესი)

კვირას ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გასამართლებულ იქნა თბილისის „ევანგელისტ-ქრისტიანების" საზოგადოების სულის-ჩამდგმელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ვ. ლეზინი.

პროცესმა დიდძალი ხალხი მიიზიდა.

საბრალმდებლო ოქმის იმ ნაწილის წაკითხვის დროს, სადაც ჩამოთვლილი იყო „ქრისტიანობის მქადაგებლის" მიერ ჩადენილი საზიზღრობანი, აუდიტორიაში განუწყვეტლივ ისმოდა აღშფოთების ხმები.

პროცესი მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ მან ფარდა ახადა სარწმუნოების ბურანში გახვეულ, სახარების კითხვით გარეტიანებულ დეგენერატების ამ ვიწრო სექტის მთელს სიწამხდრეს.

— როგორ ვიფიქრებდი, რომ „წმინდა" ლეზინი ჩემს ოჯახში ბინძური ზრახვებით შემოდიოდა. ვაი, დამიდგეს თვალები! ჩემი ხელით დავღუპე ჩემი შვილი. ეხლაც მიჭირს იმის დაჯერება, რომ ჩემი ვაჟი მაგისი გახრწნილია,—ლაპარაკობს ლეზინის „ლექციების" მსმენელი და მისი ბრმა „მიმდევარი" მოხუცი ქალი.

მისი ვაჟი კი გულახდილად მოუთხრობს სასამართლოს, როგორ იხმარა მასზე ძალადობა ლეზინმა, როგორ აწვალებდა და ხრწნიდა მას სისტემატიურად.

მთელი რიგი მოწმეები ააშკარავებენ ლეზინის მიერ ჩადენილ სხვადასხვა საზიზღროებას.

ლეზინი თავჩაღუნული ზის. ხელს იფარებს პირისახეზე. ღელავს.

— საბოლოო სიტყვა თქვენ გეკუთვნის, რას სთხოვთ სასამართლოს?—ეკითხება ბრალდებულს თავმჯდომარე.

ლეზინი დგება, პირს არიდებს აუდიტორიას.

— მე დამაავადმყოფა ცხოვრების დუხჭირმა პირობებმა. მე სხვებმა დამაყენეს ამ გზაზე, 7 წლის ვიყავი, როცა გახრწნილების გზაზე დამაყენეს,—ლაპარაკობს ლეზინი და ცხვირსახოცით ცრემლებს იწმენდს.

— გთხოვთ მაპატიოთ,—ლეზინს „გული უწუხს".

სასამართლოს საღამოს 5 საათზე გამოაქვს განაჩენი.

ვ. ლეზინს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით.

როგორ ჩაატარა მიხეილ შარაშიძემ სახელმწიფო დაზღვევის კამპანია

მოქ. მიხეილ შარაშიძე სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს კანტორის მიერ მივლინებული იყო ოზურგეთის მაზრაში სახელმწიფო დაზღვევის კამპანიის ჩასატარებლად.

შარაშიძეს უნდა მოეწყო მაზრას სხვადასხვა კუთხეში საგენტოები და გაეწია პროპაგანდა-აგიტაცია სახელმწიფო დაზღვევის სასარგებლოდ.

შარაშიძემაც კარგა მოზრდილი თანხა წაიღო თბილისიდან. უკანასკნელად, ე. ი. გასული წლის 9 სექტემბერს შარაშიძემ საწარმოოდ მოითხოვა ცენტრიდან 2450 მანეთი.

—ეტყობა, კარგი ნაყოფი გამოიღო მისმა თავდადებულმა მუშაობამ,—სთქვეს ცენტრში და ფული დაუყოვნებლივ გადაუგზავნეს.

ერთ მშვენიერ დღეს შარაშიძე ქუდ-მოგლეჯილი შევარდა ოზურგეთის სამაზრო მილიციაში და მორთო ყვირილი.

— რა იყო, კაცო, რა მოგივიდა? დაწყნარდი, გვიამბე!—ამშვიდებენ შარაშიძეს.

— გამცარცვეს, თავს დამესხნენ—სულს ძლივს ითქვამს შარაშიძე.

— სად, როგორ? რა დროს?

— წუხელ ნაგომარიდან მოვდიოდი, ნასაკირალთან რომ მოვედი შემომაღამდა. პატარა ხნის შემდეგ თავს დამესხნენ ყაჩაღები. მცემეს, წამართვეს, ამართვეს რევოლვერი და ფული 1200 მანეთი.—ოფლს იწმენდს შარაშიძე.

— ასე დიდი თანხა არ უნდა წამოგეღო ჯიბით. ამოდენი ფული მარტომ როგორ წამოიღე, ისიც ღამით...

— შევცდი, რაღა დროსია!..

— მოგვიყევით დაწვრილებით ამბავი.

შარაშიძემ დაიწყო ლაპარაკი. მივა შუა ადგილას, დაიწყებს თავიდან დაავიწყდება, რაც წინად სთქვა, ხელახლა დაიწყებს. ხან ამბობს, რომ ნასაკირალთან შემოაღამდა, ხან კი—სოფელ ნაგომარში უკვე ბნელოდა, როცა ოზურგეთიდან წამოვიდა. ერთი სიტყვით შარაშიძემ აურია ყველაფერი ერთმანეთში.

ყველა დარწმუნდა, რომ შარაშიძე კარგა „არტისტია", მაგრამ როლი არ იცის.

შარაშიძეს მაგრად მოჰკიდეს ხელი. გაუსინჯეს შემოსავალ-გასავლის წიგნები. რევიზია დამთავრებული არ იყო, როცა შარაშიძე გამოტყდა და სთქვა:

— ფულიც და რევოლვერიც მე დავმალე ნასაკირალის მახლობლად. ამა და ამ ადგილას არის, წამიყვანეთ და გიჩვენებთ.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მართლაც ნახეს ნასაკირალის მახლობლად საგულდაგულოდ გადამალული 910 მანეთი და რევოლვერი.

— რატომ ჩაიდინე ეს?—ეკითხებიან შარაშიძეს.

— დანაკლისის დასაფარავად,—უპასუხებს ის.

— თქვენ ხომ 500 მანეთზე მეტი არ გქონიათ დანაკლისი?

შარაშიძე სდუმს.

ალბად დანარჩენი „სახარჯოთ" ჰქონდა გადამალული.

შარაშიძე გაასამართლა ოზურგეთის მაზრის სასამართლომ.

მას მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, უფლებების შეზღუდვა 3 წლით, მანვე უნდა დაფაროს დანაკლისი და აანაზღაუროს სასამართლოს ხარჯები.

საჩვენებელი პროცესი ბათუმში

17 მარტს აჭარისტანის უზენაეს სასამართლო შეუდგა ალექსანდრე ლიფშიცის და ალექსანდრა სტალიაროვას ქალის საჯარო გასამართლებას.

როგორც წინად ვსწერდით, მათ ბრალად ედება თედორე კაპაინიდის ვერაგულად მოკვლა.

ალექსანდრა სტალიაროვას ქალმა პაემანი დაუნიშნა ბაღში კაპაინიდის, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა ქალი.

სტალიაროვას ქალს რომანი ჰქონდა ლიფშიცთან და უნდოდა კაპაინიდის თავიდან მოშორება.

სტალიაროვას ქალი შეთანხმებული იყო ლიფშიცთან, რომელსაც პაემანზე მოსული კაპაინიდი უნდა მოეკლა.

როცა კაპაინიდი ტკბილად ესაუბრებოდა სტალიაროვას ქალს, უკანიდან მიეპარა ლიფშიცი და დანით დასჭრა სასიკვდილოთ.

მძიმედ დაჭრილი კაპაინიდი სტალიაროვას ქალმა და ლიფშიცმა გადააგდეს ზღვაში.

კაპაინიდმა ცურვით მოაღწია ნაპირამდე და ასტეხა ყვირილი.

მახლობლად მდგომი საგანგებო რაზმის თანამშრომლები გაიქცნენ საშველად. კაპაინიდმა მოასწრო მკვლელების დასახელება და გარდაიცვალა.

პროცესი დიდძალ ხალხს იზიდავს მუშათა კლუბის დიდ დარბაზში ტევა არ არის.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. ფირცხალავა, პროკურორი—შ. თუმანოვი, საზოგადოებრივი ბრალმდებელი—ზარუბიძე.

გერ.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 20 მარტი.

დღეს, 20 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება მეაბრეშუმეობაზე. ხეიაქიმის მოხსენება: როგორი იქნება მომავალი ომები; წარმოების განვითარება და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რა ზარალი მოაქვს სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნოებას ჯანმრთელობისათვის; მრეწველობა და სოფლის მეურნეობა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში; გაზეთი „პროლეტარი" სომხურ ენაზე: წითელ არმიელთა გაზეთი; მუსიკის ახსნა-განმარტება; ოპერა „ლაკმეს" ტრანსლიაცია; ობსერვატორიის ცნობები; ტექნიკური კონსულტაცია; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 20 მარტს თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან. მაიერ, ტარასი ფხაკაძე, ისაკ ავაკიანი, ჯულეგიანი; ალექსანდრე ბაქაია, ავეტის მეხტაროვი, სუმბატ მელქოევი, ალექსანდრე მარკარიანი, ნიკოლოზ ცხვარაძე.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ლევან ყანჩელი, ალექსანდრე ყანჩელი, ალექსანდრე ანთაძე, არშენაკ არუთინოვი; ოლღა ნიჟარაძე, კალანდარიშვილი და მარიამ წულუკიძე.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ალექსანდრე ყირიანოვი, ნიკოლოზ გარინი, ბარის რიშკოვი, მიხეილ სადაღაშვილი; გრიგოლ ბეჩნაძე. ტრიფონ პავლოვი; ფარეგინ შახნაზაროვი; სტეფანე მაღალოვი, სალეხ გლებოვი, ალექსანდრე პარუმიანი, ივანე ტერ-ვართანოვი, გოთლიბ მუტერი, სედრაკ მანუკიანი; მაგდალინა ცინცილი, როსტ პოზნიკოვი და ფილო დაშკოვი.

მედიცინის მუშაკთა მეხუთე სექციიდან: იულიან ვიულკი.

აღრიცხვის შეწყვეტა

1928 წლის 1-ლი აპრილიდან შეწყვეტილი იქნება შრომის მაძიებლების (იმ პირების, რომლებსაც არა აქვს არავითარი კვალიფიკაცია და არ უმუშავნიათ) შრომის ბირჟის აღრიცხვაზე აყვანა.

საექსპერტო კომისიის სხდომა

კვირას, 25 მარტს დანიშნულია უმუშევარ სტენოგრაფისტთა გამომცდელ საექსპერტო კომისიის სხდომა. ის სტენოგრაფისტები, რომლებიც არ დაესწრებიან ამ კომისიის სხდომას, სამუშაოზე აღარ გაიგზავნებიან.

მეცნიერება და ტექნიკა

აკადემიკოს იოფფეს ახალი აღმოჩენა

საკავშირო ელექტრო-ტექნიკურ კონფერენციაზე აკადემიკოსმა იოფფემ გააკეთა მოხსენება თხელფენიან იზოლიაციის (განმხოლოების) შესახებ.

აკადემიკოს იოფეს აღმოჩენამდე ფიქრობდნენ, რომ რამდენადაც მაღალია დენის ძაბვა, მით უფრო სქელი და მაგარი უნდა იყოს იზოლიატორების მასალა. ამის და მიხედვით, საიზოლიაციო მასალით იხმარებოდა სქელი ფაიფური და მინა. აკადემიკოს იოფფეს ცდებმა დაამტკიცეს, რომ სწორედ თხელ იზოლიატორებში (0,01-დან 0,001 მილიმეტრამდე) არ ხდება ელექტრონის ატომების ის დაჯახება, რომელიც იზოლიატორების გახეთქის მიზეზს წარმოადგენს.

თანამედროვე ელექტრო-მომარაგება ხდება დიდ ელექტრო-ცენტრალების საშუალებით, რომლებიც ას-ორასი ათასი ვოლტის ძაბვის მქონე დენს შორ მანძილზე აწვდიან სამრეწველო დაწესებულებებს.

სწორედ აქ ჰპოვებს აკადემიკოს იოფფეს იზოლიაცია ყველაზე ფართო გავრცელებას. წინანდელი ტიპის იზოლიატორები ვერ უძლებდნენ ამ ძაბვას. ევროპამ და ამერიკამ სავსებით სცნეს გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერის მიღწევები.

კონფერენციაზე გამოსული მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავდნენ აკადემიკოს იოფფეს აღმოჩენის უდიდეს მნიშვნელობას.

პროფ. პრენტის ბოლდუინის გამოგონება

პროფ. პრენტის ბოლდუინმა გამოიგონა მოწყობილობა, რომლის საშუალებით შესაძლებელია სიზუსტით იქნას გამორკვეული, თუ რამდენ ხანს ზის ფრინველი კვერცხებზე, რამდენი ხნით ტოვებს ბუდეს და როგორია ამ დროს ბუდის ტემპერატურა.

აპარატი შესდგება წვრილი მავთულებიდან, რომლებიც კვერცხებს შორის არის მოთავსებული. მავთულები შეერთებულია თვითჩამწერ აპარატთან, რომელიც ლაბორატორიაშია მოთავსებული. ფრინველს ეს მავთულები სრულიად არ აწუხებს, რადგან წაგავს ბუდიდან ამოშვერილ თივის ღეროებს. როცა ფრინველი ზის კვერცხებზე, მავთულები თბება და მათში აღიძვრის განსაზღვრული ძალის ელექტრო-დენი, რომელსაც აღნიშნავს თვითჩამწერი მოწყობილობა. როცა ფრინველი სტოვებს ბუდეს, კვერცხები თანდათანობით ცივდებიან და ამის გამო იცვლება ძალა ელექტრო-დენის, რომელიც მავთულებში აღიძვრა, რაც აგრეთვე აღინიშნება ჩამწერ აპარატში. პროფ. ბოლდუინის გამოკვლევები ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ მის მიერ უკვე შეკრებილი ცნობები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ნაბიჯს ფრინველების ცხოვრების შესწავლის საქმეში.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კავშირის წევრს წიგნაკი № 11617

კითხვა

ვარ კავშირის წევრი, ერთმა ამხანაგმა დამითმო ოთახი სახლის პატრონის თანხმობით, ოთახის შეკეთებაზე დავხარჯე 30 მანეთი. სახლის პატრონი არ სცნობს ჩემ მიერ გაწეულ ხარჯებს. ოთახის სივრცე უდრის 19 კვადრატულ საჟენს. მოვალეა თუ არა სახლის პატრონმა ამინაზღაუროს დანახარჯი შეკეთებაში. მაქვს თუ არა უფლება ეს დანახარჯი გამოვუქვითო სახლის პატრონს ქირის მიცემის დროს.

პასუხი

უნდა იხადოთ თქვენი ჯამაგირის მიხედვით თერთმეტი კაპეიკი თვეში თვითეულ კვად. მეტრზე. საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ხარჯზე უნდა ყოფილიყო შეკეთებული ბინა, ეს დამოკიდებულია შეთანხმებაზე.

ლავრენტი თომას ძე მამალაძეს

(ს. ხევი, ოზურგეთის მაზრა)

კითხვა

ჩემს მამას და ბიძას ჰქონდათ საზიარო ხუთი სკა. ეს სკა ბიძამ გადაიტანა თავის ბინაზე, სადაც საზიარო სკის გვერდზე მან გაიჩინა თავისთვის საკუთარი სკა, რის შემდეგ საზიარო სკის გამრავლება თანდათან კლებულობდა. ამ პირობებში საზიარო სკის არსებობამ გასტანა 15 წელზე მეტი, ხოლო 1924 წელს ბიძაჩემმა კატეგორიულად განუცხადა ჩვენს ოჯახს, რომ საზიარო სკა სრულიად მოისპო და ამიტომ ჩვენი ოჯახი სარგებლობას ვეღარ მიიღებსო.

გთხოვთ განმარტებას, გვაქვს თუ არა უფლება ვისარგებლოთ საზიარო სკით, რომელიც ეხლაც არსებობს, და ვის უნდა მივმართოთ ამ საქმის გამოსარკვევად?

პასუხი

როგორც საერთო საკუთრების მონაწილეს, თანახმად სამ. სამ. კოდ. მე-62 მუხლისა, სარგებლობის უფლების აღსადგენად, მამა თქვენს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, ხოლო ვინაიდან შესაძლებელია, რომ აღიძრას საკითხი სამი წლის ხანდაზმულობის ვადის გაშვების შესახებ (1924 წლიდან დღემდის), მას თანახმად იმავე კოდექსის მე-49 მუხლისა შეუძლია სთხოვოს სასამართლოს, რათა ეს ვადა იქნეს გაგრძელებული, თუ ამისათვის საფუძვლიანი მიზეზები მოიპოვება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ შაბათს, 24 მარტს, საღამოს 5 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. 20) შესდგება თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომა.

აღნიშნულ კომისიის წევრთა და იმ პირთა, რომელთა ანკეტები დასამტკიცებლად გადაცემულია თბილისის კომიტეტზე, დასწრება აუცილებელია.

სახ. უნ. სოც. ეკონ. ფაკ. პარტ-კოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 20 მარტს საღამოს 8 საათზე მოწვეულია პარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება. დასწრება სავალდებულოა პარტიის და კომკავშირის წევრ—კანდიდატებისათვის. დღის წესრიგში სდგას ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა განხილვა ძლიერ საწრაფოა.

სახ. უნივ. აგრონომ. ფაკ. ახ. ლ. კ. კ. უჯრედის კრება შესდგება დღეს 20 მარტს საღამოს 6 საათზე. წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

სახ. უნ. სოც. ეკონ. ფაკ. მესამე და მეოთხე კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს 20 მარტს დღის 12 საათზე ბიუროს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომელთაც განცხადებები აქვთ შემოტანილი პარტიაში გადარიცხვის ან კომკავშირში მიღების შესახებ.

სახ. უნივ. ს. ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივთან არსებული აგიტ.-კოლეგიის სხდომა შესდგება დღეს 20 მარტს საღამოს სრულ 5 საათზე. სავალდებულოა უჯრედის მდივნის და აგიტპროპის დასწრება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო—იურიდიული განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემოაღნიშნული დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო—იურიდიული განყოფილების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე:

ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. ს. სტეფანოვი.

1928 წლის თებერვლის 8
ქ. თბილისი—სასახლე

დებულება
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო—იურიდიული განყოფილების შესახებ

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებობს სარედაქციო—იურიდიული განყოფილება, რომელსაც დაეკისრება:

ა) განიხილოს, კანონით დადგენილი წესისამებრ წარსამართავად, საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების მიერ შემოტანილი ყველა კანონპროექტი, რაც უნდა დაადასტუროს ან დაამტკიცოს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ, და აგრეთვე საკანონმდებლო აქტების პროექტები, რომელიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულ იქნება დასკვნისათვის სსრ კავშირის მთავრობისა და ა.-კ. სფსრ-ის მთავრობისაგან:

ბ) განიხილოს სათანადო წესისამებრ წარსამართავად საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში შემოსული ყველა მიწერ-მოწერა იურიდიული საკითხების სფეროში.

გ) მოამზადოს ხოლმე მოხსენება კანონპროექტებისა და იურიდიული ხასიათის საკითხების შესახებ, რაც განხილულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში;

დ) შეადგინოს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს წინადადებებით და აგრეთვე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების მინდობილობით დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტები და შეუთანხმოს ისინი, არსებული წესისამებრ, დაინტერესებულ უწყებებსა და დაწესებულებებს;

ე) მისცეს ხოლმე იურიდიული დასკვნა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს საქმეთა მმართველობის მიმდინარე მუშაობაში აღძრული საკითხების შესახებ და აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს და მათი თავმჯდომარისა და ამ უკანასკნელის მოადგილეების წინადადებისამებრ.

ვ) საბოლოო რედაქცია გაუკეთოს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულ კანონპროექტებს და აგრეთვე იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რასაც აღნიშნული კანონპროექტების განხილვის დროს მიიღებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო სათანადო შემთხვევაში—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ზ) რედაქცია გაუკეთოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს დადგენილებებს, რათა მათი ტექსტის რედაქცია შეთანხმებულ იქნეს მოქმედ კანონმდებლობასთან და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მიერ წინათ გამოცემულ დადგენილებებთან;

თ) წარმართოს გამოსაქვეყნებლად ოფიციალურ პერიოდულ ორგანოებში სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ხოლო სათანადო შემთხვევაში,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და საქართველოს ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დეკრეტები და დადგენილებანი, თვალყური ადევნოს მათ თავის დროზე და სისწორით გამოქვეყნებას და აგრეთვე წარმართოს აღნიშნული აქტები დადგენილი წესისამებრ გამოსაქვეყნებლად „საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში".

ი) წარუდგინოს ხოლმე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება იმის შესახებ, რომ საჭიროა მაინდოს სათანადო უწყებებს—შეიმუშაონ პროექტი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობის გაუქმებისა, შეცვლისა და დამატების თაობაზე—სსრ კავშირის მთავრობისა და ა.-კ. სფსრ-ის მთავრობის სადირექტივო წინადადების გამო;

კ) შეადგინოს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს, მათი თავმჯდომარისა და ამ უკანასკნელის მოადგილეებისა, აგრეთვე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს გამგის დავალებით იურიდიული ხასიათის ყოველგვარი მოხსენება და ქაღალდი;

ლ) შეასრულოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარისა, მისი მოადგილეებისა, საქმეთა მმართველისა და სამდივნოს გამგის სპეციალური მინდობილობა.

2. სარედაქციო—იურიდიული განყოფილების სათავეში სდგას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს უფროსი იურისკონსულტი, რომელიც განაგებს ამ განყოფილებას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საერთო ხელმძღვანელობით და რომელსაც თანამდებობაზე დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

3. სარედაქციო—იურიდიული განყოფილება შესდგება იურისკონსულტებისა, რედაქტორებისა და ტექნიკური პერსონალისაგან იმ რიცხვით, რაც განსაზღვრულ იქნება სათანადო შტატით.

4. უფროსი იურისკონსულტი ხელმძღვანელობას გაუწევს სარედაქციო-იურიდიული განყოფილების მუშაობას, გაანაწილებს მუშაობას განყოფილების თანამშრომელთა შორის ინსტრუქტორობას გაუწევს მათ და ცალკე საკითხებს სათანადო შემთხვევაში დასვამს კოლეგიალური განხილვისათვის.

5. უფროსი იურისკონსულტი სარედაქციო—იურიდიული განყოფილების ქვემდებარე საკითხებს მოახსენებს, კუთვნილისამებრ, სახალხო კომისართა საბჭოს, ეკონომიურ საბჭოს და მათ თავმჯდომარეს ან ამ უკანასკნელის მოადგილეებს, სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველს და სამდივნოს გამგეს.

6. უფროსი იურისკონსულტი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სხდომებში იურიდიული საკითხების შესახებ დასკვნისა და ცნობების მისაცემად; ამ სხდომებში უფროს იურისკონსულტს იურიდიული ხასიათის საკითხების განხილვის დროს აქვს სათათბირო ხმის უფლება.

7. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის ყველა გამოსაქვეყნებელი დადგენილება, ვიდრე იგი წარედგინებოდეს ხელის მოსაწერად სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს და საქმეთა მმართველს, ვიზა დასმულ უნდა იქნეს უფროსი იურისკონსულტის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ასეთი დადგენილების მოქმედ კანონმდებლობასთან შეთანხმებისათვის.

უკეთუ გამოსაქვეყნებელი დადგენილების ტექსტის საბოლოო რედაქციის დროს უფროსი იურისკონსულტი აღმოაჩენს მოქმედ კანონმდებლობასთან რაიმე შეუთანხმებლობას, რაც სარედაქციო წესით არ შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს, იგი ვალდებულია წერილობით მიაქციოს ამ გარემოებას სამდივნოს გამგის ყურადღება.

8. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს უფროს იურისკონსულტს უფლება აქვს მოსთხოვოს სამდივნოს გამგის მეშვეობით, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა უწყებას და დაწესებულებას სათანადო მასალებისა და ცნობების წარმოდგენა და აგრეთვე, საჭირო შემთხვევაში, პასუხისმგებელი წარმომადგენლის გამოგზავნა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებათა რედაქციაში მონაწილეობის მისაღებად.

9. უფროს იურისკონსულტს ან მისი რწმუნებით—სარედაქციო—იურიდიული განყოფილების ერთ-ერთ იურისკონსულტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განზრახულობათა განყოფილების სხდომებში იმ კანონპროექტებისა და იურიდიული საკითხების განხილვის დროს, რაც განსახილველად ან დასამტკიცებლად შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აცხადებს, რომ 18 მარტს დღის 12 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ინჟენერი

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე
ვასილიევი

„ზაჰესის" აშენების ერთი მთავარ ინიციატორთაგანი, საქართველოს და მთელი ა/კ. ფედერაციის ელექტროფიკაციის დიდი მოღვაწე. (ნ)

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო მწუხარებით იუწყება რიონჰესის ინჟენერ

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე
ვასილიევის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 21 მარტს. გამოსვენება მუშათა სასახლიდან რუსთაველის გამზირი № 17. ნ. 802

ზაჰესის საექსპლოატაციო სამმართველოს დირექცია და თანამშრომელნი გულითადი მწუხარებით იუწყებიან, რომ 18 მარტს, დღის 12 საათზე გარდაიცვალა ზაჰესის ელ-მექანიკურ განყოფილების ყოფილი უფროსი ინჟენერი

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე
ვასილიევი

სამოქალაქო პანაშვიდი სამშაბათს, 20 მარტს, საღამოს 7 საათზე, პროფსაბჭოს დარბაზში. გამოსვენება იქიდანვე. დაკრძალვა ოთხშაბათს, 21 მარტს დღის 4 საათზე. 1860

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო იუწყება, რომ კვირას, 18 მარტს, დღის 12 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ზაჰესის აღმშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორი და მთავარი მომუშავე, ელ-სამონტაჟო განყოფილების უფროსი ინჟენერ-ტექნოლოგი

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე
ვასილიევი

ნ. 802 2—1

რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო იუწყება, რომ 18 მარტს, დღის 12 საათზე მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მთავარ ინჟენერის მოადგილე და ელექტრო-მექანიკურ განყოფილების უფროსი, ინჟენერ-ტექნოლოგი

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე
ვასილიევი

სამოქალაქო პანაშვიდი სამშაბათს, 20 მარტს, საღამოს 7 საათზე. პროფსაბჭოს დარბაზში. გამოსვენება იქიდანვე. დაკრძალვა ოთხშაბათს, 21 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 802 2—1

---

17 მარტს ამა 1928 წელს, სოფელ კოტიანეთში (სენაკის მაზრაში) ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღარიბი გლეხის შვილი პარტიის წევრი (კანდიდატი)

ამხანაგი მელიტონ გიორგის ძე
ფაჩუაშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება იქვე 24 მარტს, შაბათს, 16 საათზე, რასაც აცნობებენ ამხანაგ-მეგობრებსა და ნათესავებს გულდათუთქულნი: დედა თეკლე (მაკრინე), მამა გიორგი, ძმა ძუძუ, დები ფილოდოია, ბეტა, მარგარიტა, მაშიკო და ოლია და რძალი მაშო ფაჩუაშვილები.

მწუხარებაში მყოფი და გულდაწყვეტილი შვილები: ეპიფანე, ალექსანდრე, ნიკიფორე, მოსე, მარო და ელისაბედ, რძლები: ბაბულია და ნინო იმნაიშვილები, სიძე ალექსანდრე ფრ. ცინცაძე, შვილისშვილები: შოთიკო ცინცაძე და ბისიკა და ზუზიკო იმნაიშვილები აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ მათი საყვარელი, ძვირფასი და დაუვიწყარი დედის

ბაბილინა საყვარელის ასულ
იმნაიშვილის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო ოთხშაბათს, 21 მარტს, 2 საათზე, სოფ. მუხუთში სასაფლაოზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. 1859

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო		„განკიცხული"	ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით უკანასკნელი 5 და 6 სერია ერთად
არფასტო	უკანასკნელად თბილისში	„ნიბელუნგები"	1 და 2 სერია ერთად
სოლეი	პირველად თბილისში, ამერიკული მხატვრული შედევრი	მეზღვაურის მეგობარი ქალი	
დარბაზი	ამერიკული ტრიუკებიანი კინო-რომანი 4 სერიათ	აფრიკის ქალიშვილი	1 და 2 სერია ერთად
ოდეონი	უკრაინის ფოტო-კინოს ფილმი	ბელვედერის ჩრდილები	
პროლეტარი ავლაბარი	გრანდიოზული ფილმი	სოდომი და გომორა	

ანონსი მალე მსოფლიო შედევრი „Жизнь за жизнь" 0—16

წინადადებას ვაძლევ მეეტლეს,
რომელმაც, 15 მარტს ღამით სადგურზე მიიყვანა ორი მგზავრი ბათომის მატარებლისათვის, სამი დღის ვადაში დააბრუნოს **ნებაყოფილობით** ეტლში დავიწყებული ტილოში გამოკრული სანადირო თოფი (კარაბინი), პასკევიჩის ქუჩაზე № 12 ბინა № 2. სამი დღის შემდეგ აღძრული იქნება საქმე **იარაღის მოპარვის შესახებ.** 1870

მიხეილ ზედგენიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—7

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფ. 11—78 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—9.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება **ფსიქოთერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)კორესის ქ. კუთხე. 25—25

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—10

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ № 1.) 25—11

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12 საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—67

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოსია აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდმთავრის ქ.)

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—24

ქუთაისში
ექ. დ. ჩეჩელაშვილი
გადავიდა ახალ ბინაზე ჭავჭავაძის ქ. № 4 ცეცხლის ქრობელ რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინა ან ავადმყოფებს. სპეციალ ექიმობა ფილტვებში მიღება დილის 8—12 საათ. 13—1

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25—1

დაიკარგა პასპორტი და ავეჯეულობის დაზღვევის ქვითარი № 2336999 ვლადიმერ რაჟდენის-ძე სანებლიძეს სახელზე, ჩ. გ. 1864

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი № 863 | 361 გრიგოლ კვიცარიძის სახელზე ჩ. გ. 1868

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 1458 სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ლეონიდე იოსების-ძე მეგრელაძეს სახელზე ჩ. გ. 1863

დაიკარგა ცხენის საალრიცხო ბარათი და დამოწმებული ხელწერილი № 368 9 თებ. 28 წ. მოქ. ლადო ბარნაბიშვილის სახელზე, ჩ. გ 1869

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68